



### გოდერძი ნარიმანიშვილი

–არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

სპეციალიზაცია – ბრინჯაოს, რკინისა და ანტიკური ეპოქები.

1971 წლიდან მონაწილეობდა აფხაზეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, მესხეთ-ჯავახეთის, იმერეთის, აჭარის მთიანეთისა და შიდა ქართლის არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

1989 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

იგი არაერთი საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო სიმპოზიუმის მონაწილეა. გ.ნ. რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტის ავტორი და გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელია.


გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამი მონოგრაფია.

E-mail: [goderdzi\\_narimanishvili@yahoo.com](mailto:goderdzi_narimanishvili@yahoo.com)

გოდერძი ნარიმანიშვილი  
ილია ნარიანიშვილი  
სიასლენი თრიალეთის არქეოლოგიის ცენტრი

## გოდერძი ნარიმანიშვილი

### სიასლენი თრიალეთი კულტურაში



N 978-9941-9079-5-1





გამომცემლობა „მნიგნობარი“



**UNION – CENTRE FOR PRESERVATION AND  
STUDIES OF ANTIQUITIES –  
T R I A L E T I**

**G o d e r d z i   N a r i m a n i s c h v i l i**

**NEUE FORSCHUNGEN ZUR TRIALETI-KULTUR**

**Г о д е р д з и   Н а р и м а н и ш в и л и**

**НОВЫЕ ОТКРЫТИЯ В ТРИАЛЕТСКОЙ КУЛЬТУРЕ**

Tbilisi   Тбилиси  
2009



სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი  
თ რ ი ა ლ ე თ ი

ბ რ დ ე რ ძ ი ნ ა რ ი მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

სიასლენი თრიალეთის  
კულტურაში

თბილისი  
2009

ნაშრომით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის მნიშვნელოვანი და ზოგ შემთხვევაში უნიკალური არქეოლოგიური მასალები. წიგნში განხილულია თრიალეთის ყორღანებთან დადასტურებული სარიტუალო-საპროცესიო გზების წარმომავლობის, გავრცელების, ფუნქციის საკითხები, მოცემულია ყორღანების კონსტრუქციისა და ფორმის რეკონსტრუქციის მცდელობა.

რედაქტორი:

**ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე**

აკადემიკოსი, ისტ. მეც. დოქტორი

რეცენზენტები:

**კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი**

აკად. წ/კორესპოდენტი

ისტ. მეც. დოქტორი

**გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე**

აკად. წ/კორესპოდენტი

ისტ. მეც. დოქტორი

**გ. ფ ხ ა კ ა ძ ე**

ისტ. მეც. დოქტორი

მხატვრები:

**გ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი**

**ი. ე ს ვ ა ნ ჯ ი ა**

**შ. მ ე ლ ი ქ ი ძ ე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **დ. ნ ა რ ი მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი**

© გოდერძი ნარიმანიშვილი. **Goderdzi Narimanischvili, 2009**

© გამომცემლობა „მწიგნობარი“. **Publishing House “Mtsignobari”, 2009**

ISBN 978-9941-9079-5-1

## შინაარსი - Содержание - Inhalt

შესავალი . . . . .	5
თავი I. თრიალეთის წარსულიდან . . . . .	18
თავი II. თრიალეთის არქეოლოგიური კვლევის ისტორია . . . . .	21
თავი III. თრიალეთი ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში (ახალი მონაცემები) . . . . .	28
თავი IV. სარიტუალო გზებისა და თრიალეთის კულტურის დათარიღების ზოგიერთი საკითხი . . . . .	56
თავი V. თრიალეთის ყორღანების რეკონსტრუქციისათვის . . . . .	65
თავი VI. სარიტუალო გზების ფუნქციისა და წარმომავლობის ზოგიერთი საკითხი . . . . .	68
დასკვნა . . . . .	76
Введение . . . . .	96
I. Триалети в первой половине II тыс. до н.э. (Новые данные) . . . . .	97
II. Датировка новых структур . . . . .	100
III. К реконструкции триалетских курганов . . . . .	100
IV. Некоторые вопросы функции, происхождения и распространения ритуальных дорог . . . . .	102
V. Расцвет и упадок триалетской культуры . . . . .	104
Заключение . . . . .	107
Einleitung . . . . .	108
I. Die Frage der Datierung der Trialeti-Kultur . . . . .	108
II. Neue Erkenntnisse . . . . .	109
III. Datierung der neuen Strukturen . . . . .	111
IV. Zur Rekonstruktion der Trialeti-Kurgane . . . . .	112
V. Einige Fragen zur Funktion der Straßen, ihrer Herkunft und Verbreitung . . . . .	113
VI. Zur Topographie der Mittelbronzezeitlichen Denkmäler im Südkaukasus . . . . .	114
Schlußfolgerungen . . . . .	115

ლიტერატურა . . . . .	117
Литература . . . . .	117
Bibliographie . . . . .	117
შემოკლებათა განმარტება . . . . .	126
Список сокращений . . . . .	126
Literaturabkürzungen . . . . .	126
ტაბულების აღწერა . . . . .	127
Описание таблиц . . . . .	134
Beschreibung der Abbildungen . . . . .	140
ტაბულები . . . . .	145
Таблицы . . . . .	145
Abbildungen . . . . .	145
თრიალეთის რუკა . . . . .	211
Карта триалети . . . . .	211
Map Trialeti . . . . .	211

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

თრიალეთი ისტორიული მხარეა სამხრეთ საქართველოში. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ძირითადად წაღკის მუნიციპალიტეტს მოიცავს.

ადამიანს ეს რეგიონი ქვის ხანიდან ჰქონია ათვისებული. მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობა, საზაფხულო საძოვრები, ნაყოფიერი ველები და სპილენძის საბადოები მისი ეკონომიკური აღმავლობისა და ძლიერების მყარ საფუძველს ქმნიდა.

თრიალეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი არქეოლოგიურ ძეგლებს უკავია, რომელთა შესწავლა XIX საუკუნეში დაიწყო და სხვადასხვა ინტენსივობით XX საუკუნის 70-იან წლებამდე მიმდინარეობდა.

თრიალეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლის გაგრძელების მიზნით 1989 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ჩამოყალიბდა ახალი, წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის ძირითად მიზანს რეგიონში არსებული „ციკლოპური“ ნამოსახლარების კვლევა წარმოადგენდა.

პირველი ძეგლი, რომლის გათხრაც ექსპედიციამ 1990 წელს დაიწყო საბეჭდავის „ციკლოპური“ ნამოსახლარი იყო. ბ. კუფტინის მიერ XX საუკუნის 30-იანი წლებში „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე ჩატარებული სამუშაოების შემდეგ, ეს იყო პირველი მცდელობა გეგმაზომიერი გათხრების ჩატარებისა. მით უმეტეს, რომ კუფტინის შემდეგ არცერთ ასეთ ძეგლზე გათხრები არ ჩატარებულა.

საბეჭდავის „ციკლოპურ“ ნამოსახლარზე საველე სამუშაოები რვა წლის მანძილზე მიმდინარეობდა. გაითხარა სასიმაგრო სისტემის ნაწილი და ათზე მეტი საცხოვრებელი სახლი. დაზვერვებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ნამოსახლარს ოთხი სამაროვანი ეკუთვნის. ისინი უშუალოდ ნამოსახლარის გარშემოა განლაგებული და მისგან მაქსიმუმ 200 მეტრითაა დაშორებული. 1990-1993 წლებში გათხრები ჩატარდა ბეშქენაშენის, კნოლეს და უწყლოს, ხოლო 2006 წელს თეზის (ავრანლო) „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე.

„ციკლოპური“ სიმაგრეები და განსაკუთრებით, ნამოსახლარები დიდ ფართობებზე, ძნელად მისადგომ ადგილებშია გაშენებული. მათი მასშტა-

ბისა და ხასიათის სრული წარმოდგენა მხოლოდ არქეოლოგიური მეთოდების გამოყენებით სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ, მათი შემდგომი კვლევისათვის აეროარქეოლოგიის და კარტოგრაფირების მეთოდები იქნა გამოყენებული. ამ მიმართულებით კვლევის ჩატარებაში მნიშვნელოვანი იყო 1998 და 2000 წლებში ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ გრანტებით შესრულებული სამუშაოები, როდესაც მოხდა თრიალეთის 16 და ჯავახეთის ორი „ციკლოპური“ ძეგლის არქიტექტურული და გეოდეზიური აგეგმვა. ასევე ადგილზე შემოწმდა ყველა ის ახალი პუნქტი ან უკვე ცნობილ ძეგლებთან დადასტურებული ახალი სტრუქტურები, რომლებიც აეროარქეოლოგიის მეთოდის გამოყენებით იქნა მიკვლეული. აეროარქეოლოგიის და კარტოგრაფირების მეთოდებით „ციკლოპური“ ძეგლების კვლევა საქართველოში პირველად განხორციელდა.

„ციკლოპური“ ძეგლების კარტოგრაფირებასთან ერთად მიმდინარეობდა ძეგლების და მიმდებარე ტერიტორიების არქეოლოგიური დაზვერვა. დიდი რაოდენობით შეგროვდა არქეოლოგიური არტეფაქტები, რომლებიც ძეგლების ზოგადი თარიღის დადგენისას გამოვიყენეთ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპედიციის მიერ 1999 წელს თრიალეთის ყორღანებთან გრანდიოზული სარიტუალო-საპროცესიო გზების დაფიქსირებას.

XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ბ. კუფტინის მიერ გათხრილ ყორღანთა დიდი ნაწილი წყლის ქვეშ მოექცა. შეუსწავლელი დარჩა მრავალი მცირე ზომის ყორღანი და გათხრილ ყორღანთა მიმდებარე ტერიტორიები. 90-იანი წლების დასაწყისიდან, ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით, წყალსაცავის დონემ თანდათან იკლო. ექსპედიცია (ნინო შანშაშვილი, ლალი ახალაია, გიორგი ტატიშვილი, შალვა მელიქიძე), შესაძლებლობების ფარგლებში, ყოველთვის ცდილობდა წყალსაცავის ფსკერზე გამოვლენილი ძეგლების ფიქსაციას და შესწავლას: 1996 წელს, ბ. კუფტინის მიერ გათხრილი XIX ყორღანის ჩრდილო-დასავლეთით 40 მ დაცილებით, გაითხარა ბედენური კულტურის ქვაყუთი; აქვე და X ყორღანის დასავლეთით დაფიქსირდა მცირე ზომის წრიული ქვაყრილები; 1997 წელს, XIX ყორღანის სამხრეთ-დასავლეთით და X ყორღანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,2 კმ დაცილებით, გაითხარა გვიანანტიკური ხანის ქვაყუთი.

1999 წლის სექტემბერში წალკის წყალსაცავის ფართობი იმდენად შემცირდა, რომ დღის სინათლეზე ამოვიდა 30-იან წლებში ჩაძირული სოფლები შეპიაკი, სანომერი და წინწყარო. ექსპედიციის ფინანსური მდგო-

მარეობა არ იძლეოდა წყალსაცავის დაცვის დინამიკაზე ხანგრძლივი დაკვირვების საშუალებას. ეს კი აუცილებელი იყო, რადგან წყლის დონე ზამთარში ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევდა. ამიტომ, დიდი სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა რეგიონის ცხოველთა სამყაროს შესწავლის მიზნით ზოოლოგ ალექსანდრე ბუნნიკაშვილის მიერ მოწოდებული ექსპედიციის სავსე სამუშაოებში, რომელიც 1999 წლის სექტემბრის ბოლოს განხორციელდა. 30 სექტემბერს, წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე მუშაობის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია სოფ. სანთის სამხრეთით, ბ. კუფტინის მიერ გათხრილი I ყორღანის მიდამოებში გამოვლენილმა მცირე ზომის ქვაყრილებმა და სხვა სტრუქტურებმა. ეს მონაკვეთი წყლისაგან ახალი დაცლილი იყო. ტერიტორია ტალახით და გუბეებით იყო დაფარული. ამ ფაქტის, დროის სიმცირის და ზოოლოგიური ექსპედიციის სხვა მიზნების გამო, გაშიშვლებული ფართობის სრულად დათვალიერება ვერ მოხერხდა. თბილისში დაბრუნებისთანავე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორს, აკად. ოთარ ლორთქიფანიძეს გავაცანი ფოტომასალა, აეუხსენე შექმნილი მდგომარეობა. მან დიდი ინტერესი გამოიჩინა და სასწრაფოდ მიაგვლინა ექსპედიცია, რომელსაც გამოვლენილი ძეგლების ფიქსაცია დაევადა. ექსპედიცია, არქეოლოგების გიორგი მინდიაშვილის და ბიძინა მურვანიძის, ტოპოგრაფ ალექსანდრე თეფხაძის, არქიტექტორ შალვა მელიქიძის შემადგენლობით 10 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით მუშაობდა წყალსაცავის ფსკერზე. წყლისაგან განთავისუფლებული ფართობი მთლიანად აიგემა ტოპოგრაფიულად, გეგმაზე იქნა დატანილი ყველა გამოვლენილი ძეგლი, მოხდა მათი გრაფიკული და ფოტოფიქსაცია. გაითხარა L ყორღანის კრომლექსის შიგნით არსებული ბედენური კულტურის დროინდელი სამარხი. ამ ექსპედიციის მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ბ. კუფტინის მიერ გათხრილ და ზოგიერთ გაუთხრელ ყორღანთან დადასტურებული ქვაფენილიანი, გრანდიოზული გზები.

სრულიად მოულოდნელი შედეგის გამო ოთარ ლორთქიფანიძის ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა, ამიტომ იმავე წლის 1 ნოემბერიდან 20 ნოემბრის ჩათვლით, კუფტინის მიერ გათხრილი ყორღანების იდენტიფირების და ახლად გამოვლენილი ძეგლების უფრო დაწვრილებით შესწავლის მიზნით, ექსპედიცია (გიორგი მინდიაშვილი, ზურაბ მახარაძე, ბიძინა მურვანიძე, გიორგი ტატიშვილი, ალექსანდრე თეფხაძე) კიდევ ერთხელ იქნა მივლინებული თრიალეთში. ერთ-ერთი გზიანი ყორღანის გათხრის ინიციატივით გამოვიდნენ პრინცი ჰანს ფონ ზაქსენ-ალტენბურგი და ვახტანგ

ლიხელი, რომელთა შუამდგომლობით აშშ მოქალაქემ დონ ოლსენმა 1200 \$ გამოყო. ამ დაფინანსებით ექსპედიციამ, ბეიუკ-თეფეს (I ყორღანი) სამხრეთით მდებარე XLVIII ყორღანის გათხრა დაიწყო, რომლის დასრულება დიდთოვლობის გამო მაშინ ვერ მოხერხდა. გაითხარა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ექვსი ქვაყუთი და ძვ.წ. IV საუკუნის ორმოსამარხი.

2000 წლის აპრილში, ბ-ნ მაიკლ ჰიბერტის შუამდგომლობით, AES თელასმა ფინანსური დახმარება გაგვიწია, რამაც წყალსაცავის დაცლის შედეგად ფსკერზე გამოვლენილი არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების ვერტმფრენიდან კინო და ფოტოგადაღების საშუალება მოგვცა (კახა ხიმშიაშვილი, გიორგი ტატიშვილი, შალვა მელიქიძე, გიორგი მინდიაშვილი, ზურაბ მახარაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, შალვა ლეჟავა, გურამ კვიციანი, ბიძინა მურვანიძე, ელისო ახვლედიანი, კინოოპერატორი ტრისტან კანდელაკი).

2000 წლის აპრილშივე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ხელმძღვანელის დავით ნინიძის დახმარებით, განხორციელდა წყალსაცავის ფსკერზე მოქცეული შუასაუკუნეების ქ. წაღკის სიძველეთა აღწერა, ფოტო და ვიდეოგადაღება (კახა ხიმშიაშვილი, გურამ კვიციანი, ზურაბ მახარაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, გიორგი ტატიშვილი).

წყალსაცავის ფსკერზე გამოვლენილი ძეგლების დაზვერვა და ფიქსაცია 2001 წლის გაზაფხულზეც განხორციელდა (ნინო შანშაშვილი, ლალი ახალაია, გიორგი ტატიშვილი, ალექსანდრე თევზაძე). დაფიქსირდა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარი და რამდენიმე ათეული კრომლეხიანი სამარხი.

2001 წლის ოქტომბერში ტროა-პროექტის ხელმძღვანელის პროფ. მანფრედ კორფმანის დახმარებით გაითხარა L ყორღანის სარიტუალო გზისა და კრომლეხის ნაწილი (ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ზურაბ მახარაძე, ტროა-პროექტის თანამშრომლები იენს ნილინგი და არიანა ზიშოვი).

2002 წლის მარტში წყალსაცავის დონე მაქსიმალურად დაეცა, რასაც ახალი ძეგლების გამოვლენა მოჰყვა, რომელთა ფიქსაცია (გიორგი მინდიაშვილი, ნინო შანშაშვილი, გიორგი ტატიშვილი და ალექსანდრე თევზაძე) მარტშივე განხორციელდა.

2002-2006 წლებში მიმდინარეობდა წყალსაცავის ფსკერის მუდმივი მონიტორინგი (ნინო შანშაშვილი, გიორგი ტატიშვილი, შალვა მელიქიძე, ალექსანდრე თევზაძე), რომლის დროსაც დაფიქსირდა რამდენიმე ახალი სამარხი და ქვის ხანის სადგომი.

წყალსაცავის ფსკერზე მოპოვებული მასალების დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ჯუანშერ ამირანაშვილმა, ბიძინა მურვანიძემ, რევაზ დავლიანიძემ, მარინე კვაჭაძემ, გიორგი ტატიშვილმა, შალვა მეღვიპეძემ, ინგა ესვანჯიამ, ნინო შანშაშვილმა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა მათგანს გადავუხადო დიდი მადლობა გაწეული მუშაობისა და დახმარებისათვის. განსაკუთრებით ურთულეს პირობებში გვიხდებოდა მუშაობა ველზე, რამდენადაც ძირითადი სამუშაოები მაღალმთიანი წალკის მკაცრი კლიმატის პირობებში, გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე მიმდინარეობდა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მხოლოდ ის ძეგლები, რომლებიც თრიალეთის კულტურის წრეში ექცევა.

თრიალეთი სამხრეთ საქართველოში მცირე კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს (ტაბ. I). საქართველოს სამხრეთი ნაწილი სომხეთის, სამხრეთ-დასავლეთი აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ ანატოლიის მთავრეხილებთან და ზეგნებთან ერთად ანტიკავკასიონს (მცირე კავკასიონი) შეადგენს.

თრიალეთის ქედის მთისწინეთი დედამიწის ისტორიის კაინოზოური ერის მესამეული პერიოდის წარმონაქმნია (დაიწყო 135-137 მილიონი წლის წინ და 70 მილიონი წელი გრძელდებოდა).

მცირე კავკასიონის ფარგლებში მესამეული (ძირითადად პალეოგენური) წყებებით აგებულია თითქმის მთელი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემა. ამ სისტემაში შემავალი სამხარის ქედი, ისევე როგორც ჯავახეთის ქედის უმეტესი ნაწილი და წალკის ქვაბული მესამეული ვულკანური ფორმაციის ე.წ. „გოდერძის წყებას“ მიეკუთვნება. ეს წყება შედგება სხვადასხვა ტიპის ლავებისაგან (ბაზალტები, ანდეზიტ-ბაზალტები, ანდეზიტები, ანდეზიტ-დაციტები, ლიპარიტ-დაციტები).

მეოთხეული პერიოდი კაინოზოური ერის (გრძელდება 60-70 მილიონი წელი) უკანასკნელ, მესამე პერიოდს მიეკუთვნება, რომელიც დედამიწის გეოლოგიური ისტორიის უკანასკნელი პერიოდია და დღესაც გრძელდება. ამ პერიოდში ჩნდება ადამიანი – Homo erectus (2-1,5 მილიონი წლის წინ). ეს არის პლეისტოცენის ადრეული საფეხური და ისტორიული ქრონოლოგიით ქვედა პალეოლითს მიეკუთვნება. მეოთხეულ პერიოდში, გამყინვარების უკანასკნელ ეპოქაში ანტიკავკასიონის მხარეში გამყინვარებას განიცდიდნენ მხოლოდ უმაღლესი მასივები და თხემები. წალკის რეგიონისათვის ეს იყო სამხარის ქედი, რომელიც დასავლეთიდან საზღვრავს მას. იმ

კატასტროფის შედეგად, რომელიც კავკასიის ფლორამ და ფაუნამ შუა პლიოცენის ბოლოში (მესამეული პერიოდის დასასრულს), გამყინვარების შედეგად განიცადა, მათი შედგენილობა უკვე დღევანდელს დაემსგავსა.

რეგიონს რთული ტექტონიკური აგებულება აქვს. მცირე კავკასიონის მთიანეთი საქართველოს ტერიტორიაში შემოდის თავისი ჩრდილო ნაწილით – განედურად გაჭიმული აჭარა-თრიალეთის მთიანი მხარით.

აჭარა-თრიალეთის მთათა სისტემა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროდან თბილისამდე განედურად გაწოლილი, მტკვრის მიერ გაჩენილი ბორჯომის ხეობით გაყოფილია ორ ნაწილად. ამ სისტემის აღმოსავლეთი ნაწილი წარმოდგენილია თრიალეთის ქედით, რომლის თხემიც მდინარეების ტანას, თემისა და გუჯარეთისწყლის აუზებს ჯავახეთის მტკვრის, ალგეთისა და ხრამის აუზებისაგან განყოფს.

სამსარის ქედისა და ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთით, ხრამის (ქცია) აუზში მდებარეობს სამხრეთ საქართველოს ზეგანის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელშიც რამდენიმე ოროგრაფიული ერთეული გამოიყოფა. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, წალკის ქვაბული (პლატო), რომლის უდაბლესი პუნქტიც ზღვის დონიდან 1480 მ სიმაღლეზე იმყოფება.

წალკის ქვაბული, რომელსაც სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგანის განაპირა ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს, თავისი სტრუქტურითა და რელიეფით არეკლავს მის ქვეშ ნაწილობრივ მოქცეული თრიალეთის ნაოჭა სისტემის სამხრეთის ზონის ტექტონიკურ რეჟიმს. „გოდერძის წყების“ შემადგენელი ნეოგენური ლავური განფენები და მათთან დაკავშირებული, იმავე ასაკის კონტინენტური ნაფენები წალკის რაიონის ფარგლებში ქმნიან ეფექტური ნაოჭების სისტემას ჩრდილო-აღმოსავლური და აღმოსავლური დერძების გაბატონებული მიმართულებით. გრძელი და ვიწრო ანტიკლინები მორფოლოგიურად სერებს, ხოლო ბრაქისინკლინები, სინკლინები ქვაბულებსა და ხეობებს შეესაბამებიან. ქვაბულები ნაწილობრივ ამოვსებულია ტბურ-მდინარეული ნალექებით, ხოლო სერები გახერხილია ეროზიული ხეობებით. სინკლინურ ქვაბულთა შორის აღსანიშნავია ბეშთაშენისა და ბარეთის (კარიაკის) ქვაბულები, ანტიკლინურ სერთაგან კი წალკის, ბეშთაშენისა და სხვა სერები.

წალკის ჰიდროგრაფიული ქსელი ევრაზიის გაუმდინარი შიდა აუზის შემადგენელი ნაწილია. ამ აუზის მნიშვნელოვანი მდინარეა მტკვარი (საერთო სიგრძე - 1515 კმ), რომლის მარჯვენა შენაკადების სისტემაში შედის წალკის ტერიტორიაზე გამდინარე წყლები. ამ მდინარეთაგან ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანია მდ. ქცია ანუ ხრამი (220 კმ), მდ. ალგეთი (128 კმ). მდ. ალგეთი თრიალეთის ქედიდან, კლდეკარის ციხის ძირში იღებს სათავეს. მდ. ქციაც თრიალეთის ქედიდან იღებს სათავეს. წალკის პლატოზე თავკვეთილის მთასთან, ნარიანის ველის გავლის შემდეგ შემოდის. სოფ. ავრანლომდე, მცირე მონაკვეთების გამოკლებით, ღრმა ხეობებში მოედინება, შემდეგ გამოდის ავრანლო-ნარდევანის დაბლობზე, ბეშთაშენის ქვაბულის გავლით შედის ქ. წალკაში, ხოლო სოფ. დაშ-ბაშთან „დახრამდების“ [ვახუშტი ბაგრატიონი, 1973გვ. 319], საიდანაც ბაზალტური ლავის განფენაში ჩატრილ ღრმა კანიონების გავლით გადის ქვემო ქართლის ვაკეზე და მდ. მტკვარს უერთდება. სოფ. არახლოს ქვემოთ ხეობა განიერდება, კალაპოტი იტოტება. ქვედა დინებაზე გამართულია ხრამის სარწყავი სისტემა, რომელიც მარნეულისა და ბოლნისის რაიონებს ემსახურება. ქ. წალკასთან მდინარე კაშხლითაა გადაკეტილი და შექმნილია წალკის წყალსაცავი, რომელიც ხრამი I და ხრამი II ჰიდროელექტროსადგურებს ამარაგებს წყლით. წალკის წყალსაცავი ბეშთაშენის სინკლინურ ქვაბულშია მოთავსებული.

მდ. ქცია წალკის რაიონის ძირითად სამდინარო არტერიას წარმოადგენს, რომლის გასწვრივაც ადამიანი უძველესი დროიდან სახლობდა.

წალკის ზეგანზე ძირითადად ტექტონიკური ტიპის ტბები გვხვდება. ამ ტიპის ტბებს მიეკუთვნებიან ბარეთისა და სანთის (უზუნგელი) და ზოგიერთი მცირე ზომის ტბა. ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი უკვე დაშრობის პირასაა მისული (კარიაკის, დაშ-ბაშის, იმერას და სხვა).

წალკის კლიმატი კონტინენტური ჰავით ხასიათდება. საკმაოდ მაღალი მთაგრეხილებით გარშემორტყმულსა და თავადაც მაღლა მდებარე ამ მხარეში გარედან შემოჭრილი ჰაერის ნაკადების ეფექტი იზრდილება ადგილობრივი ოროგრაფიული პირობების ზემოქმედებით. წლის ცივ ნახევარში, აქ რადიაციული გაცივების შედეგად, ხშირად ვითარდება ტემპერატურული ინვერსიები, რომელთაც თან სდევს წყნარი, უღრუბლო და ცივი ამინდი. ზამთრობით ზეგანი საგრძნობლად უფრო ცივია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა, ამავე სიმაღლეზე მდებარე რაიონები. ჰაერის ტემპერატურის რხევის ამპლიტუდა ამ მხარეში 25-26 გრადუსს აღწევს. წალკის ქვაბულს ახასიათებს ზომიერად ნოტიო ჰავა, ცივი ზამთრით და ხანგრძლივი ზაფხულით, სუბტროპიკული ზეგნის მშრალი ჰავისაკენ გარდამავალი, ნალექიანობის ორი მაქსიმუმით წელიწადში. იანვრის საშუალო ტემპერატურა -3-8 გრადუსია, ივლისისა 15-20 გრადუსი; აბსოლუტური მინიმუმები - 25-30 გრადუსს უდრის. ატმოსფერულ ნალექთა წლიური რაოდენ-

ნობა 500-600 მმ-ია, მაქსიმალური თვიური ნალექიანობა 100-120 მმ (ივნისი) და 50-70 მმ (სექტემბერი). მინიმალური თვიური ნალექიანობა 15-25 მმ (იანვარი) და 30-40 მმ (აგვისტო). აბსოლუტური სინოტივე 13 საათზე იანვარში 60-65 %, აგვისტოში 55-60 %. მდგრადი თოვლის საბურველის ხანგრძლივობა 2-5 თვე.

წალკის ზეგანის ნიადაგური საბურველი რთულია. გეოლოგიური სტრუქტურა და ლითოლოგიური გავლენა თავს იჩენს ნიადაგთა ქიმიურ შემადგენლობაში. ბაზალტებზე ჩამოყალიბებული ნიადაგები განირჩევიან კარბონატული შემადგენლობით.

წალკის ნიადაგური არე მთა-ტყის და მთა-მდელოს ნიადაგებით ხასიათდება, რაც მისი მაღალი ჰიფსომეტრული მდებარეობით არის გამოწვეული. აქ სამი ძირითადი ზონა გამოიყოფა: 1. თრიალეთის ქედის ძირი ჰიფსომეტრულად აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეებისა და მთისწინეთის გარდამავალი ტყესტეპის და ტყის ნიადაგების ზონაში ექცევა. თრიალეთის ქედის მთისწინეთი დაფარულია ტყის ყავისფერი ნიადაგებით, რომელთა შორისაც ფართო გავრცელება აქვთ მცირე სისქის მქონე, სუსტად განვითარებულ სახესხვაობებს. 2. თრიალეთის ქედის მთა-მდელოთა რაიონი, რომელიც ხასიათდება მთის შავმიწების ფართო განვითარებით, რაც დაკავშირებულია დიდ სიმაღლეებზე მდებარე, ვულკანური გენეზისის მქონე ვაკეების არსებობასთან. ამ ნიადაგების გავრცელების ზონა 1200-2400 მ სიმაღლეებს მოიცავს. 3. სამხრეთ საქართველოს მთის შავმიწებისა და მდელოს ნიადაგების ზონის წალკა-დმანისის რაიონი 2000-2100 მ სიმაღლეზე ვრცელდება და ძირითადად შავმიწა ნიადაგებით არის შემოსილი. ეს ნიადაგები კარბონატული, საშუალო და გამორტუტვილი ნიადაგების ტიპებს მიეკუთვნებიან.

თრიალეთის ქედი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებას. იგი გამოირჩევა მრავალსართულიანი ლანდშაფტით, საშუალომთიანი რელიეფით, ნესტიანიდან კონტინენტურისაკენ ცვალებადი ჰავით, ლანდშაფტური სარტყელებით ტყიანიდან ალპურამდე, ახალგაზრდა ვულკანური ფორმებით და აღმოსავლეთისაკენ კლებადი მეზოფილური (კოლხეთის ტიპის) ფლორით.

თრიალეთის ქედის რეგიონი შუალედური, გარდამავალი კლიმატური ხასიათით გამორჩეულია მცირე კავკასიონის ოლქის შემადგენელ რეგიონთა სისტემაში. აქ არის მთიანი კოლხეთის მცენარეულობის გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთი არე. რეგიონის რელიეფი სხვადასხვა

დონეებზე მდებარე მოსწორებული დენუდაციური ზედაპირების გავრცელებითაც გამოირჩევა. თრიალეთის ქედი მცირე კავკასიონის ერთადერთი ისეთი რაიონია, სადაც მეოთხეული ვულკანიზმის გამოვლინებებმა მორფოლოგიური კვალი დატოვეს, მთიან-ეროზიულ რელიეფზე დადგმული ნაგებობების სახით.

თრიალეთის ქედის ბუნება სამეურნეო საქმიანობით ძლიერაა გარდაქმნილი. ამ ცვლილებათა მნიშვნელოვანი წილი უკანასკნელ ასწლიან პერიოდზე მოდის. მოხუცთა მოგონებანი და ტაძრებისათვის მსხვერპლად მიტანილი ნადირთა რქები მოწმობენ, მაგალითად ირმების სიმრავლეს თრიალეთის ქედის ტყეებში XIX საუკუნის ბოლომდე. ნადირთა სიმრავლეზე ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებს. გარეული ცხოველების მრავალფეროვნებაზე წალკის რაიონში გათხრილ არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალის სიმრავლეც მიუთითებს. მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ჯინისის ნამოსახლარი (ძვ.წ. XVII ს.), სადაც დადასტურებულია ირმის, შვლის, ნიამორის თუ ჯიხვის, დომბის და სხვ. ცხოველების ძვლები. რეგიონში დღესაც გვხვდება დათვი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, შველი, გარეული ღორი, კურდღელი.

თრიალეთის ზოგ ნაწილში (მაგალითად, ატენის ხეობა, ბედენის პლატოს სამხრეთი ნაწილი) ტყეები ახლო წარსულში გაიკაფა. წალკის მოსახლეობის გადმოცემით (სოფ. რეხა, ხანდო, ოლიანქი, ნარდევანი) XX ს-ის დასაწყისისათვის კიდევ იყო შემორჩენილი ტყიანი კორომები, სადაც საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებისათვის ხის მასალას ამზადებდნენ. თუმცა რაიონის უმეტესი ნაწილი XVIII საუკუნისათვის უკვე უტყეო ჩანს [ვახუშტი ბაგრატიონი, 1973, გვ. 319].

წალკის ზეგანი დღეს მთლიანად უტყეოა. ხელოვნური ტყეების განაშენიანება კი 50-იან წლების წინ დაიწყო. ბუნებრივი ტყის სარტყელი კი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე, ბედენის და გომარეთის პლატოებს შორის მოქცეულ ხეობებში შემორჩა. ტყის ეს მასივები წალკის პლატოს ცენტრიდან 10-15 კილომეტრითაა დაცილებული.

თრიალეთის ქედის გეოლოგიური აღნაგობა მსგავსებას იჩენს აჭარა-იმერეთის ქედის სტრუქტურასთან, რომელთან ერთად იგი აჭარა-თრიალეთის ერთობლივ ნაოჭა სისტემას ქმნის. აქაც საქმე გვაქვს პალეოგენთან, რომელიც ნაოჭთა მარაოსებურ სისტემად არის შეჭმუჭნილი და უმთავრესად ვულკანოგენური ფაციესებითაა წარმოდგენილი. ეოცენურ ვულკანოგენურ წყებებთან ერთად, რომელთა შემადგენლობაში სხვადასხვა პრო-

პორციით შეზავებულია პორფირიტული ლავური განფენები, ტუფბრექჩიები, ტუფები, ტუფოგენური ქანები და ზღვის ნორმალური ნალექები, აქ გავრცელებულია ზედაცარცული კირქვები, პალეოცენისა და ოლიგოცენის ტერიგენული (ფიქალ-ქვიშაქვური) წყებები, ხოლო დასავლეთ ნაწილში უახლესი ანდეზიტური ლავებიც.

რელიეფის ძირითად ფონს ქმნის საშუალომთიანი ეროზიული ქედ-ხეობების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული მიოცენური დროიდან, დანაწევრების გარდიგარდმო და გასწვრივი ელემენტების შეთანაწყობით (პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ძამის, თექმის ქვემო წელის, კავთურას უმეტესი ნაწილის ხეობები; მეორეს კი გუჯარეთისწყლის, ვერეს, ნაწილობრივ თექმისა და ალგეთის ხეობები). ამ ფონზე წყვეტილად განვითარებულია მოსწორებული ბრტყელი ზედაპირები, ვულკანური ნაგებობანი, მდინარეული ტერასები, მწვერვლები, ხელოვნური გამოქვაბულები და სხვა.

თრიალეთის ქედის თხემს ბორჯომიდან თბილისამდე 120 კმ სიგრძე აქვს. თხემის მიმართულება ზოგადად განედურია. ბოლო ნაწილებში კი მოსაზღვრე ბარის ვაკეებისაკენ იხრება. ქედის დასავლეთი და აღმოსავლეთი ბოლოები განტოტვილია. წყალგამყოფ ქედზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, თანამიმდევრულად განლაგებულია შემდეგი მწვერვალები და უღელტეხილები: მ. ოშორა (სოფ. აწყურის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2603 მ), მ. ორთათავი (2513 მ), მ. დამწვარიათალი (2708 მ), მ. ყარაყაია (2853 მ, ქედის უმაღლესი მწვერვალი), უღელტეხილი ცხრაწყარო (2458 მ), მ. ცხრაწყარო (2720 მ), მ. საყველოსმთა (2808 მ), მ. კენჭიყარო (2500 მ), მ. ქვაჯვარა (2600 მ), მ. ჯამჯა (2320 მ), მ. არჯევანი (2759 მ), მ. მზისცხვირი (2250 მ), მ. დიდგორი ვერისა (1893 მ), მ. ნიშნისმთა (1520 მ) და სხვ.

რეგიონის ფარგლებში წარმოდგენილია ორი ლანდშაფტური სარტყელი – ტყიანი და ალპური. ტყიან სარტყელს ჰიფსომეტრულ შუალედში 1000-1200 მ-დან (ბორჯომის ხეობაში 800-900 მ-დან) სარტყლის ზედა საზღვრამდე ახასიათებს წიფლნარი და შერეული წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყეები ყომრალი ნიადაგებით. სოჭი და ნაძვი გავრცელებულია ხეობათა უმრავლესობაში, ბორჯომულასა და გუჯარეთისწყლის ხეობებიდან კავთურას ხეობამდე. ნაძვნარის მოზრდილი მასივი ალგეთის ხეობის სათავეშიც არის, სამხრეთ ფერდობზე. მთელ რიგ რაიონებში ტყე გაჩეხვის, ხანძრებისა და პირუტყვის ძოვების შედეგად განადგურებულია, სადაც მეორადი მდელობია წარმოქმნილი. ტყის ზედა საზღვარი ბევრგან ხელოვნურადაა დადაბლებული, ხოლო ტყეებში ველობებია (ახოები) გაჩენილი. ქედის

აღმოსავლეთ ნაწილში მუხნარ-რცხილნარებიც არის გავრცელებული (თრიალეთის გეოლოგიური და გეოგრაფიული დახასიათება მოცემულია ლ. მარუაშვილისა [მარუაშვილი 1964, გვ. 47, 60-61, 267-268, 302-305; მარუაშვილი 1990] და ა. ჯანელიძის [Джанелидзе, 1980, გვ. 6-7, 64-67] ნაშრომების მიხედვით).

წალკის მუნიციპალიტეტი შიდა ქართლისაგან თრიალეთის ქედითაა გამოყოფილი, რომელთანაც რამდენიმე გადასასვლელი აკავშირებს. თრიალეთზე გამავალი ძველი გზები სამხრეთისაკენ სამი ძირითადი მიმართულებით – ჯავახეთისაკენ, დმანისისაკენ და ქვემო ქართლის დაბლობისაკენ მიდის.

ჯავახეთისაკენ, ფარაენის ტბის პირას გამავალი გზა ერთი მხრივ ქ. გიუმრის გავლით მდ. არპაჩაის ხეობით არარატის დაბლობზე ჩადის, მეორე მხრივ კი ხოზაფინის ტბასთან გადის და არდაგანისაკენ მიემართება, სადაც მდ. მტკვრის აუზში ხვდება. გზის ამ მონაკვეთს, ახალქალაქთან, წალკის ქვაბულიდან ტაბაწყურის ტბასთან ამოსული გზაც უერთდება.

დმანისისაკენ მიმავალი გზა ჭოჭიანის ხეობის გავლით მდ. მაშავერას ხეობაში ჩადის და შემდეგ, ბამბაკის ქედზე არსებული გადასასვლელით ასევე არარატის დაბლობზე გადის.

სრამის ხეობისა და მდ. მტკვრის გაყოფებით აღმოსავლეთით მიმართული ერთი გზა კასპიის ზღვის სანაპიროსკენ მიემართება, რომლის ერთი განშტოება სამხრეთ-აღმოსავლეთით ურმიის ტბისკენ უხვევს და ირანის ზეგანისაკენ მიემართება.

დღეს მოქმედი გადასასვლელი, რომელიც ავრანლო-რეხა-ხანდოს გზის გაგრძელებაზეა, რეგიონს გუჯარეთის ხეობასთან აკავშირებს. შუასაუკუნეებში ინტენსიურად მოქმედი კლდეკარის უღელტეხილი კი, რომელიც თექმისა და კავთურას ხეობებისაკენ გადადის, დღეს ნაკლებად ფუნქციონირებს და ძირითადად საურმე-საცხენოსნო მიმოსვლისათვის გამოიყენება. თრიალეთი ჯავახეთს ორი გადასასვლელით უკავშირდება. ერთი ყიზილქილისა-საბიდახჩა-ტაბაწყურზე მიემართება, მეორე კი ნარდევანიდან ჭიქიანის უღელტეხილის გავლით ფარაენთან გადის. სამხრეთით მიმავალი გზა ჭოჭიანის ხეობის გავლით დმანისისაკენ მიემართება. ქვემო ქართლის ვაკისაკენ მიმავალი ერთი გზა ბედენის უღელტეხილის გავლით თეთრიწყარო-სამშვილდეზე გადის, მეორე კი მანგლის-ფარცხისის გზას გაივლის და სოფ. კოდასთან თბილისი-მარნეულის ცენტრალურ მაგისტრალს უერთდება.

თრიალეთის ძირითადი ბუნებრივი სიმდიდრეებია სასოფლო-სამეურნეო ნიადაგები, ანდეზიტ-ბაზალტები, პემზა, პერლიტი, კირქვა. გეოლოგიური მონაცემებით, თრიალეთის ქედზე რკინა, სპილენძი, ტყვია-ვერცხლი და ოქრო მოიპოვება [Tvaltshrelidze 2001], მდ. ხრამის ხეობაში კი ოქროს ქვიშრობული საბადოა [ხარატიშვილი 1990, გვ 51]. XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენმა ექსპედიციამ დააფიქსირა მდ.ქციაში, სოფ. რეხასა და ხანდოს გასწვრივ, ოქროს ქვიშის მოპოვების ფაქტები. სპილენძის ძველი საბადო აქვე, სოფ. ხანდოსთან მდებარეობს. საბადო თრიალეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზეა. ქედის მეორე, ჩრდილოეთ კალთაზე, უშუალოდ ხანდოს საბადოს მოპირდაპირედ, გუჯარეთის ხეობაში 1904 წელს ბრინჯაოს ნივთების განძი აღმოჩნდა. სოფელ თელოვანთან აღმოჩენილი განძი შეიცავდა ბრინჯაოს იარაღებსა და ცულებს, მათ ჩამოსასხმელ ყალიბებსა და ბრინჯაოს ზოდებს [Куртин 1944, გვ. 319, 337, ტაბ. VI, სურ. 16-4,5,6; ნიორაძე 1944, გვ. 179-182; ქორიძე 1965, გვ. 25; ღამბაშიძე, ტატიშვილი 1982, გვ. 63-73; ბერძენიშვილი 1985, გვ. 12]. აქვეა აღმოჩენილი სპილენძის ქვაბი [ნიორაძე 1944, გვ. 191]. სოფ. წაღვერთან, უზნარიანის ციხის ქვემოთ 1911 წელს გაითხარა ობსიდიანის დასამუშავებელი და სპილენძის თუ ბრინჯაოს იარაღების ჩამოსასხმელი სახელოსნო, სადაც 10 ც თიხის ყალიბი, თიხის საქშენი მილები, სპილენძის მადნის ნაშთები, ჯართის სახით შემორჩენილი ბრინჯაოს ნივთები, წიდა, ობსიდიანის, ძვლისა და ქვის იარაღები აღმოჩნდა [Иессен 1935, გვ. 140-141; Куртин 1944, გვ. 337-338; ნიორაძე 1944, გვ. 178-190; ქორიძე 1965, გვ. 49]. ტაბაწყურის ტბის მიდამოებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოს წიდა [ნიორაძე 1944, გვ. 196]. გუჯარეთისხევში, სოფ. გვერდისუბანთან, თრიალეთის ქედზე მდებარეობს მთა, რომელსაც მადანი ჰქვია [ბერძენიშვილი 1985, გვ. 12]. როგორც აღინიშნა, თრიალეთის ქედზე რკინა, სპილენძი, ტყვია-ვერცხლი და ოქრო მოიპოვება. მართალია ამ საბადოების და თელოვანის სახელოსნოს არქეოლოგიური შესწავლა არ განხორციელებულა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თვით ამ მადნების აქ არსებობა უკვე საყურადღებო ფაქტია.

ნიშანდობლივია, რომ უშუალოდ ხანდოს საბადოსთან, თელოვანისა და წაღვერის სახელოსნოებთან გადის თრიალეთ-გუჯარეთის დამაკავშირებელი გზა. გუჯარეთის ხეობიდან თრიალეთში მხოლოდ ეს გზა გადმოდის. იგი იწყება სოფ. გუჯარეთთან, გადაივლის თორის მთას და სოფ. ხანდოსთან ჩადის. შიდა ქართლიდან ერთი გადმოსასვლელი მდ. ტანას სათავეზე

გადის, შემდეგ თარიანის მთის უღელტეხილზე გადადის და სოფ. რეხასთან, რომელიც სოფ. ხანდოსაგან ორიოდ კილომეტრითაა დაცილებული, გუჯარეთიდან მომავალ გზას უერთდება. ამ გზების შესაყარშია აგებული თეზის (ავრანლო) ციკლოპური სიმაგრე. აქვეა მრავალფენიანი ნამოსახლარი, სადაც ყველაზე მძლავრია მტკვარ-არაქსის კულტურის და გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენები.

მესამე გზა ატენის ხეობიდან იწყება, გადმოივლის თრიალეთის ქედს და ჩამოდის სოფ. ჩოლიანთან, სადაც ორი მიმართულებით იტოტება – ერთი მიდის სოფ. აშკალასაკენ, სადაც ცრიცის „ციკლოპურ“ სიმაგრესთან ჩამოდის, მეორე განშტოება კი ახალდაბა-ბეშქენაშენისაკენ მიემართება.

მეოთხე გზა თემის ხეობას მიუყვება და კლდეკარზე გადის, გაუვლის ბარეთის, საბეჭდავის და ბეშთაშენის „ციკლოპურ“ ნამოსახლარებს. ყველა ეს გზა თრიალეთის ტაფობზე ჩამოდის და აქედან სხვადასხვა მიმართულებით მიემართება. ჯავახეთისაკენ, ფარავნის ტბასთან მიმავალი გზის დასაწყისში ნარდევანის „ციკლოპური“ სიმაგრე მდებარეობს, ტაბაწყურთან დამაკავშირებელი, ასევე ერთადერთი გზის დასაწყისში კი ოზნის ციხეა აგებული.

თრიალეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მასზე გამავალი გზები, ამ რეგიონს გზაჯვარედინის ფუნქციას აკისრებს. თრიალეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება, ბუნებრივ რესურსებთან ერთად, საუკუნეთა მანძილზე ამ მდგომარეობითაც იყო განპირობებული.

თრიალეთის ბუნებრივი პირობები ადამიანის განსახლებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის მეტად ხელსაყრელი იყო და ასეთად რჩება დღესაც. ადამიანის ხანგრძლივმა და ინტენსიურმა საქმიანობამ რეგიონის ლანდშაფტს ღრმა კვალი დაამჩნია.

**თავი I.**  
**თ რ ი ა ლ ე თ ი ს    წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ**

წალკის რაიონში უძველესი ფაუნის ნაშთები ბეშთაშენთან (ხმალკბილა ვეფხვი, სამხრეთული სპილო და სხვ.), იმერასთან (სამხრეთული სპილო) და სოფ. დარაკოვთან (ცხენი) არის აღმოჩენილი, რომლებიც 1,5 მილიონი წლის წინათ სახლობდნენ ამ რეგიონში. ეს ორი უკანასკნელი აღმოჩენა დაკავშირებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან [ნარიმანიშვილი 2004].

თრიალეთში ადამიანი ძველი ქვის ხანიდან დასახლებულა. სოფ. ავრანლოსთან აღმოჩენილი ანდეზიტ-ბაზალტისაგან დამზადებული ხელცულები და სხვა იარაღები აშელის ეპოქის (2 000 000 – 100 000 წლის წინ) გვიან საფეხურს განეკუთვნება. შუა პალეოლითის (100 000 – 35 000 წლის წინ) მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები კი მრავალ პუნქტშია (ელი-ბაბა, ბეშთაშენი, სანთა, ავრანლო, ოზნი, ჯინისი, იმერა) დადასტურებული. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ზონაშიც (იმერა – KP-110, ელი-ბაბა – KP-116, აი-ილია – KP-123, სანთა – KP-129) აღმოჩნდა.

მეზოლითის პერიოდი (12 000 – 8 000 წწ. ჩვ.წ. აღ-მდე) პლეისტოცენის (ქვედა, შუა და ზედა პალეოლითი) დასასრულსა და ჰოლოცენის (გამყინვარების მომდევნო ეპოქა, რომელიც დაიწყო 10-12 ათასი წლის წინ და დღესაც გრძელდება) დასაწყისს ემთხვევა. ამ ეპოქის ძეგლები თრიალეთში აღმოჩენილია ეძანში (ბარმაქსიზი), ზურტაკეტში, თაქ-ქილისაში, ბეშთაშენში, აი-ილიას მთაზე.

გვიანი ნეოლითის თუ ადრე ენეოლითის მცირერიცხოვანი მასალები აი-ილიას მთის თხემზე (KP-123) ჩატარებული გათხრებისას იქნა მოპოვებული.

ადრე ბრინჯაოს ხანის (3 500 – 2 300 წწ. ჩვ.წ. აღ-მდე) ძეგლები მიკვლევულია და ზოგი გათხრილია: ბეშთაშენში, ოზნიში, ავრანლოში, დაშბაშში, ქ. წალკაში, ბაშქოიში, სანთაში.

შუა ბრინჯაოს (2 300 – 1 800 წწ. ჩვ.წ. აღ-მდე) ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში თრიალეთური კულტურაა გავრცელებული. კულტურის სახელწოდება თრიალეთის პლატოზე გათხრილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლიდან (ბ. კუფტინი) იღებს სათავეს.

ბ. კუფტინის მიერ XX ს-ის 30-40-იან წლებში ჩატარებული სამუშაოების დროს სხვადასხვა ეპოქის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი იქნა დაფიქსირებული. შემდეგში რეგიონის არქეოლოგიურ შესწავლას თრიალეთის (ხელმძღვ. ო. ჯაფარიძე. სწავლობდა შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს), სამხრეთ საქართველოს (ხელმძღვ. მ. გაბუნია. შეისწავლა ქვის ხანის ძეგლები) და წალკა-თრიალეთის (ხელმძღვ. გ. ნარიშანიშვილი) ექსპედიციები ახორციელებდნენ.

სხვა ეპოქის ძეგლებთან ერთად ექსპედიციებს შესწავლილი აქვთ გვიანი ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XVI-X სს), ადრე რკინის ხანისა (ძვ.წ. IX-VIII სს) და რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VII-VI სს) არქეოლოგიური ძეგლებიც. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია ბარეთის, ელი-ბაბას, ახალდაბის, სანთის, აშკალას, გუმბათის, ავრანლოს, ოზნის და ნარდევანის „ციკლოპური“ სიმაგრეებსა და ნამოსახლარებს, წინწყაროს, სანთის, მარალინდერესის, თაქქილისას, დარაკოვის, ბეშთაშენის, საფარ-ხარაბასა და ელი-ბაბას სამაროვნებს.

მხარის განსაკუთრებული აყვავება მტკვარ-არაქსის კულტურის და „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ ეპოქებს ემთხვევა.

ძვ.წ. II ათწლეულის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის თრიალეთის ძლიერების დამადასტურებელია „ციკლოპური“ ნამოსახლარები და სიმაგრეები, რომლებიც უძველესი ქართული სახელმწიფოს დაიაენი-დიაუხის ჩრდილოეთ ფორპოსტებს წარმოადგენენ.

ანტიკური ხანის ძეგლები მიკვლეული და ნაწილობრივია შესწავლილი ბეშთაშენში, სანთაში, ნერონ-დერესში, კარიაკში და სხვ.

ადრეულ შუა საუკუნეებში წალკის ტერიტორია ინტენსიურადაა ათვისებული. ახალი რელიგიის, ქრისტიანობის შემოდგომასთან ერთად თრიალეთში იწყება დიდი სააღმშენებლო საქმიანობა.

VIII საუკუნეში თრიალეთს არაბები იპყრობენ, მაგრამ გუარამ მამფალის მეოხებით მალევე თავისუფლდება.

IX საუკუნიდან თრიალეთი განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის. თრიალეთის ერისთავთა, ბაღვაშთა ამბიციები საქართველოს გაერთიანებას აფერხებდა - ისინი სამეფო ტახტის დაკავებასაც ცდილობდნენ. მათ სეპარატისტულ ქმედებას დავით აღმაშენებელმა დაუსვა წერტილი, რომელმაც 1103 წელს თრიალეთის საერისთავო გააუქმა და სამეფო დომენად აქცია.

თრიალეთის დაცემა მონღოლების შემოსევიდან დაიწყო, რომელსაც დაერთო თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობები. ყოველივე ამან მოსახლეობის შემცირება გამოიწვია. შემდგომში, თურქთა შემოსევებისა და ლეკების თარეშის შედეგად, XVIII ს-ის ბოლოსათვის თრიალეთი მოსახლეობისაგან სრულიად დაიცალა.

რუსეთსა და თურქეთს შორის 1829 წელს დადებული საზავო ხელშეკრულების შედეგად თრიალეთში, ისევე როგორც სამხრეთ საქართველოს ყველა რეგიონში, გადმოსახლეს ადრე თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების და ბერძნების მრავალრიცხოვანი ჯგუფები.

საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ წალკაშიც გამოიწვია ცვლილებები, სადაც რუსეთ-თურქეთის ყოველი ომის შემდეგ ინტენსიურად ხდებოდა თურქეთში მცხოვრები ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლება.

დღეისათვის ბერძნული მოსახლეობა თავის ისტორიულ სამშობლოს, საბერძნეთს უბრუნდება. ხოლო თრიალეთში მიმდინარეობს საქართველოს მთიან რეგიონებში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის განსახლება.

**თავი II.**  
**თრიალეთის (ვალკის) არქეოლოგიური**  
**კვლევების ისტორია**

ვალკის არქეოლოგიური შესწავლა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო.

1876 წელს სოფ. ალექსანდერსჰილფში, ამ სოფლის მკვიდრმა, შემდგომში საიმპერატორო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრმა, დავით შულცმა არქეოლოგიური გათხრები აწარმოა სოფლის მიდამოებში და სოფ. გუნია-ყალასთან. მიმოიხილა ბარმაქსიზის (დღევანდელი ქ. ვალკა) მიდამოები, სადაც მისი აზრით საყურადღებო ძეგლებს მიაკვლია. მოპოვებული მასალები გადასცა ა. კომაროვს [Шульц, 1907, გვ. 3].

1881 წელს სოფ. ავრანლოს სკოლის მასწავლებელმა ა. იოაკიმოვმა აღწერა ვალკის არქეოლოგიური ძეგლები და ნაწილობრივ გამოაქვეყნა მოპოვებული ინფორმაცია [Иоакимов, 1882, გვ. 7-9]. სოფ. წინწაროსთან მან მიაკვლია სამაროვანს. აქვე აკრიფა ობსიდიანის იარაღები. მასალები გამოაქვეყნა ა. უვაროვმა [Уваров, 1887, გვ. XXXV, ტაბ. XXXIX].

1881 წელს V არქეოლოგიურ ყრილობაზე ა. უვაროვმა აჩვენა იოაკიმოვის მიერ მოპოვებული იარაღები და თიხის ჭურჭლები [Уваров, 1887]. სოფ. ავრანლოსთან კი, იოაკიმოვმა ციკლოპური ნაგებობა დააფიქსირა, რომელთანაც კაუის ისრისპირი და სხვა ნივთები აღმოუჩენია [Уваров, 1887]

XIX ს-ის 80-იან წლებში ა. უვაროვმა ყურადღება მიაქცია მდ. ხრამის ხეობაში არსებულ ბუნებრივ გამოქვაბულებს და თრიალეთში აღმოჩენილ ობსიდიანის მრავალრიცხოვან იარაღ-ანატკეცებს [Уваров, 1887, გვ. XXXV, ტაბ. XXXIX].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1881 წელს თბილისში ჩატარებულ V არქეოლოგიურ ყრილობას, რომლის ყურადღების ცენტრში, მრავალ საკითხთან ერთად, ამ რაიონში არსებული ქვის ხანის ძეგლების და ე.წ. ციკლოპური ნამოსახლარების შესწავლის აუცილებლობის საკითხიც მოექცა. იმ საკითხთა სიაში, რომელთა შესახებაც ყრილობისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება იქნებოდა სასურველი, რიგით მეთერთმეტე იყო საკითხი მეგალითური ძეგლების შესწავლის შესახებ კავკასიაში [Труды, 1887, გვ. VII].

1889 წელს ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა წალკაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა [მუმლაძე, 2002, გვ. 98].

1896 წელს არქეოლოგიურ გათხრებს წალკაში აწარმოებდა ე. თაყაიშვილი. მან სოფ. კარიაკში, ხაჩკოვში, ბაიბურთში, სარვანსა და ბეშთაშენში სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე სამარხი გათხარა [Такайшвили, 1896; ჩარკვიანი, 2002]. შემდგომში მან არაერთხელ მოაწყო ექსპედიცია წალკაში [Такайшвили, 1907, 1913].

1903 წელს სოფ. წინწყაროს მასწავლებელმა ს. კორხანიდომ შეისყიდა არქეოლოგიური ნივთები და მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებას წერილი და მასალა გაუგზავნა. იგი იტყობინებოდა, რომ ერთ-ერთი ტბის ნაპირას წარმართული ხანის სამაროვანი აღმოაჩინა, სოფ. წინწყაროსთან ყორღანი, სოფ. გუნია-ყალასთან კი – ციკლოპური ნაგებობის ნაშთები [Грен, 1907, გვ. 44]. აღმოჩენის ადგილის შესასწავლად მივლინებული იქნა ა. გრენი. მან სოფ. ბეშთაშენის, შეპიაკის, წინწყაროს და გუნია-ყალას მიდამოების მიმოხილვისას მიაკვლია ქვის ხანის სადგომებს, შეაგროვა ობსიდიანის იარაღები, ყურადღება მიაქცია გუნია-ყალას „ციკლოპურ“ გალავანს, მიუთითა აქვე არსებულ მეგალითურ ძეგლზე და სამარხებზე [Грен, 1907].

1913 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „Археологические экскурсии, разыскания и заметки“ ე. თაყაიშვილმა ნარდევანის ციხე აღწერა, როგორც „настоящая циклопическая постройка“ [Такайшвили, 1913, გვ. 36, 37], სოფ. წინწყაროსთან კი აღნიშნული აქვს ყორღანი, რომელზეც ეკლესიის ნანგრევები იდგა [Такайшвили, 1913, გვ. 22].

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან თრიალეთის მეგალითური ძეგლების კვლევას იწყებს ლ. მელიქსეთ-ბეგი. 1924 წელს იგი ექსპედიციას აწყოფს აღბულახსა (თეთრიწყარო) და წალკაში; 1929 წელს - ჯავახეთსა და წალკაში; 1932 წელს - ტაბაწყურის რაიონსა და წალკაში; 1935-36 წლებში აგრძელებს სამუშაოებს წალკის რაიონში. ამ უკანასკნელი ექსპედიციის დროს გათხარა სოფ. შეპიაკსა და სოფ. სანომერს შორის არსებული მენჭირი-ვეშაპი [მელიქსეთ-ბეგი, 1938].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებულ სამუშაოებს, რომელიც ხრამჭკის მშენებლობასთან იყო დაკავშირებული.

მშენებლობის ზონაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენის მიზნით საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულ კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებასთან შეიქმნა კომპლექსური ექსპედიცია, რომლის არქეოლოგიურ რაზმს ბორის კუფტინი ხელმძღვანელობდა.

წალკის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით ბ. კუფტინმა წალკის რაიონში არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი შეისწავლა. ამ მონაცემების საფუძველზე მის მიერ პირველად იქნა შემუშავებული კავკასიის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაცია და ქრონოლოგია, გამოვლენილ იქნა ახალი არქეოლოგიური კულტურები.

პირველ რიგში აღსანიშნავია ტომის ბელადთა თუ მეფეთა დასაკრძლავი გრანდიოზული ყორღანები, რომელთა დარბაზებში მანამდე უცნობი, მდიდრული და უნიკალური მასალა აღმოჩნდა. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ყორღანებიდან მომდინარე ოქროსა და ვერცხლის სამკაულებმა, შტანდარტებმა, ჭურჭლებმა, ვერცხლის და ბრინჯაოს იარაღმა, შავპრიალა და მოხატულმა კერამიკამ საფუძველიანად დაიმკვიდრა ადგილი არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მსოფლიო კულტურის საგანძურში.

თრიალეთის (წალკის) არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ბ. კუფტინი) სავსელე სამუშაოებს აწარმოებდა 1936-1940 და 1947-1948 წლებში.

არქეოლოგიურად შესწავლილი იქნა პალეოლითური ძეგლები (ქ. წალკის მიდამოებში); ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები (ბეშთაშენი, ოზნი), სამარხები (დაშ-ბაში, ოზნი, ბარმაქსიზ (წალკა)-მანგლისის გზაზე) და ყორღანები (№№ IV, X, XI, XII, XIII, XIX, XXII, XXIV, XXV, XXVII, XL, XLVI); შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები (№№ I-III, V-IX, XIV-XVIII, XXIII, XXVIII-XXXI, საბიდახხას №5, XXXII-XXXIX, XLI-XLV); გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლარები (ბეშთაშენი) და სამაროვნები (ბეშთაშენი, ბაიბურთი, სანთა, წინწყარო, დარაკოვი, თაქ-ქილისა, ოზნი, ავრანლო); ძვ.წ. V - ახ.წ. IV ს-ის სამაროვნები (ბეშთაშენი, კარიაკი, დაშ-ბაში, კუშნი, ნერონ-დერესი). ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ძეგლების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია [Куфтин, 1941; Куфтин, 1948; Жоржикашвили, Гогодзе, 1974; კუფტინი, 1949; მენაბდე, დავლიანიძე, 1968; ჯაფარიძე, 1969; გოგაძე, 1972; გაგოშიძე, 1982], ნაწილი კი საქართველოს ეროვნული მუზეუმის თრიალეთის ფონდშია დაცული.

1947 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით გათხრები ჩაატარა სოფ. გუნია-ყალასთან და სოფ. ხადიკთან [გძელიშვილი, 1950; გძელიშვილი, 1954].

1957 წელს თრიალეთში მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიციამ (ხელმძღვ. ო. ჯაფარიძე). 1958 წელს ექსპედიციამ იმუშავა ზემო წალკასა და ტაბაწყურის ტბის მიდამოებში [ჯაფარიძე, 1960; ჯაფარიძე, 1962; ჯაფარიძე, 1964; ჯაფარიძე, 1969]. ზემო წალკაში, ტაბაწყურისაკენ მიმავალი გზის პირას, ადგილ საბიდ-ახნაზე გაითხარა ხუთი ყორღანი [ჯაფარიძე, 1960].

1963-1974 წლებში წალკაში მუშაობდა ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხრამის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია (თავდაპირველად ნ. ბერძენიშვილის, შემდეგ მ. გაბუნias ხელმძღვანელობით). ექსპედიციის ძირითად მიზანს ქვის ხანის ძეგლების კვლევა წარმოადგენდა [ბერძენიშვილი, 1963; გაბუნია, 1965; გაბუნია, 1972; გაბუნია, 1976; Габуниа, 1974].

1989 წლიდან დღემდე წალკის რაიონში სამუშაოებს აწარმოებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. გ. ნარიშანიშვილი). ექსპედიციის ძირითად მიზანს წარმოადგენს რაიონის ტერიტორიაზე არსებული „ციკლოპური“ ნამოსახლარების და სიმაგრეების აღნუსხვა, ფიქსაცია, ქრონოლოგიის და ტიპოლოგიის გარკვევა. პარალელურად მიმდინარეობს ახალმშენებლობების დროს გამოვლენილი ან ბუნებრივი პროცესების შედეგად დაზიანებული ძეგლების შესწავლა. 1996 წლიდან ინტენსიურად მიმდინარეობს წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლების კვლევა-ძიება.

მკვლევართა და მოგზაურთა განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის იქცევდა წალკის რაიონში მდებარე ე.წ. ციკლოპური ციხე-სიმაგრეები და ნამოსახლარები. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების რიცხვს განეკუთვნებიან არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ასეთი ძეგლების გავრცელების არეალშიც. განსხვავდებიან რა ხმელთაშუაზღვისპირეთის მეგალითური ნაგებობებისაგან, ცენტრალური ანატოლიის ამ ტიპის ძეგლებთან ერთად ერთ, თავისებურ და ერთგვაროვან კულტურულ არეალს ქმნიან.

წალკა-თრიალეთის ექსპედიციამ გათხრები ჩაატარა საბეჭდავის (ელი-ბაბა), ბეშქენაშენის (ბეშთაშენი), ზემო ბეშქენაშენის (აი-ილია), კნოლეს, თეზის (ავრანლო) და უწყლოს (სანთა) „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე და სიმაგრეებზე. დღეისათვის ცნობილი ამ ტიპის ძეგლების დიდი ნაწილი (ბარეთი, კარიაკი, საბეჭდავი, კნოლე, ბეშქენაშენი, ზემო ბეშქენაშენი, ლიპი, უწყლო, კოხაჯი, თეზი, ცრიცი, ხევლრმა, ლოშთ) აიგეგმა და აიზომა არქიტექტურულად, ტოპოგრაფიულად, გამოყენებული იქნა აეროარქეოლოგიური მეთოდები [ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 2004; ნარიმანიშვილი, მინდიაშვილი და სხვ. 1998].

სოფ. ბეშთაშენთან მიკვლეულ იქნა ძველი ქვის ხანის და მეზოლითური ეპოქის ღია ნასადგომეები.

სოფ. ავრანლოსთან დაფიქსირდა ადრებრინჯაოს ხანის მძლავრი ნამოსახლარი და გვიანი ბრინჯაოს ხანის გორანამოსახლარი.

სოფ. ბეშთაშენთან და სოფ. სანთასთან გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები.

გვიანი ბრინჯაოს ხანის გორანამოსახლარი აღმოჩნდა სოფ. რეხასთან, მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე.

გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებული, ველზე გაშლილი ნამოსახლარები სოფ. კარიაკთან და სოფ. სანთასთან (წყალსაცავის ფსკერზე) მდებარეობენ.

გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნები გაითხარა სოფ. ბეშთაშენთან, წყალსაცავის ფსკერზე, კნოლეს და საბეჭდავის ნამოსახლარებთან.

ძვ.წ. IV-I სს. მრავალფენიანი ნამოსახლარი და სამაროვანი შესწავლილი იქნა სოფ. ბეშთაშენთან, „ციკლოპური“ ნამოსახლარის სამხრეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

შუასაუკუნეების ხანის ნამოსახლარის ნაშთები გაითხარა სოფ. ბეშთაშენთან, გარყლუპის და სამეხრეს ნასოფლარებზე.

ექსპედიციის განსაკუთრებული ყურადღების საგანია წალკის წყალსაცავის ტერიტორია. როგორც აღვნიშნეთ, ამ მიდამოებში XX ს-ის 30-40-იან წლებში ინტენსიური გათხრები მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, როგორც ირკვევა, მრავალი ძველი შეუსწავლელი დარჩა.

წალკის წყალსაცავი სეზონური რეგულირებისაა, წყლის მინიმალური დონე ნოემბერ-მარტშია, რაც დროდადრო არქეოლოგიური ძეგლების გამოჩენას იწვევდა და ექსპედიცია შეძლებისდაგვარად სწავლობდა მათ.

1998 წელს წელის დონის მკვეთრად დაცემის შედეგად რამდენიმე კვადრატული კმ ფართობი გაშიშვლდა. გამოჩნდა არა მხოლოდ ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ყორღანები, არამედ სხვადასხვა ეპოქისა და ხასიათის ახალი ძეგლები.

მათ შორის აღსანიშნავია:

1. პალეოლითური ეპოქის მასალების კონცენტრაციის ორი პუნქტი. ერთი – X ყორღანის დასავლეთით 100 მ-ის დაცილებით, მეორე აი-ილიას მთის სამხრეთი ფერდის ძირში, ძველადვე არსებული, პატარა ტბის პირას მდებარეობს.

2. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები XV ყორღანის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

3. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანების (ბედენური კულტურა) მიწაყრილიანი L ყორღანი (XV ყორღანის ჩრდილო-აღმოსავლეთით). ყორღანი გაუთხრელია. კრომლესის შიგნით მოქცეულ ფართობზე გაითხარა ამავე ეპოქის მდიდრული ორმოსამარხი. ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ნივთები აღმოჩენილია კრომლესის ქვაყრილშიც.

4. ამავე ეპოქის რთული კომპლექსი დადასტურდა წყალსაცავის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი შედგება ოთხკუთხა ნაგებობების, ქვაყრილიანი მცირე ბორცვებისა და კრომლესის ცენტრში აღმართული მენჰირისაგან (სპირალების და ზიკურატის ფორმის გამოსახულებებით). კომპლექსს დასავლეთის მხრიდან მძლავრი კედელი საზღვრავს.

5. ბედენური ეტაპის ქვაყუთები – X ყორღანის აღმოსავლეთით.

6. წყალსაცავის ფსკერზე 10-მდე გაუთხრელი ყორღანი აღმოჩნდა, რომელთა დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ექვს გაუთხრელ ყორღანთან სარიტუალო-საპროცესიო გზები დადასტურდა. გზები ბაზალტის ქვებითაა ნაგები. მათი სიგრძე 20 მ-დან 300 მ-მდე მერყეობს. ეს აღმოჩენა უნიკალურია, აქამდე ასეთი სტრუქტურები აღწერილი არ ყოფილა. მხოლოდ ამ აღმოჩენამ გახადა შესაძლებელი სხვა, უკვე გათხრილ ყორღანებთან, მათ შორის ბ. კუფტინის მიერ წყალსაცავის ტერიტორიაზე გათხრილებთანაც, მიკვლეული ყოფილიყო სარიტუალო გზები.

7. გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლარი – I ყორღანის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

8. გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნები: ა) I ყორღანის სამხრეთ-დასავლეთით; ბ) XLVII ყორღანის მიდამოებში; გ) XV ყორღანის ჩრდილო-

ოეთით; დ) წყალსაცავის დამბის ჩრდილოეთით, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე.

9. ძვ.წ. IV-III სს. სამაროვანი – XV ყორღანის სამხრეთ-დასავლეთით.

10. ახ.წ. III ს-ის ქვაყუთი – X ყორღანის სამხრეთით.

11. ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარი შეპიაკის ნასოფლართან (სოფელი წყალსაცავის მშენებლობისას გაასახლეს).

ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თრიალეთის ფონდში.

ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების ყოველწლიური ანგარიშები ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში. ახალი აღმოჩენების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სხვადასხვა სტატიებსა და პუბლიკაციებში [შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1996; ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 1996; ნარიმანიშვილი, შანშაშვილი 1997; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1998; ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 2004; ნარიმანიშვილი, დავლიანიძე და სხვ. 2004; ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი და სხვ. 2005; Нариманишвили, Амиранашвили 2004; Амиранашвили, Нариманишвили 2005; Narimanishvili, Shanshashvili 1997; Нариманишвили, Шаншашвили 2000; Narimanischvili, Schanshashvili 2001; Narimanishvili, Shanshashvili 2001a].

2002-2005 წლებში ექსპედიციამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები შეისწავლა: აი-ილიას მთის თხემზე მეზოლით-ადრე ნეოლითის ეპოქის ნასადგომევის ნაშთი, სოფ. ჯინისთან ძვ.წ. XVII-XVI სს ნამოსახლარი, სოფ. საფარხარაბასთან ძვ.წ. XV-XIV სს სამაროვანი (ბაიბურთის სამაროვანი), ამავე ეპოქის სამაროვანი სოფ. იმერასთან, ძვ.წ. VII-VI სს სამაროვანი კი, ელიბაბას მთის მიდამოებში [ნარიმანიშვილი 2003ა; ნარიმანიშვილი 2004; ნარიმანიშვილი 2005].

### თავი III.

#### თრიალეთი კვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში (ახალი მონაცემები)

თრიალეთის კულტურის პირველი ძეგლები ბეშთაშენის ქვაბულის ტერიტორიაზე გაითხარა (ტაბ. II).

ბეშთაშენის ქვაბულს აღმოსავლეთიდან ბედენის ქედის დასავლეთი კალთები, სამხრეთიდან მდ. ქცია, დასავლეთიდან წინწყარო-ჯინისის დაბალი სერი, ჩრდილოეთიდან კი სოფ. სანთასა და სოფ. ბეშთაშენს შორის გაწოლილი ქედი საზღვრავს.

ქვაბულის ნაყოფიერი მიწები უძველესი დროიდან ყოფილა ათვისებული. გვიანი ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების ნასოფლართა სიმრავლე კი დემოგრაფიულ სიმჭიდროვეზე მიუთითებს. თრიალეთი, ისევე როგორც სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი, XIX საუკუნის დასაწყისისათვის გაუკაცრიელებული ჩანს. ამ დროიდან იწყება თურქეთიდან ლტოლვილი ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლება ძველ ნასოფლარებზე. ბეშთაშენის ქვაბულის ტერიტორიაზეც აღდგა რამდენიმე სოფელი. წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით სოფ. შეპიაკის და სოფ. სანომერის მოსახლეობა ჩრდილოეთ კავკასიაში გადაასახლეს, სოფლები წინწყარო, გუნია-ყალა და ხადიკი კი წყალსაცავის გარშემო არსებულ ფერდობებზე აასახლეს. მხოლოდ სანთა და ბეშთაშენი დარჩა ძველ ადგილზე.

ბეშთაშენის ქვაბულის ჩრდილოეთ ნაწილში ორი პატარა ტბა მდებარეობდა (ტაბ. III), 1941 წლის ტოპოგრაფიულ რუკაზე ისინი დატანილია, როგორც შიპიაკის და სანომერის ტბები, ადგილობრივი მოსახლეობა მათ შესაბამისად ტუტასი გელს და მოსუნინ გელს ეძახდა. ეს უკანასკნელი სახელებია გამოყენებული ბორის კუფტინის ხელმძღვანელობით შედგენილ რუკაზეც [Жоржикашвили, Гогодзе, 1974]. პირველად სწორედ ამ ტბების მიდამოებში და მდ. ქციის გასწვრივ იქნა აღმოჩენილი თრიალეთის კულტურის ძეგლები (ტაბ. II-III).

თრიალეთში, წალკის პლატოზე უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა სამუშაოებმა ყორღანებთან დაკავშირებული ახალი სტრუქტურები გამოავლინა [ნარიმანიშვილი 2000; ნარიმანიშვილი 2003; Нариманишвили 2002, Narimanishvili 2004], რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი წარმოდგენები თრიალეთის კულტურაზე.

სამუშაოები ძირითადად წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. წყალსაცავი სეზონური რეგულირებისაა. წყლის დონის დაწვევა კი ყოველთვის იწვევს ნასოფლარებისა და სხვა არქეოლოგიური ძეგლების გამოჩენას. 1999-2001 წლებში წალკის წყალსაცავის დონემ საგრძნობლად დაიწია. წყლისაგან განთავისუფლდა რამდენიმე კვადრატული კილომეტრი, რამაც გამოიწვია იმ ველის გაშიშვლება, სადაც ბ. კუფტინი აწარმოებდა ძირითად სამუშაოებს. გამოვლინდა წყლის მოქმედების შედეგად “პრეპარირებული” სხვადასხვა ეპოქის ნამოსახლარები, სამაროვნები და ყორღანები, რომლებიც წყალსაცავის შევსების (1947 წ.) შემდეგ წყლით იყო დაფარული. მათ შორის ბ. კუფტინის მიერ გათხრილი I, II, IV-IX, XV-XVIII ყორღანები და აქამდე უცნობი ნამოსახლარები, სამაროვნები და ყორღანები. ერთ-ერთ გაუთხრელ ყორღანთან (XLVII)<sup>1</sup> ქვაფენილიანი გზა დადასტურდა [ნარიშანიშვილი 2000 გვ. 47-51] (ტაბ. II).

**XLVII ყორღანი** სოფ. სანთის სამხრეთით, I ყორღანის (ბეიუკ-თეფე) დასავლეთით 552 მ-ის დაცილებით, მდებარეობს (ტაბ. IV-VI). იგი ქვაყრილიანია. მისი დიამეტრი 55-60 მ, სიმაღლე 1.2-1.5 მ-ია. მკაცრად აღმოსავლეთის მხრიდან, ყორღანის სარტყელზე მიდგმულია ქვაფენილიანი გზა (ტაბ. VIII,1), რომლის ნაპირებიც დიდი ზომის ბახალტის ქვებითაა შემაგრებული. მათ შორის მოქცეული არე კი შედარებით წვრილი ქვებითაა მოგებული. გზის დაფიქსირებული სიგრძე 370 მ-ია, სიგანე - 6 მ (ტაბ. VII).

გზაზე და გზის გასწვრივ სხვადასხვა სტრუქტურები დაფიქსირდა, რომელთა აღწერას ვიძლევიტ გზის აღმოსავლეთი კიდედან. აქ, გზის პერპენდიკულარულად, წვრილი ქვით შედგენილი გრძელი ქვაყრილია გამართული, რომელიც გზის ჩრდილოეთით და სამხრეთით თანაბარი მანძილით, 14 მეტრით გრძელდება. ქვაყრილის სიგანე 1,0 მ-ია. გზის მთელ სიგრძეზე, გზის გასწვრივ, ორივე მხარეს სხვადასხვა სტრუქტურებია გამართული: 140-150 მ-ს შორის 4,3 მ დიამეტრის ორმოა (ეს და სხვა ორმოები დაფიქსირებულია ვერტმფრენიდან გადაღებული ფოტოების და ადგილის ვიზუალი დათვალიერების შედეგად (ტაბ. V-VI)); 160 მ ნიშნულთან, ორი 3,0 და 4,0 მ დიამეტრის ორმოებია; 172 მ-ზე, ჩრდილოეთის მხრიდან, წაგრძელებული ფორმის ქვაყრილია მიდგმული; 180 მ-ზე, გზიდან 6,0 მ დაცილებით ოვალური ფორმის ქვაყრილია გამართული (სიგრძე 8,0 მ; სიგანე

<sup>1</sup> ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ყორღანების ერთიანი ნუმერაცია შემდგომში გაკეთდა, ახალი ნომერი ორმოცდაექვს ყორღანს მიეცა [გოგაძე 1972; Жоржикашвили, Гогадзе, 1974]. ჩვენ ვაგრძელებთ ამ ნუმერაციას.

4,0 მ). ეს ქვაყრილი გაითხარა 1999 წელს, მის ქვეშ ორმო ან კულტურული ფენა არ დადასტურდა; 200 მ-ზე უშუალოდ გზის კიდეგან 5,0 მ დიამეტრის ორმოა; 210 მ-ზე, გზის ჩრდილოეთით 2,0 მ დაცილებით ორმოა; 220 მ-ზე, გზის ჩრდილოეთით, 3,0 მ დაცილებით 5,0 მ დიამეტრის ორმოა; 230 მ-ზე გზის ჩრდილოეთით, 3,6 მ დაცილებით 5,0 მ დიამეტრის ორმო გაითხარა, რომლის სიღრმე 0,3 მ იყო (არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა). ამავე ნიშნულზე გზის დაზიანებული მონაკვეთიც გაითხარა. გაირკვა, რომ გზა ორ ფენადაა დაგებული, ქვედა - დიდი ქვებითაა გამართული, ზედაპირი კი წვრილი ქვებითაა მოსწორებული; 240 მ-ზე, გზის პირას 5,0 მ დიამეტრის ორმოა; 264 მ-ზე, 2,8 მ დიამეტრის ორმოს ჩატრილი აქვს გზის ნაპირი; 264-272 მ-ს შორის, ჩრდილოეთით, 5,7 მ დაცილებით 10,0 მ დიამეტრის ქვაყრილია; 300 მ-ზე სამხრეთით, ორი 5,0 მ დიამეტრის ორმოა, გზიდან ერთი 8,0 მ, მეორე 17 მ-ის დაცილებით მდებარეობს; 304-310 მ-ზე, სამხრეთით 2,0 მ დაცილებით 6,0 მ დიამეტრის ორმოა; 310-312 მ-ზე გზაზე, სამხრეთიდან მიდგმულია ოთხკუთხა ქვაყრილი (სიგრძე - 2,4 მ, სიგანე 2,4 მ); 340 მ-ზე, უშუალოდ გზაზე 4,0 მ დიამეტრის ორმოა გამართული.

ყორღანის სარტყელს (კრომლესს) გზა 365 მ-ზე უერთდება. სარტყელის სიგანე 1,0-1,2 მ-ია. სარტყელის პერანგის პირები დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა შედგენილი, შიდა სივრცე მომცრო ქვებითაა შევსებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სარტყელი გზაზე გადადის. სარტყელის გარე პირიდან გზა ყორღანის ცენტრისაკენ კიდევ 5,0 მ-ით გრძელდება. გზის და ყორღანის სარტყელთან შეერთების ადგილზე, გზის ორივე მხარეს ორი კრომლეხია გამართული, რომელთა წრეები ყორღანის სარტყელზეა მიბჯენილი. ჩრდილოეთით მდებარე კრომლეხის დიამეტრია 17,0 მ, სამხრეთისა 22,0 მ.

ყორღანის წრე თითქოს არაწესიერი ფორმისაა. ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე მისი დიამეტრი 60,0 მ-ია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 55,0 მ. ყრილი საშუალო და მცირე ზომის ბაზალტის ქვებისაგან შედგება. აეროფოტოგადღების მიხედვით, შეიძლება სამარხი კამერის მდებარეობის გარკვევა. იგი ყორღანის ცენტრშია გამართული. არ არის გამორიცხული, რომ აქ საქმე გვაქვს დასაკრძალავ დარბაზთან, რომლის კედლები ქვითაა ამოშენებული. დარბაზის კედლები უფრო დიდი ზომის ქვებით ჩანს ნაგები, ვიდრე ყრილის ქვებით. დასაკრძალავი დარბაზი, როგორც ჩანს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა, რომლის სამხრეთ კედელში, ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში ნიშებია გამართუ-

ლი (ტაბ. V,2; VI). დრომოსი თითქოს არ შეინიშნება, თუმცა აღმოსავლეთ კედელში წაგრძელებული ფორმის ღიობის ნიშნები მაინც ჩანს.

**XLVII** ყორღანის გარშემო სხვადასხვა ზომის და ტიპის ყორღანი დადასტურდა, რომელთა შორის ორი XLIX და LI გზიანია (ტაბ. VII). აქვე შეინიშნება ოთხკუთხა ნაგებობების კონტურები, სხვადასხვა ეპოქის სამარხი ქვაყუთები და წრიული ქვაყრილები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყორღანის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით გამართული სამაროვანი. დაახლოებით 1,0 ჰა ფართობზე, ზედაპირულად 50-ზე მეტი სამარხი შეინიშნება. ყველა მათგანი ერთი ტიპისაა – ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი კრომლესის (რომელთა დიამეტრი 6-14 მ-ს შორის მერყეობს) ცენტრში ბაზალტის ორი ან სამი დიდი ფილა დევს.

**XLVIII** ყორღანი I ყორღანის სამხრეთით 180 მ-ზე მდებარეობს (ტაბ. X,1). ქვაყრილიანია, ცენტრალური ნაწილი ქვებისაგან შედარებით თავისუფალია. ყრილს გარშემო შემოუყვება ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი კრომლესი (დიამეტრი 23 მ), რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან სარიტუალო გზა უერთდება. გზის დაფიქსირებული სიგრძე 48 მ-ია, სიგანე – 4 მ. მისი კიდეები დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა შემაგრებული, შიდა სივრცე კი ამავე ჯიშის საშუალო და წვრილი ქვებითაა შევსებული.

**XLIX** ყორღანი XLVII ყორღანის ყრილის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა გამართული (ტაბ. VI-VII). შემორჩენილია ბაზალტის საშუალო ზომის ქვებით შედგენილი ორმაგი კრომლესი, რომლის მაქსიმალური დიამეტრი 25 მ-ია. ცენტრში შეინიშნება წვრილი ქვებით შედგენილი ქვაყრილი. სარიტუალო გზის სიგანე 4 მ-ია, შემორჩენილი სიგრძე კი 7 მ-ს აღწევს.

**L** ყორღანი XV ყორღანის ჩრდილო-აღმოსავლეთით 100 მ-ის დაცილებით მდებარეობს (ტაბ. VIII,2; XI-XIII). შეიძლება ეს ის ყორღანია, რომლის გათხრაც კუფტინმა დაიწყო და შემდეგ მიატოვა (ამ მიდამოებში აქვს დაწყებული ბ. კუფტინს “დაბალი ყორღანული შემადლების“ გათხრა, რომლის თაობაზეც აღნიშნავს, რომ იგი ბუნებრივი ბორცვი აღმოჩნდა [Куфтин, 1938, გვ. 8-9]). XV ყორღანის ჩრდილო-აღმოსავლეთით დღეისათვის არავითარი ბორცვი ან შემადლება არ შეინიშნება (ტაბ. XVI). არ არის გამორიცხული, რომ კუფტინმა რომელიმე სხვა შემადლებაზე იმუშავა, რომელიც დღეისათვის შემორჩენილი არ არის.

ბ. კუფტინის აღწერილობის მიხედვით ამ ადგილზე დაბალი ბორცვი ყოფილა. როგორც ჩანს, ყორღანის ყრილი მთლიანად მიწისა იყო, რომელიც წყლის მოქმედების შედეგად მოიხსნა და მხოლოდ კრომლესი დარჩა.

ყორდანის სარიტუალო გზა კრომლექის ყრილს აღმოსავლეთიდან უერთდებოდა (ტაბ. XVII,1).

ს ყორდანზე დღეისათვის გათხრილია მხოლოდ გზის მცირე მონაკვეთი, კრომლექის ყრილის ერთი ნაწილი და კრომლექის შიგნით, გზასა და სამარხს კამერას შორის (იგი მდებარეობს კრომლექის ცენტრში. მისი ფართობი 5X5 მ-ს უდრის. გასათხრელია) მდებარე ფართობი (ტაბ. XVII,1).

ყორდანის სამარხს კამერასა და კრომლექს შორის, სარიტუალო გზის გაყოლებზე, გაითხარა ერთი ორმოსამარხი (ტაბ. XVIII). იგი იმდენად იყო გადარეცხილი, რომ სამარხეული ნივთების ნაწილი გაშიშვლებული იყო. სამარხს ორმოს ოვალური ფორმა ჰქონდა (1,9 X 1,2 მ), რომელშიც ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული. იგი ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით აღმოსავლეთით. ჩონჩხის ქვეშ და წინ მუქი ყავისფერი ლაქა დადასტურდა (ტყავის თუ ჭილობის ნაშთი). სამარხეული ინვენტარი ძირითადად მიცვალებულის წინ, სამარხის სამხრეთ ნაწილში ელაგა (ტაბ. XVIII,2). ინვენტარის უმრავლესობას თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. ისინი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კარგადაა გამომწვარი. ყველა ჭურჭლის ზედაპირი შავია და გაპრიალებული. კეცი და შიდაპირი მონაცრისფროა.

სამარხში აღმოჩნდა: 1. დერგი (ინვ. № 52), თიხის, მხარი რელიეფური კოპებითაა შემკული. სიმაღლე – 50 სმ. იდგა სამარხის კამერის აღმოსავლეთ კედესთან (ტაბ. XXIII,1); 2. დერგი (ინვ. № 53), თიხის, სიმაღლე – 39 სმ. სამარხის ცენტრალურ ნაწილში, მიცვალებულის მუცელთან (ტაბ. XX,3); 3. დერგი (ინვ. № 54), თიხის, სიმაღლე – 42 სმ. სამარხის სამხრეთ ნაწილში (ტაბ. XXIII,2); 4. დერგი (ინვ. № 55), თიხის, სიმაღლე – 40 სმ. სამარხის დასავლეთ კედესთან (ტაბ. XXII,3); 5. ქოთანი (ინვ. № 56), თიხის, მხარზე რელიეფური მედალიონით. ნაკლულია. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კედესთან (ტაბ. XXII,2); 6. ტოლჩა (ინვ. № 57), თიხის, სიმაღლე – 11 სმ. სამარხის სამხრეთ კედელთან (ტაბ. XX,2); 7. ტოლჩა (ინვ. № 58), თიხის, სიმაღლე – 14 სმ. სამარხის სამხრეთ კედელთან, № 56 და № 57 ჭურჭლებს შორის (ტაბ. ტაბ. XXI,1); 8. ტოლჩა (ინვ. № 59), თიხის, სიმაღლე – 14 სმ. № 57 ჭურჭელთან (ტაბ. XXI,2); 9. ტოლჩა (ინვ. № 66), თიხის, სიმაღლე – 16 სმ. მიცვალებულის ტერფებთან (ტაბ. XX,1); 10. ქოთანი (ინვ. № 67), თიხის, დაზიანებულია. მიცვალებულის უკან, კეფასთან (ტაბ. XXI,3); 11. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 68). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, № 52 და № 55 ჭურჭლებს შორის (ტაბ.

XXII,1); 12. ხის ჭურჭლის ნაშთი დაფიქსირდა მიცვალებულის უკან, მენჯის ძვალთან; 13. შტანდარტი (ინვ. № 60), ბრინჯაოსი. წარმოადგენს ბრტყელ, ოვალურ ფირფიტას, ერთ მხარეს ყუნწით. ყუნწთან ფირფიტა ოდნავ შემსხვილებულია. ყუნწი ოთხკუთხაგანიგვეთიანია, რომლის გვერდებიც აკეცილია. საერთო სიგრძე 20 სმ, მაქსიმალური სიგანე 13 სმ უდრის. შტანდარტზე შემორჩენილია ხის ტარის ნაწილი. იგი 10 სმ სიგრძეზე კარგადაა შემონახული (ამ ნაწილის აღება მოხერხდა). ტარი ოვალურ-განიგვეთიანია, შემორჩენილი სიგანე 4,0 სმ, სისქე 1,5 სმ უდრის. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში. იგი იღო ხის თუ ჭილობის ნაშთებზე, № 58 ჭურჭლის დასაველეთით (ტაბ. XIX, 1). 14. გარსაკრავი (ინვ. № 61), ოქროსი, რკალგახსნილი, დეფორმირებული. დიამეტრი 3,0 სმ. იღო შტანდარტის ხის ტარის დაზიანებულ მონაკვეთზე და როგორც ჩანს მის შესამკობად იყო გამოყენებული (ტაბ. XIX, 5). 15. სატევარი (ინვ. № 62), ბრინჯაოსი, ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 8,7 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის სახის წინ (ტაბ. XIX, 4). 16. ისრისპირი (ინვ. № 63), ბრინჯაოსი. ყუნწი დაუანგული იყო, რის გამოც მისი შენარჩუნება ვერ მოხერხდა. ისრისპირის შემორჩენილი სიგრძე 2,8 სმ-ია. აღმოჩნდა სატევართან (ტაბ. XIX, 3). 17. ისრისპირი (ინვ. № 64), ობსიდიანის, ქუსლამოდარული. სიგრძე 4,0 სმ-ია. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. XIX, 2). 18. გარსაკრავი (ინვ. № 65), ოქროსი, რქის ფორმის, ღრუ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ფხვიერ მიწაში, რომლის მოხსნის შემდეგაც №67 თიხის ჭურჭელი გამოვლინდა (ტაბ. XXIV, 3).

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები კრომლექხის აღმოსავლეთ ნაწილშიც დაფიქსირდა (ტაბ. XXVI, 1,5-11). ისინი სამარხში აღმოჩენილი კერამიკის მსგავსია.

კრომლექხის დიამეტრი 22 მ-ია. იგი შედგენილია საშუალო და წვრილი ბაზალტის ქვებით. ქვაწრის სიგანე 1,5 მ-ია. კრომლექხს სიმეტრიულად განლაგებული ოთხი შევრილი აქვს. სამი მათგანი კრომლექხის შიდა რკალზეა მიდგმული და სამარხი კამერისაკენაა მიმართული. ერთი კი, აღმოსავლეთის მხარეს გამართული, გარეთა რკალს უერთდება. მათი ურთიერთმიმართების დადგენის მიზნით, ამ მონაკვეთში მცირე სამუშაოები ჩატარდა. გაირკვა, რომ კრომლექხის გარეთა წრეს ბაზალტის ქვებით დაგებული გზა ებჯინება. მისი სიგანე 4,2 მ-ია, გამოვლენილი მონაკვეთის სიგრძე 13 მ-ს უდრის. გზის ორივე ნაპირზე, საშუალო სიდიდის ბაზალტის ქვებით, 0,8 მ სისქის კედლებია ამოყვანილი. მათ შორის არსებული სივ-

რცე საშუალო და წვრილი ქვებითაა შევსებული. გზა ოდნავ დახრილია. კრომლესთან იგი უფრო მაღალია, სადაც მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,3 მეტრითაა შემადგენელი, ხოლო აღმოსავლეთით თანდათანობით დაბლდება. განათხარი ფართობის აღმოსავლეთით დაახლოებით 30 მ-ის სიგრძეზე მიწიდან ამოჩრილი ქვების ორი რიგი შეინიშნება, რომლებიც უკვე გათხრილი გზის კიდეებს ემთხვევა. სავარაუდოა, რომ ისინი გზის ნაშთებს წარმოადგენენ. არ არის გამორიცხული, რომ გზა უფრო აღმოსავლეთითაც გრძელდებოდა.

კრომლესისა და გზის შეერთების ადგილზე არქეოლოგიური მასალა ორ ადგილზე იყო კონცენტრირებული (ტაბ. XVII 1,2). არტეფაქტების პირველი ჯგუფი გზის ჩრდილოეთი კიდის გაგრძელებაზე, კრომლესის შიდაპირის ქვების პრეპარაციისას და მათი აღების შემდეგ გამოვლინდა. არტეფაქტების მეორე ჯგუფი გზის სამხრეთი კიდის გაგრძელებაზე, ასევე კრომლესის შიდაპირის ქვების ქვეშ, დადასტურდა.

**I ჯგუფში აღმოჩნდა:** 1. გარსაკრავი (ინვ. № 71), ოქროსი, რქის ფორმის, ღრუ. სიგრძე 2,8 სმ (ტაბ. XXIV, 6). 2. გარსაკრავი (ინვ. № 72), ოქროსი, სალტისებური (ტაბ. XXIV, 9). 3. გარსაკრავი (ინვ. № 73), ოქროსი, სალტისებური (ტაბ. XXIV, 10). 3. ისრისპირი (ინვ. № 74), ობსიდიანის (ტაბ. XXVIII, 2). 4. ისრისპირი (ინვ. № 75), ობსიდიანის (ტაბ. XXVIII, 3). 5. ისრისპირი (ინვ. № 76), ობსიდიანის (ტაბ. XXVIII, 1). 6. ფირფიტა (ინვ. № 77), ბრინჯაოსი, ფრაგმენტული. 7. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 78), კარგად განლექილი თიხისა, შავი, გაპრიალებული ზედაპირით და ნაცრისფერი კეცით (ტაბ. XXVI, 5-10).

**II ჯგუფში აღმოჩნდა:** 1. გარსაკრავი (ინვ. № 79), ოქროსი, რქის ფორმის, ღრუ (ტაბ. XXIV, 8). 2. გარსაკრავი (ინვ. № 97), ოქროსი, სალტისებური (ტაბ. XXIV, 12). 3. გარსაკრავი (ინვ. № 98), ოქროსი, რქის ფორმის (ტაბ. XXIV, 7). 4. მძივი (ინვ. № 86), ოქროსი, ბიკონუსური (ტაბ. XXIV, 2; LXI, 3). 5. მძივი (ინვ. № 99), ოქროსი, კონუსისებური (ტაბ. XXIV, 1; LXI, 12). 6. ბრინჯაოს გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტები (ინვ. № 80). 7. ბრინჯაოს გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტები (ინვ. № 83). 8. ობსიდიანის ანატკეცები (ინვ. № 81). 9. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 82). 10. საქონლის ძვალი (ინვ. № 84).

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რას წარმოადგენს ნივთების კონცენტრაციის ადგილები. აქ მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩენილა, ამდენად ძნელია მათი სამარხეულ ინვენტარად წარმოდგენა. შეიძლება ვიფიქროთ,

რომ ნივთები წყლის მოქმედების შედეგად მოხვდნენ კრომლესის ქვაყრილში, მაგრამ ის გარემოება, რომ ნივთების დიდი ნაწილი კრომლესის ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა ამ ვარაუდს თითქოს გამორიცხავს. უფრო სავარაუდოა, რომ ეს ნივთები გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ, კრომლესის გამართვამდე, დააღაგეს ორ ჯგუფად.

სარიტუალო გზაზე ობსიდიანის ანატკეცები, კრომლესისა და გზის შეერთების ადგილზე კი, ობსიდიანის ისრისპირები (ინვ. №№ 87-93; 101-103) აღმოჩნდა (ტაბ. XXVII, 1-7; XXVIII, 5).

კრომლესის აღმოსავლეთი ნაწილის გათხრისას აღმოჩენილი მასალა ზემოთ აღწერილი სამარხეული ინვენტარის იდენტურია და ბედენური კულტურის წრეში ექცევა.

გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების გარდა, კრომლესის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა: 1. გარსაკრავი (ინვ. № 69), ოქროსი (ტაბ. XXIV, 13; LXI, 1). 2. გარსაკრავი (ინვ. № 70), ოქროსი, წაგრძელებული ფორმის, ბოლოებმომრგვალებული (ტაბ. XXIV, 5). 3. გარსაკრავი (ინვ. № 85), ოქროსი, რქის ფორმის, ღრუ. სიგრძე 3,0 სმ. (ტაბ. XXIV, 4). 4. გარსაკრავი (ინვ. № 100), ოქროსი, რქის ფორმის, ღრუ. ორნამენტირებული (ტაბ. XXV, 1; LXI, 2). 5. მძივი (ინვ. № 96), ბრინჯაოსი, სფერული. 6. ფირფიტები (ინვ. № 95), ბრინჯაოსი, ფრაგმენტები. 7. ისრისპირი (ინვ. № 96-ა), კაჟის ფრაგმენტი. 8. გარსაკრავი (ინვ. № 117), ოქროსი, საღტისებური, ორნამენტირებული (ტაბ. XXV, 2; LXI, 5).

მიუხედავად იმისა, რომ L ყორღანის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გათხრილი, აქ მეტად საინტერესო და მდიდრული მასალაა უკვე აღმოჩენილი.

ყორღანისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა მრავალ იმ კითხვას გასცემს პასუხს, რომლებიც გათხრებისა თუ მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ წარმოიშვა.

კრომლესის სიახლოვეს, ბედენური კულტურისათვის დამახასიებელი მრავალი, მათ შორის ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ნივთი აღმოჩნდა (ტაბ. XXV-XXVIII). სავარაუდოა, რომ ამ მიდამოებში, გარდა გათხრილი სამარხისა, კიდევ არის ამ ეპოქის სამარხები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა XV და L ყორღანს შორის დაფიქსირებული, პატარა ქვებით შედგენილი, რამდენიმე ათეული, მცირე ზომის ბორცვი, რომელთა ანთროპოგენურობა ეჭვს არ იწვევს. ქვაყრილები წარმოადგენენ 1,0-1,5 მ დიამეტრის (ან ოდნავ წაგრძელებული ფორმის) და 0,3-0,5 მ სიმაღლის ბორცვებს (ტაბ. XV,1). მათ შორის მანძილი 0,5-1,2 მ-ია. XV და L ყორღანის მიმდე-

ბარე ტერიტორიაზე ასეთი ქვები არ მოიპოვება და აქ აშკარად მოტანილია (ქვების გროვები, მცირე ფართობზე, XV ყორღანის სამხრეთ-დასავლეთითაც გვხვდება, რომლებიც აქ არსებული ანტიკური ხანის სამარხებს უნდა ეკუთვნოდეს).

XV და L ყორღანებს შორის არსებული მცირე ზომის ქვაყრილებიდან ორი გაითხარა. გაირკვა, რომ ისინი მიწის ბორცვების საფარს, ჯავშანს წარმოადგენენ. ასეთი ჯავშნის სისქე 0,01-0,015 მ-ს არ აღემატება. იქნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ყორღანების იმიტაციაა. ბორცვები მიწის ზედაპირზეა გამართული. ქვაყრილებში ობსიდიანის რამდენიმე უსახო ანატიკეცი აღმოჩნდა. სხვა მასალას ეს ბორცვები არ შეიცავენ.

ასეთივე ბორცვები დაფიქსირდა XLVII ყორღანის სარიტუალო გზის ორივე მხარეს და I ყორღანის ჩრდილოეთით (ტაბ. V, 2; VI-VII). აგებულიებითა და ფორმით მსგავსი ყრილები რიგებად, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა განლაგებული და სიგრძეში 400-500 მ აღწევს. ყრილებს შორის მანძილი 10 მ-ია, რიგებს შორის კი 30 მ.

ქვაყრილიანი ბორცვები, ჩვენი აზრით, სარიტუალო ყრილებს წარმოადგენენ და ყორღანებთან არიან დაკავშირებული. ასევე რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული ყორღანების სიახლოვეს გათხრილი ქვაყრილები (დიამეტრი 1,2-1,5 მ), რომელთა ქვეშ წრიული ორმოებია გამართული. ყრილები შედგენილია ერთ ფენად დაწყობილი, საშუალო და წვრილი ქვებით. XLVII ყორღანის სარიტუალო გზის გასწვრივ, კიდეებთან ახლოს, ერთ ათეულამდე ასეთი ყრილი შეინიშნება. გაითხარა სამი მათგანი, რომელთა ქვეშ გამოვლენილ ორმოებში (სიმაღლე 0,3-0,5 მ-ია, დიამეტრი 1,0-1,2 მ) არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

XV ყორღანის ჩრდილო-დასავლეთით 10 მ დაცილებით, ერთ-ერთი კრომლესიანი ქვაყრილის ქვეშ წრიული ფორმის ორმო დაფიქსირდა. კრომლესის დიამეტრი 4,2 მ-ია, ორმოს სიღრმე 1,5 მ, ხოლო დიამეტრი 1,5 მ-ს უდრის. იგი პირამდე იყო ამოვსებული ბაზალტის დიდი ზომის ქვებით.

XIX ყორღანის ჩრდილო-დასავლეთით 50 მ დაცილებით კი ბედენური ეპოქის სამარხი გაითხარა (ტაბ. XXXIV; XXXV).

**LI ყორღანი** XLVII ყორღანის ყრილის ჩრდილოეთით 15 მ-ის დაცილებითაა გამართული. შემორჩენილია ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი კრომლესი (დიამეტრი 23 მ), რომლის ცენტრშიც ბაზალტის წვრილი ქვებით შედგენილი ყრილი შეინიშნება. კრომლესის კიდიდან

აღმოსავლეთით სარიტუალო გზა მიემართება. მისი დაფიქსირებული სიგრძე 30 მ-ია, სიგანე – 4 მ. ყორღანი გასათხრელია (ტაბ. VII).

**LII ყორღანი** XVII ყორღანის სამხრეთით 350 მ და XV ყორღანის სამხრეთ-დასავლეთით 550 მ დაცილებით მდებარეობს. ყორღანს საშუალო ზომის ბაზალტის ქვებით შედგენილი კრომლესი აქვს. მისი დიამეტრი 9,5 მ-ია, ქვაწრის სიგანე 1,2 მ-ს უდრის. კრომლესის ცენტრში ოვალური ფორმის ქვაყრილია გამართული. ამ ნიშნებით ეს ყორღანი XLIX და LI ყორღანებს, კრომლესით კი L ყორღანს ემსგავსება (ტაბ. XXIX).

ყორღანის აღმოსავლეთით, ერთ საზუხე განლაგებული, ქვაწრიანი და ქვაყრილიანი სამარხების ჯგუფი დაფიქსირდა, რომელთა შორის ერთ-ერთს სარიტუალო გზა ახლავს.

ერთი მათგანი (სამარხი № 1) ყორღანიდან 1,2 მ-ითაა დაცილებული. კრომლესის დიამეტრი 1,2 მ-ია. მისგან 2,0 მ დაცილებით № 2 სამარხის ქვაყრილი იწყება, რომლის დიამეტრი 2,5 მ-ია. სამარხის ცენტრში ბაზალტის ბრტყელი ფილები აწყვია. № 3 სამარხის ქვაყრილი № 2 სამარხიდან 1,4 მ-ით არის დაცილებული. ქვაყრილის დიამეტრი 3,3 მ-ია. კრომლესიდან აღმოსავლეთით 3,0 მ სიგრძის და 0,7 მ სიგანის სარიტუალო გზა მიემართება. გზის ბოლოს, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,8 მ დაცილებით 1,8 მ დიამეტრის ქვაყრილია გამართული (სამარხი № 4), რომლის ცენტრში ბაზალტის დიდი ფილები აწყვია.

სამარხთა აღწერილი ჯგუფის სამხრეთით, 5 მ დაცილებით, კიდევ ერთი კრომლესია გამართული (სამარხი № 5). მას, დიდი ქვებით შედგენილი, ორმაგი ქვაწრე შემოუყვება. გარეთა წრის დიამეტრი 5-6 მ-ია, შიდაწრისა – 3 მ. მათ შორის მოქცეული არე წვრილი ქვებითაა შევსებული. სამარხის სამხრეთ ნაწილში დევს დიდი ზომის მენჰირი. იგი დამზადებულია ბაზალტის მონოლითისაგან. მისი სიმაღლე 2,2 მ-ია, დიამეტრი – 0,9 მ. მენჰირს ბრტყელი ძირი და მომრგვალებული თავი აქვს, რომლისკენაც ტანი თანდათან ვიწროვდება (ტაბ. XXX).

მენჰირი მდგარა V ყორღანზეც – „ყორუდ-ტაშ“ [Куфтин, 1936, გვ. 21], რომელიც შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ.15]. ადგილობრივ მოსახლეობას ახსოვდა, რომ ქვა ვერტიკალურად იდგა და ამიტომ უწოდეს ეს სახელი, რაც „დამცველ ქვას“ ნიშნავს. ქვის ამოღების დროს სპილენძის ოთხყურიანი ქვაბი აღმოჩნდა [Куфтин, 1937, стр. 1].

წყალსაცავის ტერიტორიაზე კიდევ ერთი მენჰირია დაფიქსირებული. ლ. მელიქსეთ-ბეგის ცნობით იგი სოფ. შიპიაკსა და სოფ. სანომერის

დამაკავშირებელი გზის მარჯვნივ, მინდორში იდგა [მელიქსეთ-ბეგი, 1938, გვ. 104].

მენჭირი ბ. კუფტინმა 1936 წელს აღწერა „Текели-Даш стоячий камень находится на границе земель, принадлежащих селениям Саномер и Шепяк (დღეისათვის ორივე სოფელი წყლის ქვეშაა მოქცეული. გ. ნ.). Никакого культового значения этот камень сейчас не имеет и известен просто как межевой камень. Однако камень этот своей величиной, формой и отделкой обращает на себя особое внимание.

Камень представляет собою возвышающийся над землей на 1,6 метра, столб из темносерой вулканической породы сигаровидной формы в окружности в средней части 2,4 метра. Поверхность его явно округло обтесана, а на стороне, обращенной к северу несколько уплощена. Судя по подземной части утолщающейся к основанию можно предполагать, что в землю погружена большая часть камня, по форме видимо напоминающей вишاپ.

В неровностях поверхности местные жители видят изображенную змею, извивы которой, действительно при некотором освещении можно заметить на одной стороне камня“ [Куфтин, 1936, გვ. 23-24].

მოგვიანებით ბ. კუფტინმა მენჭირის გათხრა დაიწყო: „Приступили к расчистке Текели-Даш, доведя раскоп вокруг него до глубины 1 метра. Нижний конец камня шел ещё глубже. Культурного слоя сколько нибудь выраженного не оказалось. Этот камень мы должны были раскопать с тем, чтобы перевести его с территории затопления на хранение в Бармаксыз“ [Куфтин 1936, გვ. 48].

ამავე წელს მისი გათხრა ლ. მელიქსეთ-ბეგმა განაგრძო და ზომებიც დააზუსტა „სიმაღლე (გათხრამდე) სამხრეთით 1,45 მ, ჩრდილოეთით 1,40 მ, სატე ზემო წელში 2 მ, ქვემოში 3 მ. ამავე ძეგლის ზომა მთლიანად ამოთხრის შემდეგ: სიმაღლე სამხრეთით 2,85 მ, ჩრდილოეთით 2,8 მ, დიამეტრი ძირში 1,15 მ, სატე ძირში 3,4 მ. მონოლითი ნამდვილად თევზად აღმოჩნდა, შემდეგი დამახასიათებელი დეტალებით: თვალი ზემო ნაწილში და ლაყუნები გვერდზე“ [მელიქსეთ-ბეგი, 1938, გვ. 105, ტაბ. XLII, XLIII].

გათხრების შემდეგ ბ. კუფტინმა კიდევ მონახულა მენჭირი „Между Саномером и Шипиаком осмотрели поваленный в траншею Л. М. Меликсетбековым „менгир“ Текели-Даш. Он оказался длиной 2,8 метра, а диаметр нижнего его конца достигал 1,16 метра“ [Куфтин, 1936, გვ. 93].

მენჭირის შემცველი, ერთ-ერთი საინტერესო კომპლექსი წყალსაცავის ჩრდილოეთ ნაწილში დადასტურდა. წყალსაცავის გამართვამდე ამ

მიდამოებში პატარა ტბა, მოსუნინ გიოლი მდებარეობდა, რომელიც წყლის დონის დაწვევის შემდეგ თავის თავდაპირველ საზღვრებში რჩება. არქეოლოგიური ძეგლი ამ ტბის ჩრდილოეთ ნაპირთან ახლოს გამოვლინდა. იგი სხვადასხვაგვარი სტრუქტურებისაგან შედგენილი კომპლექსია. კომპლექსს წაგრძელებული ფორმა აქვს (ტაბ. XXXI). იგი გაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მისი საერთო სიგრძე 140-150 მეტრია, სიგანე 22-25 მეტრი. ამ ფართობზე ზედაპირულად 5-6 მ დიამეტრის ხუთი ქვაყრილი და ორი კრომლესი შეინიშნება, მრავლადაა პატარა ზომის, 1,0-1,5 მ დიამეტრის ქვაყრილებიც. კომპლექსის ერთ მონაკვეთში ოთხკუთხა სტრუქტურების (სამარხები?) კონცენტრაცია შეინიშნება. მათ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვთ. „სამარხები“ შემოზღუდულია ცერზე დაყენებული, ბაზალტის ბრტყელი ფილებით (ასეთი ფილები ბეშთაშენის ქვაბულის მიდამოებში არ მოიპოვება. გ.ნ.). მსგავსი ფილებითაა ნაგები XIX ყორღანთან გათხრილი „ბედენური“ სამარხიც (იხ. ზემოთ). ეს „სამარხები“ მიჯრითაა განლაგებული, მათი სიგრძე 3 - 5 მ-ია, სიგანე მერყეობს 0,9 - 2,5 მეტრს შორის. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ზოგიერთი „სამარხი“ წვრილი ქვითაა დაფარული. „სამარხების“ სამხრეთ ნაწილში კრომლესია გამართული, რომლის ცენტრშიც მენჭირი დევს. იგი წარმოადგენს ბაზალტის მონოლითს, რომლის სიგრძე 2,1 მ-ია, დიამეტრი 1,2 მ. ქვა დაზიანებულია - მოტეხილია თავი და ბოლო. ქვის ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული (ტაბ. XXXII).

მენჭირი წაქცეულია. ამჟამად იგი ორიენტირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. დასავლეთ ნაწილში გამოსახულებაა ამოკვეთილი. კვეთა არაა დრმა. გამოსახულების „წაკითხვა“ ორგვარად შეიძლება.

1. იმ შემთხვევაში, თუ გამოსახულება შესრულებულია მაშინ, როდესაც მენჭირი ვერტიკალურად იდგა, მისი აღქმა შემდეგნაირად შეიძლება - კომპოზიცია ტეხილი ხაზით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ხაზის მარჯვნივ ერთი სპირალია გამოსახული, მარცხნივ კი რთული გამოსახულებაა მოცემული - მენჭირის ხილული კიდიდან (ქვის წაქცევის შედეგად გამოსახულება სრულად არ ჩანს) ორი კლაკნილი ხაზი მიემართება, მათი შეერთების ადგილიდან გრძელდება ერთი ხაზი, რომელზეც ორმაგი წრეა დასმული. მის ზემოთ სპირალია გამოსახული, რომლის გრძელი ფეხიც სამთითა გამოსახულებით ბოლოვდება. გამოსახულებებს შორის ორი წერტილია დასმული.

2. გამოსახულება თუ მენჭირის წაქცევის შემდეგაა შესრულებული, იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც საფეხურებიანი “პირამიდა” თუ

კვარცხლბეკი, რომლის ზედა საფეხურიდან კლაკნილი ხაზი აღიმართება. ეს ხაზი ორმაგი წრითაა დაბოლოებული. მისგან მარცხნივ სპირალია ამოკვეთილი, რომლის ხაზი შემდეგ ერთ მკვეთრ ზიგზაგს აკეთებს და საფეხურისაკენ ეშვება. სპირალის „ფეხი“ სამითთას გამოსახულებით ბოლოვდება. ამ ორ გამოსახულებას შორის ორი წერტილია დასმული. გამოსახულებების თავზე ტეხილი ხაზია დატანილი. კომპოზიციას ასრულებს ტეხილი ხაზის ცენტრში დასმული ერთი სპირალი.

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ როგორ უნდა „წაიკითხოს“ კომპოზიცია. ერთი ცხადია, რომ მენჭირის ის ნაწილი, სადაც გამოსახულებაა მოცემული შეძლებისდაგვარად გასუფთავდა მიწის ფენისაგან და გაირკვა, რომ კვეთილი ორნამენტი ქვის მიწით დაფარულ ნაწილზეც გრძელდება. ამდენად, ისე ჩანს თითქოს გამოსახულება მენჭირის ფეხზე დგომის დროს არის შესრულებული. არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ აღწერილი პირველი ვარიანტის ანალოგიური გამოსახულება ქვას დაფარული მხრიდანაც ჰქონდეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კომპოზიცია ე.წ. სარკისებური გამოსახულებების რიგს მიეკუთვნება. ასეთი კომპოზიციები კი მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკისათვისაა დამახასიათებელი. ამავე ეპოქის ორნამენტული სახეების ძირითადი მახასიათებელი სპირალია. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ მენჭირზე გამოსახული ორნამენტი შეიძლება ქრისტიანულ სიმბოლიკასაც მიეკუთვნებოდეს.

წალკის წყალსაცავის ფსკერზე გამოვლენილ მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან ძეგლებს შორის მენჭირებიანი ყორღანები გამორჩეული ჩანს. ამდენად მათი შესწავლა მნიშვნელოვანი შედეგების მომცემი იქნება და მრავალ კითხვას გასცემს პასუხს. რაც შეეხება აქ გამოვლენილ გრანდიოზულ სარიტუალო გზებს, ისინი უნიკალურია.

ბეშთაშენის ქვაბულის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები წყლის მოქმედების შედეგად დიდ ფართობზე ერთდროულად გამოვლინდა, რამაც მათი აღწერის და კარტოგრაფირების საშუალება მოგვცა (წყალსაცავის ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე ათეული სხვადასხვა ტიპის ძეგლი აღმოჩნდა, რომლებიც ამჟამად ჩვენი ინტერესის სფეროში არ შედის). ძეგლების უმეტესობა მთლიანადაა გაშიშვლებული, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ძეგლების ისეთი თავისებურებანი და კონსტრუქციები, რომლებიც მცირე მასშტაბის გათხრების დროს ვერ ფიქსირდება.

შემდგომი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ასეთივე გზები აქვთ ბორის კუფტინის მიერ გათხრილ III, VI, VIII, XV, XVII ყორღანებს, რომლებიც

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი [Куфтин, 1941; გოგაძე, 1972; ჯაფარიძე, 1969; Жоржикашвили, Гогодзе, 1974], ამიტომ მხოლოდ მათ მოკლე აღწერილობას მოვიტან.

**III ყორღანი.** ოვალური ფორმის (18 X 24 მ) ქვაყრილიანი ყორღანია,<sup>2</sup> რომელსაც აღმოსავლეთის მხარეს, ყრილის კიდიდან მიუყვებოდა 7 მ სიგრძის და 5 მ სიგანის „узкий шлеиф в выде алеии“, რომლის ნაპირებზეც დიდი ქვები ეწყო. იგი არ შედიოდა ყორღანის ყრილში [Куфтин, 1936, გვ. 104; Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 15, ტაბ. 9-3]. შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ იგი წარმოადგენს 41 მ სიგრძის გზას (ტაბ. IX, 1b). ყორღანში სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 66, ტაბ. 68].

**VI ყორღანი** 1,5 მ სიმაღლისა და აბსოლუტურად წრიული (დიამ. 55 მ) ფორმისაა [Куфтин, 1937, გვ. 36-37; Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 16-17, ტაბ. 9-7]. მას 160 მ სიგრძის და 6 მ სიგანის გზა აქვს (ტაბ. X, 2a).

ყორღანში აღმოჩნდა: 1. წითელკეციანი, მოხატული ჭურჭელი [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 72, ტაბ. 60, 68]. 2. წითლად შეღებილი და კრემისფერი ანგობით დაფარული ჭურჭლების ფრაგმენტები [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 75]. 3. შავად გამომწვარი ჭურჭლების ფრაგმენტები [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 73-75, ტაბ. 60, 61, 62]. 4. სარდიონისა და იასპის მძივები [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 75]. 5. ბრინჯაოს ქვების ფრაგმენტები [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 75]. 6. ვერცხლის ფირფიტის ფრაგმენტი [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 75]. 7. შტანდარტის თავი, ოქროსი [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 75-76, ტაბ. 62]. 8. გარსაკრავი, ოქროსი [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 76, ტაბ. 63]. 9. მძივები, ოქროსი [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 76, ტაბ. 63]. 10. ფირფიტები, ოქროსი [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 76, ტაბ. 63]. 11. მილაკი, ოქროსი [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 76, ტაბ. 63]. 12. მძივი, ლურჯი პასტის [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 75, 76].

**VIII ყორღანი** 1,5 მ სიმაღლის, აბსოლუტურად წრიული (დიამ. 40 მ) ფორმისაა. დასაკრძალავი მოედნის ცენტრალური ნაწილი ყორღანის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს [Куфтин, 1937, გვ. 60-61; Куфтин, 1941, ტაბ. LXV; Жоржикашвили, Гогодзе, 1974, გვ. 18-19, ტაბ. 7-1]. გზის სიგრძე 210 მ, სიგანე 5 მ-ია (ტაბ. X, 2b).

---

<sup>2</sup> ქვემოთ განხილული ყველა ყორღანი ქვაყრილიანია.

ყორღანში აღმოჩნდა: 1. შავპრიალა ჭურჭლების ფრაგმენტები [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 80, 81, ტაბ. 69, 70, 108]. 2. ხვია (2 ც), ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 81, ტაბ. 71]. 3. გულსაკიდი, ოქროსი, აქატის კულონით [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 81, 82, ტაბ. 71, 72]. 4. ფირფიტები (3 ც), ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 82, ტაბ. 71, 72]. 5. მძივები (21 ც), ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 81 82, ტაბ. 72]. 6. ფირფიტა, ვერცხლის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 81 82]. 7. გარსაკრავი, ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 81 82, ტაბ. 72]. 8. მილაკები, სპილენძის სარჩულზე გადაკრული ოქროს ფურცლებით [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 81 82, ტაბ. 72]. 9. ფირფიტა, ბორბლისებური, ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 81 82, ტაბ. 72]. 10. გარსაკრავი, ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე 1974, გვ. 81 82, ტაბ. 72]. 11. ბრინჯაოს ფირფიტის ფრაგმენტები [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 82]. 12. მძივები და საკიდი, სარდიონის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 82, 83; ტაბ. 73]. 13. მძივი, ლურჯი პასტის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 83; ტაბ. 73].

**XV ყორღანს** თავისებური, კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმა (35 X 45 მ) ჰქონია [კუფტინ, 1938, გვ. 7; კუფტინ, 1941, სტრ. 80; ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 20].<sup>3</sup> აღმოსავლეთის მხრიდან ყორღანს ჰქონდა მცირედი დაქანება,<sup>4</sup> დანარჩენი მხარეები ამაღლებული იყო. ორმოს თავზე ყრილის სიმაღლე 1,5-2 მ-ს უდრიდა [კუფტინ, 1941, გვ. 81, 83, ტაბ. LXIV-LXVI, LXXII; ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 20, ტაბ. 7-3,4]. დღეისათვისაც ყორღანის აღმოსავლეთი მხარე თანაბრად დაქანებული. ეს ნაწილი წყლის მოქმედების შედეგად მიწითაა დაფარული, რის გამოც გზის მიმართება ყორღანთან მთლად ნათელი არ არის. თუმცა 264 მ სიგრძის და 4,5 მ სიგანის გზა (ტაბ. XIV) მკაცრად აღმოსავლეთიდან ყორღანის დრომოსისაკენ მიემართება (ტაბ. VIII, 2; X, 3; XI-XIII).

ყორღანში აღმოჩნდა: 1. შავპრიალა ჭურჭლები, თიხის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 85-88, ტაბ. 75, 76, 108]. 2. წითლად შეღებილი ჭურჭლის ფრაგმენტები, თიხის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 88, ტაბ. 76]. 3. ჯამი, წითლად შეღებილი, თიხის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 85-88, ტაბ. 75, 76, 108]. 4. სადგარი (3 ც.) თიხის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 88, ტაბ.

<sup>3</sup> დღეისათვის მას მეტ-ნაკლებად წრიული ფორმა აქვს, რაც ალბათ ბ. კუფტინის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგია.

<sup>4</sup> გათხრის შედეგად მის ქვეშ დრომოსი დადასტურდა [კუფტინ, 1941, გვ. 81, 83]. როგორც ჩანს, დრომოსის სახურავის ჩაქცევის შედეგად წარმოიქმნა ეს დაქანება. არ არის გამორიცხული, რომ სხვა ყორღანების დრომოსიც გადახურული იყო.

77]. 5. ქვაბი, სპილენძის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 88; ტაბ. 77, 108]. 6. ჭურჭელი, ბრინჯაოსი. მაღალი ფეხით და სახელურით [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე 1974, გვ. 88, ტაბ. 77, 108]. 7. სატევარი, ბრინჯაოსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 88, 89, ტაბ. 77]. 8. შუბისპირი, ბრინჯაოსი, ვერცხლის გარსაკრავით [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 89, ტაბ. 77]. 9. მახათი, ბრინჯაოსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 89, ტაბ. 77]. 10. რგოლი (2 ც) ბრინჯაოსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 89, ტაბ. 77, 78]. 11. ისრისპირი (12 ც) ობსიდიანის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 89; ტაბ. 77, 78]. 12. ფიალა (2 ც) ვერცხლის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 89, ტაბ. 77]. 13. შტანდარტის თავი, ოქროსი, ლომების გამოსახულებით [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 89, ტაბ. 79]. 14. შტანდარტის მილაკები (6 ც), ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 89, 90, ტაბ. 79]. 15. შტანდარტის საკიდები (3 ც), ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 90, ტაბ. 79]. 16. მძივები, სარდიონის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 90, ტაბ. 78]. 17. მძივები პასტისა და ფაიანსის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 90, ტაბ. 78].

**ეორდანი XVII** 1,5 მ სიმაღლის, ოვალური ფორმისაა (45 X 37 მ). [Куфтин, 1938, გვ. 9; Куфтин, 1941, გვ. 79, 83, ტაბ. LX, LXVII, LXVIII; ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 21, ტაბ. 8-1, 9-8, 15-1,2]. ეორდანის ყრილს აღმოსავლეთიდან 116 მ სიგრძის და 4,5 მ სიგანის გზა უერთდება (ტაბ. IX-la).

ეორდანში აღმოჩნდა: 1. შავპრიალა ჭურჭლები, თიხის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 91-93, ტაბ. 80, 81, 108]. 2. შავი და მონაცრისფრო ზედაპირიანი ჭურჭლები, თიხის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 92, ტაბ. 82]. 3. შავად გაპრიალებული ჭურჭლების ფრაგმენტები, თიხის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 93-95, ტაბ. 83, 84, 85, 86, 108]. 4. მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, კრემისფრად ანგობირებული და მოყავისფრო საღებავით მოხატული დიდი ზომის ჭურჭელი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 95, ტაბ. 87, 108]. 5. წითლად გამომწვარი, მოწითალო-მოყვითალო ანგობით დაფარული და შავი საღებავით მოხატული კერამიკა [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 95, ტაბ. 87, 108]. 6. მოვარდისფროდ და მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 95, 96]. 7. სატევარი, ვერცხლის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 96, ტაბ. 87]. 8. სათლი, ვერცხლის, ოქროს ჩარჩოთი. ცხოველებისა და მცენარეების გამოსახულებით [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 96, ტაბ. 87, 88]. 9. საკინძი (9 ც.) ვერცხლის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 96, ტაბ.

87]. 10. საკინძი – სარდიონებით შემკული, ოქროს თავით და ვერცხლის ღეროთი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 96, 97, ტაბ. 88]. 11. საკინძი – სარდიონებით და მთის ბროლით შემკული, ოქროს თავით და ვერცხლის ღეროთი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 97, ტაბ. 88]. 12. დისკო, ოქროსი, ორნამენტით [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 97, ტაბ. 88]. 13. მოსართავი (3 ც.), ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 97, ტაბ. 88]. 14. თასი, ოქროსი, სარდიონისა და ფირუზის თვლებით შემკული [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 97-98, ტაბ. 89]. 15. მილაკი, ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 98, ტაბ. 89]. 16. ფირფიტა, ოქროსი [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 98]. 17. ღილი, ვერცხლის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 98]. 18. მძივები, ლურჯი, მონაცრისფრო და მოთეთრო პასტის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 98]. 19. მძივები, სარდიონისა და აქატის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 98, ტაბ. 89]. 20. ქვაბი, სპილენძის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 98]. 21. ქსოვილი, შავი ფერის [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე, 1974, გვ. 98].

რამდენადაც გზიანი ყორღანები აქამდე ცნობილი არ იყო, შევეცადეთ მათი გავრცელების არეალის დადგენას. მეტად საინტერესო აღმოჩნდა გომარეთის პლატოზე, რომელიც წალკის პლატოს ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს, ო. ჯაფარიძის მიერ გათხრილი სამი (№№ 3,4,6) ყორღანი [ჯაფარიძე, 1964; ჯაფარიძე, 1969], რომლებთანაც ქვით მოკირწყლული გზები დაფიქსირდა.

**№3 ყორღანის** დიამეტრი 100 მ-ია, სიმაღლე - 8 მ [ჯაფარიძე, 1969, გვ. 24-38]. 160 მ-ის სიგრძის და 4,5 მ სიგანის გზა უშუალოდ დროშოსის დასაწყისამდე მიდის (ტაბ. IX, 2a).

**№4 ყორღანის** დიამეტრი 100 მ-ია, სიმაღლე - 8 მ, [ჯაფარიძე, 1969, გვ. 39-44]. დროშოსთან დაკავშირებული გზის სიგრძე 300 მ, სიგანე 7 მ-ია (ტაბ. IX, 2b).

**№6 ყორღანის** დიამეტრი - 84 მ, სიმაღლე - 7 მ უდრის [ჯაფარიძე, 1969, გვ. 45-48]. საფეხურებიანი ყორღანია. პირველი, ქვედა საფეხურის სიმაღლე 3 მ-მდეა [ჯაფარიძე 1969, გვ. 45-48]. გზის სიგრძე 400 – მ, სიგანე 6,2 მ-ია (ტაბ. IX, 2c).

სარიტუალო გზა ერთ-ერთ გაუთხრელ ყორღანთანაც დადასტურდა.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ყორღანთან ქვაფენილიანი გზა ყორღანის ყრილს აღმოსავლეთიდან ებჯინება (ზურტაკეტის ყორღანებთან ოდნავი გადახრა შეინიშნება). მის უშუალო გაგრძელებას უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს გრძელი დროშოსი, რომელიც გზის დასასრულს,

ყორდანის ყრილიდან იწყება და სამარხ ნაგებობაში შედის (თრიალეთის XV, XLVII, XLVIII და ზურტაკეტის №№ 3, 4, 6 ყორდანები). ყორდანთა ნაწილს დრომოსი არ გააჩნია (თრიალეთის III, VI, VIII, XVII, XLV ყორდანები).<sup>5</sup>

თრიალეთში დაფიქსირებული გზების ზუსტი ანალოგიები სხვა რეგიონებიდან დღეისათვის ცნობილი არ არის.<sup>6</sup>

ყურადღებას იქცევს გ. გობეჯიშვილის მიერ თრიალეთის ზეგანის გაგრძელებაზე, ბედენის პლატოზე დადასტურებული „ვიწრო ბილიკ-ქვაფენილი“, რომელიც „ზოგჯერ სწორად, ზოგჯერ ხვეულებით“ რამდენიმე ყორდანს აკავშირებდა. ასეთი სიტუაცია მას კუშჩის, საბიდაღჩას და ზურტაკეტის ყორდანებთანაც აქვს დაფიქსირებული [გობეჯიშვილი, 1981, გვ. 8].

პროფ. ვ. ორტმანმა ჩვენთან საუბარში გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია მის მიერ ანანაურში გათხრილ ყორდანსაც [Ortmann, 1998] ჰქონდეს ასეთი გზა. გზის ნაშთები, თითქოს ტყვიავის [მაკალათია, 1943, გვ. 32. ტაბ. VI] და ტაშირის [კახიანი, დღილვაშვილი, 1998, გვ. 88] ყორდანებთანაც შეინიშნება. სამწუხაროდ ტაშირის ყორდანების „გზების“ არც ნახაზი და არც ფოტო არ არის გამოქვეყნებული, ამდენად ჭირს მათზე საუბარი. რაც შეეხება გ. გობეჯიშვილის მიერ დაფიქსირებულ „ბილიკებს“, ასეთი ელემენტები მართლაც ახლავს ყორდანებს და არა მხოლოდ დასახელებულ პუნქტებში. ზოგიერთ ასეთ „ბილიკზე“ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი აშკარად გვიანდელია და ყორდანთან არანაირი კავშირი არა აქვს. „ბილიკების“ უმეტესობა გვიან გამართული ყორებია, რომლებიც ყორდანების სიახლოვესაა გამართული ან უშუალოდ მათ ყრილებზე გადადიან. მაგ. თრიალეთის XLVII (ტაბ. VII) და ზურტაკეტის ყორდანებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „ბილიკები“, ისე „სარიტუალო გზები“ ყორდანებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მათ სხვადასხვა ფუნქცია გააჩნიათ. თუ „ბილიკები“ ყორდანთა გარკვეული ჯგუფის „დამაკავშირებლად“ შეიძლება მივიჩნიოთ, „სარიტუალო გზა“, ყველა შემთხვევაში, კონკრეტულ

<sup>5</sup> ჩამოთვლილი ყორდანების აღწერილობიდან ჩანს, რომ მხოლოდ III ყორდანია ნამდვილად უდრომოსო. სხვა ყორდანებს, როგორც ჩანს, ხით ნაგები, მიწისზედა დასაკრძალავი დარბაზები ჰქონდათ, რომელთაგანაც მხოლოდ მცირე ნაშთები შემორჩა (Куфтин, 1941, გვ. 83; Жоржикашвили, Гогадзе, 1974, ტაბ. 7-3). გამონაკლისს წარმოადგენს XVII, ორმოიანი ყორდანი.

<sup>6</sup> შეიძლება X ყორდანსაც ჰქონდეს გზა. ამაზე უნდა მიუთითებდეს ყორდანის აღმოსავლეთით, მოხსნულ მინდორში 350-400 მ-ის სიგრძის და 5-6 მ სიგანის განსხვავებული ნიადაგი. ანალოგიური სიტუაციაა XXXVI (თოპ-კარი №1) და XLV (თოპ-კარი №2) ყორდანებთან.

სამარხ ნაგებობას ეკუთვნის და ამ ყორღანში დაკრძალულ მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალისთვისაა განკუთვნილი.

როგორც ჩანს, ყორღანების კონცენტრაციის ადგილები საკულტო-სარიტუალო არეს წარმოადგენენ, სადაც ყორღანების გარდა სხვა არქიტექტორული ფორმებიც გვხვდება. შეიძლება ამის მაგალითს წარმოადგენდეს სარიტუალო გზების დასასრულს, ყორღანების ყრილზე მიდგმული ოთხკუთხა ნაგებობები (თრიალეთის XV, XLVII, XLVIII). ასევე საყურადღებოა ზურტაკეტის №3 და №4 ყორღანებთან არსებული მრავალსენაკიანი ნაგებობებიც (ტაბ. XXXVII).

დღეისათვის არცერთი ასეთი ნაგებობა გათხრილი არ არის და ამიტომ ჭირს მათ ფუნქციაზე საუბარი. ასეთი სტრუქტურების რამდენიმე ყორღანთან დადასტურება შეიძლება მათ თანადროულობაზე და ურთიერკავშირზე მიუთითებდეს.

სარიტუალო-საპროცესიო გზა შაორის „ციკლოპური“ წყობით ნაგებ კომპლექსთანაც დასტურდება (ტაბ. XL; XLI, 2; XLIII, 2; XLIV, 1).

ძველი ბეშთაშენის ქვაბულიდან 20-ოდე კილომეტრის დაცილებით, ჯავახეთის პლატოზე, ფარავნის ტბის პირას მდებარეობს. 2775 მ სიმაღლეზე მდებარე ეს კომპლექსი (ტაბ. XL) არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის, შესრულებულია მისი სრული გეოდეზიური და არქიტექტორული აზომვა (ტაბ. XLI, 1).

შაორის კომპლექსი დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. მის განსაკუთრებულობას ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს „ფარავნის ტბას ერთვის წყარო შაორისა, მდინარად გამომდინარე კლდიდამ და საესე არს კალმახითა, ხოლო შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანისა ლოდითა ნაშენი“ [ვახუშტი ბაგრატიონი, 1973, გვ. 43].

შაორის კომპლექსი ორი ნაწილისგან შედგება (ტაბ. XLI, 1) და მთის ორ, მაღალ და დაბალ წვერზეა გაშენებული. ცენტრალური, ძირითადი ნაწილი მთის ყველაზე მაღალ წვერზეა განლაგებული. იგი წარმოადგენს არაწესიერი ოთხკუთხედის ფორმის, მძლავრი კედლით შემოზღუდულ ადგილს (შიდა ფართობი 28 X 36 მ-ს უდრის). კედლები ნაგებია ადგილობრივი (შაორის მთა წარმოადგენს ბაზალტის ქანებისგან შედგენილ მასივს) ბაზალტის ფიქალისაგან, მშრალად (ტაბ. XLVII). კედლის სიგანე ქვედა ნაწილში 3 – 4,5 მ-ს უდრის, ზედა ნაწილში 1 – 2 მ-ს, რომელიც მთელ პერიმეტრზე მონგრეულია. კედლის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 5 მ-ია (ტაბ. XLIII, 1). შიდა სივრცის უდიდესი სიგრძე ჩრდილო-

ეთ-სამხრეთის ხაზზე 49 მეტრია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე - 40 მ. კედელზე, შიდა მხრიდან, მთელ პერიმეტრზე მიდგმულია მცირე ზომის სენაკები (ტაბ. XXXVII), რომლებიც ერთ ან ორ სართულად ყოფილა განლაგებული. მეორე სართული მხოლოდ სიმაგრის ჩრდილოეთ ნაწილშია შემორჩენილი. სიმაგრეში დღეისათვის 31 სენაკი აღირიცხება (ტაბ. XLII; XLIII,1; XLVIII; XLIX). მათი ზომებია: № 1 – სიგრძე 2,5 მ X სიგანე 2,0 მ = 5 კვ. მ; № 2 – 3,0 X 1,6 = 4,8 კვ. მ; № 3 – 3,4 X 1,4 = 4,7 კვ. მ; № 4 – 3,5 X 1,5 = 4,2 კვ. მ; № 5 – 2,5 X 1,5 = 3,7 კვ. მ; № 6 – 2,0 X 2,0 = 4 კვ. მ; № 7 – 3,6 X 2,4 = 8,6 კვ. მ; № 8 – 3,4 X 2,2 = 7,5 კვ. მ; № 9 – 2,7 X 1,4 = 3,7 კვ. მ; № 10 – 3,2 X 1,2 = 3,6 კვ. მ; №11 – 4,4 X 1,3 = 5,7 კვ. მ; № 12 – 4,5 X 1,4 = 5,3 კვ. მ; № 13 – 3,6 X 2,0 = 7,2 კვ. მ; № 14 – 2,2 X 4,0 = 8,8 კვ. მ (ამ ადგილზე შეიძლება ორი სენაკი იყოს, რადგან ასეთი სიგანე არცერთ სენაკს არა აქვს. იგი იმდენადაა დანგრეული, რომ შიდა სივრცის გეგმარების გარკვევა ჭირს. შაორის კომპლექსის არქიტექტურა იმაზეც მიუთითებს, რომ მის მშენებლებს ასეთი სიგანის ნაგებობების გადახურვა, სამშენებლო მასალის თავისებურების გამო უჭირთ. ყველა ნაგებობა, რომელსაც სახურავი შემორჩა, მხოლოდ ქვის ფილებითაა გადახურული. მათ საყრდენად ქვის მონოლითები ან მშრალად ნაგები სვეტებია გამოყენებული); № 15 – 2,3 X 1,8 = 4,1 კვ. მ; № 16 – 2,3 X 2,4 = 5,5 კვ. მ; № 17 – 2,3 X 1,4 = 3,2 კვ. მ; № 18 – 2,2 X 2,4 = 5,2 კვ. მ; № 19 – 2,6 X 1,7 = 4,4 კვ. მ; № 20 – 4,0 X 1,5 = 6,0 კვ. მ; № 21 – 3,0 X 5,0 = 15 კვ. მ (შეიძლება ამ მონაკვეთში სენაკები არც არის გამართული. ეს ადგილი, მის გვერდით არსებული დიდი კორიდორით განსხვავებულია ეზოს სხვა მონაკვეთებისაგან. აქ თითქოს კარიც შეინიშნება, შეიძლება მოზრდილი ნიშაც იყოს. ეს ადგილი ძლიერაა დანგრეული, ნანგრევებითაა ჩახერგილი და სიტუაციის ზუსტი განსაზღვრა ჭირს); № 22 – 2,7 X 3,0 = 8,1 კვ. მ; № 23 – 2,0 X 1,7 = 3,4 კვ. მ; № 24 – 2,3 X 2,5 = 5,2 კვ. მ; № 25 – 1,6 X 2,0 = 3,2 კვ. მ; № 26 – 1,6 X 2,0 = 3,2 კვ. მ; № 27 – 1,6 X 2,0 = 3,2 კვ. მ; № 28 – 1,6 X 1,7 = 2,7 კვ. მ; № 29 – ძლიერაა დაზიანებული; № 30 – 2,2 X 1,2 = 2,6 კვ. მ (ამ ორ სენაკს შორის კიდევ ერთი სენაკია სავარაუდებელი); № 31 – 1,4 X 1,6 = 2,2 კვ. მ. №№ 25-31 სენაკები მეორე სართულზეა განლაგებული. სენაკების ათვლა სიმაგრეში შესასვლელი კარიბჭის მარცხნიდან (სამხრეთით) იწყება.

პირველი სართულის სენაკები ბაზალტის ბრტყელი ფილებითაა გადახურული, რაც თავისთავად მეორე სართულის სენაკების იატაკი იყო, ნაწილობრივ კი ეზოს წარმოადგენდა (ტაბ. XLVIII).

მეორე სართულის სენაკების თავზე ვიწრო გასასვლელი, სიმაგრის შიდა პერიმეტრზე გარსშემოსავლელი ბილიკია დატოვებული (ტაბ. XLVIII). ამ ბილიკზე ასასვლელი კიბე დღეისათვის მხოლოდ № 5-7 სენაკების თავზეა შემორჩენილი. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი კიბე სიმაგრის სხვა მონაკვეთებშიც იყო.

სიმაგრეს ერთი, 1,0 მ სიგანის შესასვლელი აქვს აღმოსავლეთის მხრიდან. მისი სიმაღლე 1,3 მ-ს უდრის (ტაბ. XLIX, 2). შესასვლელს უშუალოდ ებჯინება ბაზალტის დიდი ფილებით მოგებული გზა, რომელიც შაორის მთის ორ მწვერვალს შორის არსებული ტაფობიდან იწყება. გზის დასაწყისი და ზედა კომპლექსის შესასვლელი აღმოსავლეთითაა მიმართული. გზა ბაზალტის დიდი ლოდებითაა მოგებული (ტაბ. XLIII, 2; XLIV, 1). მისი ზედაპირი ადგილ-ადგილ სწორია, ზოგან კი საფეხურებია შექმნილი. გზის გასწვრივ სამი მოედანია გამართული. გზაზე (ტაბ. XLV, 1; XLVI, 1,2) და მოედნებზე (ტაბ. XLIV, 2; XLV, 2) მენჭირები ყოფილა აღმართული (შემორჩენილია სამი).

გზა სერპანტინისებურად მიემართება აღმოსავლეთისკენ, ცენტრალური კომპლექსის კარიბჭისაკენ. მისი სიგრძე 310-315 მ-ია, სიგანე 2 – 4,5 მ-ს შორის მერყეობს (ტაბ. XLI).

გზის დასაწყისში, ტაფობთან, მის ორივე მხარეს მცირე ზომის 15 სენაკია (№№ 3-17) გამართული. ასეთივე 8 ნაგებობაა მის სამხრეთით. გზის მარცხენა მხარეს მდებარე სენაკების წინ ბილიკი გადის. კიდევ 8 სენაკი ოდნავ სამხრეთითაა განლაგებული. აღსანიშნავია, რომ სენაკები გზის დასაწყისშია კონცენტრირებული. გზაზე არსებული პირველი მკვეთრი მოსახვევის შემდეგ, 140-150 მ-ის მანძილზე, ცენტრალური კომპლექსის შესასვლელამდე მხოლოდ სამი პატარა სენაკია (№№ 1-3) გამართული.

გზის ორივე მხარეს სამი მოედანია გამართული. პირველი მოედანი გზის მეორე მკვეთრი მოსახვევის სამხრეთით მდებარეობს და გზასთან ვიწრო შესასვლელითაა დაკავშირებული. მისი სიგრძე 20 მ-ია, სიგანე - 6-8 მ. მოედნის ნაპირები ქვის ყორეებითაა გამაგრებული. იატაკზე, ადგილ-ადგილ, ქვის ფილებია შემორჩენილი. სამხეთის კედელში გამართული ყოფილა პატარა ნიში.

მეორე მოედანი გზის მარჯვენა მხარეს, ჩრდილოეთითაა გამართული (ტაბ. XLI, 2; XLIV, 2; XLV, 2). მოედანი ვიწრო შესასვლელითაა გზასთან დაკავშირებული. მისი სიგრძე 20 მ-ია, სიგანე 5-10 მ. აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ, 2-3 მ-ის სიგანეზე, იატაკი ბაზალტის ფილებითაა მოგებული.

მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კედელთან დგას 2,3 მ-ის სიმაღლის მენპირი. იგი დღეისათვის გადახრილია და თითქმის იატაკზე დევს (ტაბ. XLV, 2).

მეორე მოედნიდან გზა მახვილი კუთხით უხვევს და საფეხურებად ადის მაღლა. გზის ეს მონაკვეთი ყველაზე რთული ადგილია. აქ იგი შედარებით ვიწროვდება და ციცაბო მოსახვევს აკეთებს. შემდეგ გზა სწორდება და დახრაც აღარ არის მკვეთრი.

იმ ადგილთან სადაც გზა სწორდება, მარცხენა მხარეს, 7 მ-ის დაცილებით ერთი სენაკია (№ 2) გამართული.

გზის მარცხენა მხარეს, №3 სენაკის მახლობლად, 2,9 მ-ის სიმაღლის მენპირი იდგა, რომელიც ამჟამად წაქცეულია (ტაბ XLIV, 2; XLV, 2).

ცენტრალური კოპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გზის მარჯვენა მხარეს ერთი მცირე სენაკი (№1) და მესამე მოედანია გამართული. მოედნის სიგრძე 15 მ-ია, სიგანე - 6-7 მ. იატაკი ბაზალტის ფილებითაა მოგებული.

მესამე მენპირი (ლ. მელიქსეთ-ბეგი ობელისკს უწოდებს) მდგარა სიმაგრეში შესასვლელ კართან, გზის მარჯვნივ, რომელსაც მელიქსეთ-ბეგი მონოლით-ობელისკს უწოდებს. მენპირი დღეს აღარ ჩანს, ალბათ კედლის ნანგრევებითაა დაფარული. ლ. მელიქსეთ-ბეგის აღწერით იგი „ოთხწახნაგოვანი წვეტთავა ფორმისაა, დაახლოებით კაცის სიმაღლისა, თუ ცოტა მეტი. ეტყობა, რომ მენპირისგანაა გაკეთებული“ [მელიქსეთ-ბეგი, 1938, გვ. 72, 113].

შაორის კომპლექსი მკვლევართა ყურადღებას დიდი ხანია იქცევს. ყველაზე სრული აღწერა მოცემული აქვს ლ. მელიქსეთ-ბეგს. მისი სრული ტექსტი შემდეგი შინაარსისაა: „ეს სადგომი შესდგება ორი ძირითადი კომპლექსისაგან, რომლებიც მდებარეობენ ერთსადაიმავე მთის ორ მწვერვალზე: მათგან ერთი, შედარებით გრანდიოზული, მაღალზეა; ხოლო მეორე, მცირე, დაბალზე“.

ამ ნაციხარ-ნაქალაქებს გაკვრით იხსენებს ზ. გულისაშვილი (ზ. გულისაშვილი, თრიალეთი - „ივერია“ 1898. 25.VIII. №182), ხოლო იმავე წელს ი. როსტომაშვილი დაწვრილებით აღწერს შემდეგი სიტყვებით: „Гора Кор-оглы настолко крута и остроконечна, что подняться на вершину ее верхом нет никакой возможности и с половины горы приходится оставлять лошадей на склоне, а самим подняться пешком. Но замечательно, что выше, на самой горе донныне сохранилась в целости искусно сделанная дорога, шириной в четыре аршина, вся ровно устланная плитневыми камнями; она ведет до самой вершины, и так и

кажется, что по ней поднимались до самой крепости в экипажах (арбах) [И.Ростомов. Ахалкалакский уезд в археологическом отношении. Сборник материалов для описании местности и племен Кавказа. вып. XXV. 1898. отд. I. стр. 25-26; მელიქსეთ-ბეგი 1938, გვ. 70].

ლ. მელიქსეთ-ბეგი ეთანხმება ი. როსტომაშვილის განმარტებას, რომ ქოროღლის ციხე იგივე ვახუშტის გეოგრაფიის შაორის ციხე უნდა იყოს [მელიქსეთ-ბეგი 1938, გვ. 71]. შემდეგ კი ისევ ი. როსტომაშვილის ციტატა მოჰყავს: „Крепость Кор-оглы окружена была домиками, как и Абульская; следы поселения видны и теперь, в виде множества домиков, или лучше логовищ, сложенных из плитневых камней, без глины, и имеющихся здесь же под рукой в изобилии; домики покрыты теми же плитами, огромных размеров. Крепость построена на самой вершине горы и имеет внутри 40 шагов длины. Высота стены достигает до 2-х и более саженей, а толщина 5-6 аршин. Внутри, кругом всей крепости у самой стены, до сих пор сохранилось до сорока помещений и столко же на сих последних, а всего около 80. Помещений в обоих этажах сохранилось в целости только несколько, а остальные разрушились. Длина, или что же глубина сих помещений достигает до 4-х аршин, а ширина до 2-3-х аршин. Каждое из этих помещений имеет особый вход с площади крепости, но есть и такие, которые имеют ходы и из одного помещения в другое.“

შემდეგ ლ. მელიქსეთ-ბეგი წერს: „ეს ნაციხარ-ნაქალაქევი როსტომაშვილზე წინ აღწერილი იყო ე. ლალაიანის მიერ 1895 წელს, მაგრამ მის აღწერას არაფერი გააჩნია ისეთი, რაც დამახასიათებელი ყოფილიყო ამ ძეგლის „ციკლოპურ“-ობისა. „საინტერესოა მხოლოდ ერთი მითითება, რომელიც აღნიშნულია გამყოლის, მღვდელ ტერ-მარკოზ ტერ-ჰარუთუნიანის ნაამბობის თანახმად, რომ „ციხის სამხრეთი კედლის ერთ-ერთ კამაროვან უბეში, რომელსაც ერთ არშინზე მეტი ჰქონდა, სიგანეში კი 3/4 არშინი, სიღრმე 1/4 არშინი, მოთავსებული იყო ადამიანის ქანდაკებაო. იგი თავდია იყო, ტანსაცმლით მუხლებამდე და უიარაღოდ“. ამასთანავე ე. ლალაიანი გადმოგვცემს, რომ ამ „ქანდაგებას ორივე მხარეს ჰქონია წარწერა, რომელიც ვერც თითონ (ტერ-მარკოზს), ვერც მის გამყოლ-ქართველს ვერ ამოუცვნიათ, თუ რა ასოებით ყოფილა დაწერილი“. შემდეგ ე. ლალაიანი აღნიშნავს რა, რომ ერთ-ერთი „სენაკის აღმოსავლეთ კედლის კუთხეში მოთავსებული იყო ქვაჯვარა“, დასძენს, რომ იგი „შეეცადა მოექებნა წარწერა და ადამიანის ქანდაგების შემცველი ქვა, მაგრამ ამოღ“-ო.

ლ. მელიქსეთ-ბეგი აგრძელებს: „თვით ციხე-სიმაგრე (ზედა) კომპლექსისა არსებითად ექვსწახნაგოვანი გეგმისაა, რომელთაგან დაცულია აღმოსავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები, დანარჩენი კი ან ნახევრად დანგრეულია (სამხრეთ-აღმოსავლეთის), ანდა სრულად განადგურებულია (ჩრდილო-დასავლეთის). ასე რომ როსტომაშვილის განცხადება, ვითომ „ნაციხვარის მხოლოდ ერთადერთი, აღმოსავლეთის კედლის მცირეოდენ ნაწილსდა მოუღწევია“-ო კორექტივს მოითხოვს. ციხე-სიმაგრე შიგნით ამჟამად ქაოსს წარმოადგენს: სავსებით ანუ ნახევრად ჩამონგრეული ერთ ან ორსართულიანი ბინები ისეა დაგროვებული, რომ მათი ფიქსირება გეგმაზე შეუძლებელი იყო. შედარებით კარგადაა შემონახული შესასვლელი კარი (ალაყაფი) აღმოსავლეთ კედელში, რომლითაც ქვევიდან ზევით ზიგზაგებით მიმავალი ქვაფენილი გზა თავდება, ხოლო გზის პირას, მარჯვნივ მონოლით-ობელისკი დგას, რომელიც ოთხწახნაგოვან და წვეტთავა ძეგლად მოსჩანს. თვით გზა კი „unicum“-ს წარმოადგენს...“ [მელიქსეთ-ბეგი 1938, გვ. 71].

შაორის ციხე აღწერილი აქვს დ. ბერძენიშვილსაც [ბერძენიშვილი 2002, გვ. 18-19; ბერძენიშვილი, 2005, გვ. 228].

შაორის „ციკლოპურ“ კომპლექსში არქეოლოგიური გათხრები არ ჩაგვიტარებია და არც არქეოლოგიური მასალა მოგვიპოვებია.

მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიურად ძეგლი არ არის შესწავლილი და ამდენად მისი დათარიღება ჭირს, მაინც შესაძლებლად მიმაჩნია ზოგიერთი შეხედულება მაინც გამოვთქვა. შაორის კომპლექსის სამშენებლო ტექნიკა და არქიტექტურა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ზურტაკეტში გათხრილ ყორღანებთან, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. რამდენადაც შაორის კომპლექსს დღეისათვის სხვა უფრო ახლო პარალელი არ მოეპოვება, შეიძლება, სამუშაო ჰიპოთეზის სახით დავუშვათ, რომ შაორის კომპლექსიც აღნიშნულ ხანას განეკუთვნება.

შაორის კომპლექსის მდებარეობა, აგებულება, არსებული სათავსების იმდენად მცირე ზომები, რომ მათი საცხოვრებლად და სამეურნეოდ გამოყენება ეჭვს იწვევს, ასევე, „საკულტო“ მოედნების და მენჭირების არსებობა შეიძლება ამ ძეგლის საკულტო ხასიათზე მიუთითებდეს. ქვის ფილებით ნაგები გზაც სარიტუალო პროცესისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

შაორის კომპლექსს და თრიალეთის ყორღანების (თოპ-კარი 1 და 2, ზურტაკეტის ყორღანები) დასაკრძალავ დარბაზებს [Куфтин 1948, стр. 11-

15, таб. XI; ჯაფარიძე 1964; ჯაფარიძე 1969, გვ. 24-30, 45-47, ტაბ. I, II, IV-VI, VIII, IX, XVIII, XXII, XXIII, სურ. 2, 4, 28, 40,] მშენებლობის ტექნიკის და სამშენებლო მასალის იდენტიფიკაციის გარდა, საერთო არქიტექტურული სახეც აკავშირებს (ტაბ. LIV-LVI). ახლა ძნელია მათ ქრონოლოგიურ თანხვედრაზე საუბარი, მაგრამ საერთო ნიშნები არ გამორიცხავს ამ შესაძლებლობას.

ძეგლის ხასიათიდან, არქიტექტურული თავისებურებიდან, სარიტუალო ხასიათის ნიშნებიდან გამომდინარე შაორის კომპლექსი შესაძლებელია საკულტო კომპლექსად მივიჩნიოთ.

უშუალოდ შაორის მთის ძირში, სამხრეთით მდებარე მინდორზე ქვაყრილიანი და მიწყრილიანი ყორღანები, დიდი ქვებით გამართული კრომლეხები და ქვაყრილიანი სამარხების ჯგუფები შეინიშნება. მთაზე ასვლა სწორედ ამ მხრიდანაა ყველაზე მოსახერხებელი. მიუხედავად იმისა, რომ მთის ფერდობის 3/4-ზე გზა ან ბილიკი არ შეინიშნება, აღმართის დასასრულს ქვით მოგებული ვიწრო ბილიკია გამართული, რომელიც მშრალი წყობით აგებულ კედელში გადის. მცირე კარიბჭე 1,1 მ სიგანისაა. ბილიკი მთის ორ წვერს შორის მოქცეულ ტაფობზე გადის, სადაც მისი კვალი აღარ შეინიშნება. ტაფობზე წრიული ქვაყრილები ფიქსირდება. აქვე, პატარა მინდორზე, ადგილობრივი მოსახლეობის (დუხობორების) გადმოცემით დიდი ჭა ყოფილა, რომელშიც საქონელი ვარდებოდა ამიტომ ამოავსეს. შეიძლება მის ნაშთს წარმოადგენს ორმოს ფორმის ჩაღმავება, რომელიც ქვებითაა შევსებული.

მინდვრის აღმოსავლეთით ქვედა „სიმაგრეა“ გამართული, დასავლეთ კიდესთან კი ზედა სიმაგრისაკენ მიმავალი გზა იწყება.

შაორის მთის ჩრდილოეთი ფერდიც ძლიერ დამრეცია (ტაბ. XLI,1). არც აქ შეინიშნება გზა ან ბილიკი. თუმცა მთის ძირში რთული კონსტრუქციის შესასვლელი იყო გამართული, რომელიც 1991-92 წლებში ქვის კარიერის მოქმედებისას ძლიერ დაზიანდა. 1990 წელს შესასვლელი შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. მაშინ ვერ მოხერხდა მისი აზომვა. დანგრეული ნაშთების დაფიქსირება მხოლოდ 1998 წელს გახდა შესაძლებელი.

შაორის მთის ჩრდილოეთი კალთის ძირში არსებული კარიბჭე და სამხრეთი ფერდის ზედა ნაწილში გამართული შესასვლელი თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ მთის წვერზე ასასვლელი ჩრდილოეთიდან იწყებოდა,

გაივლიდა აღმოსავლეთ კალთაზე (დასავლეთი ფერდი პრაქტიკულად მიუვალა) და სამხრეთიდან შედიოდა იმ მცირე მინდორზე, საიდანაც კომპლექსის ყველა მონაკვეთში ადვილად შეიძლება მოხვედრა. თუმცა, შაორის მთის აღმოსავლეთი კალთის გულმოდგინე დათვალიერების და აეროფოტოდეშიფრირების მეთოდის გამოყენების მიუხედავად გზის ან ბილიკის კვალი მიკვლევული ვერ იქნა.

აეროფოტოების დეშიფრირების შედეგად მთის გარშემო ყორღანები და დასახლების ნაშთები დაფიქსირდა. ეს ნამოსახლარი შაორის მთის ძირში, მისგან ჩრდილოეთით 1 კმ-ის დაცილებით მდებარეობს. ტერიტორია აიგეგმა ტოპოგრაფიულად და შედგა გენგეგმა. დაფიქსირდა მშრალი წყობით ნაგები სახლები, მოედნები, დიდი ზომის მენჰირი და გახვრეტილი ქვები. ასეთი ქვები ნამოსახლარის ცენტრში არსებული მოედნის გარშემო იყო განლაგებული და როგორც ჩანს ცხოველების დასაბმელად გამოიყენებოდა. ასეთი ქვების ნაწილი ნაგებობათა კედლებში ისეა ჩაშენებული, რომ ნახვრეტში თოკის ან რაიმე საბმელის გაყრა შეუძლებელია.

ნამოსახლარს ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან მთათა სისტემა საზღვრავს, საიდანაც პატარა დეღე გამოედინება. დეღე 2-4 მ სიღრმის ხევში მოედინება და ნამოსახლარს ორ ნაწილად ყოფს; დასავლეთიდან მორენები აკრავს. სამხრეთიდან კი მშრალი ხევი საზღვრავს, რომლის იქითაც საძოვრები იწყება.

ნამოსახლარის სამხრეთით მდებარე ვაკეზე კახელი მეცხვარეების სადგომია მოწყობილი (ასეთი სადგომები შაორის მთის გარშემო არაერთია). სოფ. ტამბოგისა და ახალი ხულგუმოს მოსახლეობის გადმოცემით ნამოსახლარის ტერიტორია XX ს-ის 20-30-იან წლებში ახალქალაქის კოლმეურნეობის საზაფხულო იალაღი იყო და სახლებიც მათ ეკუთვნის.

ნამოსახლარი ორი უბნისაგან შედგება. პირველი ხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, მეორე მარცხენაზე. პირველი უბანი დიდი მოედნითა და ფართო ქუჩით ორ კვარტლადაა გაყოფილი. სახლები, კარის დიობების მიხედვით, აღმოსავლეთით ან სამხრეთითაა ორიენტირებული. კვარტლებში განლაგებული სახლები ერთმანეთზეა მიდგმული ისე, რომ მათ საერთო კედლები აქვთ. კედლები ნაგებია ბაზალტის ფლეთილი ქვით მშრალად.

ნამოსახლარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში საქონლის ბაკია მოწყობილი. აშკარაა, რომ ბაკის გამართვისას სახლების ნაწილი დაუზიანებიათ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნამოსახლარის დასავლეთ ნაწილში, იქ სადაც მორენა იწყება, აღმოჩენილი მენჭირი. იგი დამზადებულია ბაზალტის ლოდისაგან. მისი ხილული სიმაღლე 2,2 მ-ია (მენჭირი წაქცეულია და ნაწილობრივ მიწითაა დაფარული). წვეროთან წამახვილებულია, ზედაპირი კარგადაა გახეხილ-გაპრიალებული.

ნამოსახლარზე ხანგრძლივი ანთროპოგენული მოქმედების კვალი შეინიშნება. პირველ რიგში აღსანიშნავია სახლების მშენებლობის განსხვავებული ტექნიკა. მათი ძირითადი ნაწილი ნაგებია ფლეთილი, ხელოვნურად დაკუთხული ბაზალტის ქვით, რომლებიც მოწითალო ხავსითაა დაფარული. ამ სახლების გეგმარება კარგად იკითხება, კედლების შემორჩენილი სიმაღლე 1,0-1,5 მ-ია. ნამოსახლარის სამხრეთ ნაწილში სამი სახლის კონტური დაფიქსირდა. ისინი ნაგებია ბაზალტის სრულიად დაუშუშავებელი ლოდებით, რომლებიც ნაცრისფერი ხავსითაა დაფარული. ასეთი ქვებით ნაგები სახლების ნაშთები ნამოსახლარის სხვა ადგილებშიც შეინიშნება. ზოგ შემთხვევაში ამგვარ წყობაზე დაშენებულია დაკუთხული, წითელხავსიანი ქვებით ნაგები კედლები. კედლების განსხვავებული წყობა მათ ქრონოლოგიურ სხვაობაზეც მიუთუთებს.

ნამოსახლარზე ჩატარებული გათხრების შედეგად მიღებული სტრატოგრაფიისა და მოპოვებული მასალების მიხედვით გაირკვა, რომ ნამოსახლარი სამ სამშენებლო ფენას შეიცავს. ქვედა ფენა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკას შეიცავს. მომდევნო ფენაში, რომელიც ძლიერაა დაზიანებული, გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები გვხვდება, სულ ზედა ფენა კი თანამედროვე დასახლებას მიეკუთვნება. ეს დასახლება მწყემსების დროებით სადგომს წარმოადგენს და XX ს-ის 20-იან წლებშია გამართული.

„ციკლოპური“ მშენებლობის ტექნიკით ნაგები მეორე კომპლექსი ფარავნის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მცირე აბულის მთის ფერდობზე მდებარეობს (ტაბ. L).

კომპლექსი ნაგებია ბაზალტის ფილებით, უდულაბოდ (ტაბ. LI). იგი წარმოადგენს რთულ კომპლექსს, რომელიც შედგება ცენტრალური, გამაგრებული ნაწილისა და მის გარშემო არსებული დასახლებისაგან. დასახლება ძირითადად აღმოსავლეთითაა გამართული (ტაბ. LIII,1).

ცენტრალურ ნაწილს ორი გარსშემოსავლელი აკრავს, რომლებიც ჩრდილოეთიდან სიმაგრეზე მიდგმულ მომრგვალებულბურჯებიან, დიდ ნაგებობას ეკვრიან (ტაბ. LII).

ცენტრალურ კომპლექსს სამი შესასვლელი აქვს - აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. მისი კედლები მძლავრი ბურჯებითაა გამაგრებული, რომლებიც ძირითადად შესასვლელებთანაა აღმართული.

ცენტრალური კომპლექსის შიდა ტერიტორია მთლიანად ნაგებობებს უკავია, რომლებიც ორ ან სამ სართულადაა განლაგებული. სასიმაგრო კედლის პერიმეტრზე განლაგებული სენაკები მცირე ზომისაა და თავისი ხასიათით შაორის საკულტო კომპლექსის სენაკებს მოგვაგონებს. ცენტრალური ნაწილი შედარებით მოზრდილ ნაგებობებს უკავია (ტაბ. LII; LIII).

ცენტრალური კომპლექსი ორ ძირითად ნაწილადაა გაყოფილი ვიწრო გასასვლელით, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ შესასვლელებს აკავშირებს. რაც შეეხება სამხრეთ შესასვლელს, იგი როგორც ჩანს გამოიყენებოდა მხოლოდ ცენტრალური კომპლექსის სამხრეთით მდებარე მოედანზე გასასვლელად. ამ მოედანს სხვა მხრიდან შესასვლელი არ უჩანს.

აბულის „ციკლოპური“ კომპლექსი გრანდიოზულ და მეტად რთულ ძეგლს წარმოადგენს. მისი სრულყოფილი შესწავლა დიდ დროსა და სახსრებს მოითხოვს.

შეიძლება ითქვას, რომ აბულის და შაორის „ციკლოპური“ კომპლექსები ერთი ხასიათის ძეგლებია და მათი შესწავლა პარალელურად უნდა მოხდეს.

#### თავი IV.

### ს ა რ ი ტ უ ა ლ ო ბ ზ ე ბ ი ს ა დ ა თ რ ი ა ლ ე თ ი ს კ უ ლ ტ უ რ ი ს დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ი ს ზ ო ბ ი ე რ თ ი ს ა კ ი თ ხ ი .

XX ს-ის 30-40-იან წლებში სამხრეთ საქართველოში (ტაბ. I), თრიალეთის ზეგანზე, პროფ. ბ. კუფტინმა მრავალი საყურადღებო ძეგლი შეისწავლა. არქეოლოგიური გათხრები წაღკის წყალსაცავისა და ხრამჭის მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. შესწავლილ ძეგლთა შორის გამოირჩევა რამდენიმე ათეული ყორღანი, რომელთა დასაკრძალავ დარბაზებში მანამდე უცნობი, მდიდრული და უნიკალური მასალა (ოქროს და ვერცხლის სამკაულები, შტანდარტები, ჭურჭელი, ვერცხლის და ბრინჯაოს იარაღი, შავპრიალა და მოხატული კერამიკა. ტაბ. XXXVI; XXXVII; LXIII-LXVI) აღმოჩნდა [გოგაძე 1972; ჯაფარიძე 1964; ჯაფარიძე 1969; Куфтин 1941; Куфтин 1948; Жоржикашвили, Гогодзе 1974].

ბ. კუფტინმა თრიალეთში გათხრილი ყორღანები ერთ კულტურას მიაკუთვნა, რომელშიც ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოყო. მის მონოგრაფიაში „Археологические раскопки в Триалети“ ყველა ყორღანი მეორე თავში - „Курганная культура Триалети в эпохи средней и позднего этапа древней бронзы“ განიხილული [Куфтин, 1941, გვ. 78-105]. ბ. კუფტინმა პირველი ჯგუფის ყორღანები ძველი ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა [Куфтин, 1941, გვ. 101-105], მეორე კი შუა ბრინჯაოს ხანით, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანით („თრიალეთის ყორღანების აყვავების ხანა“) დაათარიღა [Куфтин, 1941, გვ. 79-100].

შუაბრინჯაოს ხანის ახალ არქეოლოგიურ კულტურას ბ. კუფტინმა „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ უწოდა [Куфтин, 1941], რომელიც დღეისათვის „თრიალეთის კულტურის“ სახელითაა ცნობილი [ჯაფარიძე 1969].

შუაბრინჯაოს ხანის ყორღანების თარიღმა თავიდანვე აზრთა სხადასხვაობა გამოიწვია. მეცნიერთა ერთი ნაწილი იზიარებდა ბ. კუფტინის მიერ შემოთავაზებულ თარიღს, მეორე ნაწილი ამ ყორღანებს უფრო გვიანდელად მიიჩნევდა, ნაწილი კი თვლიდა, რომ ეს ძეგლები ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს, ან მიწურულს მიეკუთვნებოდა [1972 წლამდე გამოთქმული ყველა მოსაზრების შესახებ იხ. გოგაძე, 1972, გვ. 5-15; ჯაფარიძე, 1969, გვ. 238-242].

ე. გოგაძემ, ისევე როგორც ბ. კუფტინმა, თრიალეთის „ბრწყინვალე“ ყორღანები სამ ჯგუფად დაყო და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარიდა [გოგაძე, 1972, გვ. 95]. ეს თარიღი გაზიარებული იქნა სხვა მკვლევარების მიერ და ყველაზე მიღებულ თარიღად ითვლებოდა.

შემდეგში, გ. ქავთარაძემ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურების ახალი ქრონოლოგია შეიმუშავა. მისი ქრონოლოგიური შკალა შედგენილია არქეოლოგიური მასალის რადიონახშირბადული მეთოდით დათარიღების საფუძველზე. გ. ქავთარაძემ კალიბრირებული თარიღების გათვალისწინებით თრიალეთის ადრეული ყორღანები (XI, XXV, XL, XLVI და ბედენის პლატოზე გათხრილი ყორღანები) ადრე ბრინჯაოს ხანის II B პერიოდს (ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევარი და შუა ხანები) მიაკუთვნა [Кавтарадзе, 1983, გვ. 108-109; Кавтарадзе, 1987, გვ. 16]. „ბრწყინვალე“ ყორღანები კი სამ ჯგუფად დაყო და მათი თარიღი ძვ.წ. III ათასწლ. მეორე ნახევრით და ძვ.წ. II ათასწლ. ადრეული საუკუნეებით განსაზღვრა [ქავთარაძე, 1981, გვ. 102-103; Кавтарадзе, 1983, გვ. 116-136; Кавтарадзе, 1987, გვ. 16].

მკვლევარმა თრიალეთის „ბრწყინვალე“ ყორღანების პირველი ორი ჯგუფი ადრებრინჯაოს ხანის III ეტაპს მიაკუთვნა, რომელიც A და B პერიოდებად დაყო. ეს ეტაპი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში მოათავსა [Кавтарадзе, 1987, გვ. 16]. A პერიოდს მიაკუთვნა თრიალეთის III, VIII, IX, XIV, XVIII, XXIII, XXXIII, XXXIX, XLI, XLIV, საბიდახჩას №№ 1,3,4, ზურტაკეტის № 2, ტაბაწყურის ყორღანები; B პერიოდს კი თრიალეთის V, VI, XVI, XVII, XXIX, XXXI, XXXIV, XXXVI, XLV, ზურტაკეტის 1, 3-9, საბიდახჩას № 5 ყორღანები [ქავთარაძე, 1981, გვ. 102-104; Кавтарадзе, 1983, გვ. 118].

გ. ქავთარაძემ „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების“ მესამე ჯგუფი შუა ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა და ძვ.წ. II ათასწლეულის ადრეული საუკუნეებით დაათარიდა [ქავთარაძე, 1981, გვ. 114]. მან შუა ბრინჯაოს ხანის I ფაზას მიაკუთვნა თრიალეთის I, II, VII, XV ყორღანები [ქავთარაძე, 1981, გვ. 115]. იგი XV ყორღანის შუბისპირის თარიღს და მასთან ერთად თრიალეთის კულტურის ამ ეტაპის ზედა ზღვარს ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის შუა ხანებით განსაზღვრავს [ქავთარაძე, 1981, გვ. 118; Кавтарадзе, 1983, გვ. 130], ხოლო შუა ბრინჯაოს II ფაზას კი თრიალეთის XXVIII, XXX, XXXII, XLII ყორღანები მიაკუთვნა და მათი ზედა ზღვარი XVI ს-ის შუა ხანებით განსაზღვრა [ქავთარაძე, 1981, გვ. 128; Кавтарадзе, 1983, გვ. 136]. თუმცა, გ. ქავთარაძის მიერ შემუშავებულმა ქრონოლოგიამ დიდხანს ვერ დაიმკვიდრა ადგილი.

ო. ჯაფარიძე თვლის, რომ თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ უშუალოდ მოყვება ადრეყორღანული კულტურის ბედენურ საფეხურს, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის წყვეტს თავის არსებობას. მკვლევარი უადრესი ყორღანის გამოჩენის თარიღს კი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებით განსაზღვრავს [ჯაფარიძე, 1991, გვ. 153], ხოლო თრიალეთის კულტურას მთლიანად ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ათავსებს [ჯაფარიძე, 1991, გვ. 190]; ამასთან აღნიშნავს, რომ თრიალეთის დიდი, მდიდრული ყორღანებიდან ყველაზე ძველია VIII ყორღანი, რომელიც ძვ.წ. XIX-XVIII სს მიაკუთვნა, ყველაზე გვიანდელია XXIX ყორღანი, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. XVI ს-ით თარიღდება [ჯაფარიძე, 1969, გვ. 245-247, 272].

ვ. სადრაძე შუაბრინჯაოს ხანის I ეტაპს ძვ.წ. XX-XVIII სს-ით, II ეტაპს – ძვ.წ. XVIII-XVII სს-ით, III ეტაპს კი ძვ.წ. XVI-XV სს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [სადრაძე, 2002, გვ. 41].

მ. აბრამიშვილი თრიალეთის კულტურის დათარიღებისას აღნიშნავს, რომ „I ჯგუფის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ადრებრინჯაოს ხანის დასასრულია, ხოლო III ჯგუფის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს ემიჯნება“ [აბრამიშვილი, 2003, გვ. 49]. II ჯგუფის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს დაახლოებით ძვ.წ. XIX სს-ის შუა ხანებით განსაზღვრავს, „რაც შეეხება თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის I და II ფაზების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს, დღევანდელი მონაცემები არ იძლევა მისი ზუსტად განსაზღვრის საშუალებას“ [აბრამიშვილი, 2003, გვ. 51].

ნაწილი მეცნიერებისა თრიალეთის კულტურის I ფაზას ადრებრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპს, ნაწილი – შუა ბრინჯაოს ხანას აკუთვნებს [Куфтин, 1941, გვ. 78-79; ჯაფარიძე, 1991, გვ. 165, 191; გოგაძე, 1972, გვ. 39-41; ქავთარაძე, 1981, გვ. 102-103; Кавтарадзе, 1983, გვ. 113, 116, 125, 127; Кушнарєва, 1993, 106].

თუმცა მეცნიერთა ნაწილი ბ. კუფტინისა და ე. გოგაძის მიერ გამოყოფილ ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებს თრიალეთის კულტურას აკუთვნებს, რომელშიც ორ ქრონოლოგიურ ეტაპს გამოყოფს: პირველი, ადრეული ჯგუფის ყორღანები, რომლებიც მიეკუთვნებიან ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს და აყვავების ხანა – „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“, რომელიც მთლიანად მოიცავს ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, გვ. 9].

სამხრეთ კავკასიაში ყორღანების გაჩენას მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ საფეხურზე ვარაუდობენ [ჯაფარიძე, 1991, გვ. 153]. კ. ფიცხელაური აღნიშნავს, რომ ყორღანული ყრილების ქვეშ მიცვალებულის დაკრძალვის ტრადიცია მტკვარ-არაქსის კულტურაში ყალიბდება (ზეიანი, მელი-დელე, დიდი სერები, სამხრეთ-დასავლეთ აზერბაიჯანი). შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანების ადრეულ ჯგუფში მკვლევარი ორ – „მარტყოფულ ეტაპს“ (ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანები) და „ალაზან-ბედენურ ეტაპს“ (ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანები) გამოყოფს [Пицхелаური, 1987, გვ. 21-24]. იგი აღნიშნავს, რომ „თრიალეთის კულტურის ჩარჩოები, ტრადიციულად, არცთუ დამაჯერებლად, ძვ.წ. XX-XV სს-ში თავსდება“ [Пицхелаური, 1987, გვ. 24]. არსებობს შეხედულება, რომ მარტყოფისა და ბედენის ეტაპები სინქრონულია და ეს კულტურა მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე ჩნდება [Миндиашвили, 2004, стр. 94].

გ. მირცხულავას აზრით ყორღანული სამარხები მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო, დამამთავრებელ ეტაპზე ჩნდება [Мирцхулаვა, 1991, стр. 40]. გ. მინდიაშვილი მიიჩნევს, რომ ადრეყორღანული ეტაპი სამხრეთ კავკასიაში ძირითადად ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ფინალურ ეტაპს [მინდიაშვილი, 1993, გვ. 8-9].

უკანასკნელ ხანებში მეცნიერთა ნაწილმა გაიზიარა გ. ქავთარაძის დათარიღება [Кушнарєва, 1997, стр. 106; Кушнарєва, Рысин, 2001, გვ. 109].

მიჩნეულია, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე შუა ბრინჯაოს ხანაში სხვა კულტურებიცაა (თრიალეთის, სევან-უზერლიკის, კარმირ-ბერდის და ყიზილ-ვანქის) გავრცელებული. ამ კულტურების დათარიღების, წარმომავლობის და გავრცელების არეალის საკითხები დღეისათვის საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. არ არის გარკვეული მათი ურთიერთმიმართების საკითხებიც.

ა. მარტიროსიანმა მტკვრისა და არაქსის აუზის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები სამ პერიოდად დაყო და ძვ.წ. XX-XV სს-ში მოათავსა. პირველ პერიოდს მიაკუთვნა ე.წ. „თაზაკენტის“ (კარმირ-ბერდის) ჯგუფის ძეგლები, რომლებიც ძვ.წ. XX-XVIII სს-ით დაათარიღა, მეორეს – სევან-უზერლიკის ჯგუფი (ძვ.წ. XVIII-XVI სს), მესამეს კი – კიროვაკანის ჯგუფი, რომელშიც გააერთიანა ზურტაკეტისა და თრიალეთის ყორღანები და ძვ.წ. XVI-XV სს-ით დაათარიღა [Мартиросян, 1964, გვ. 25-28; Мартиросян, 1964a, стр. 47-73, 297-299].

კ. კუშნარევა მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში, შუა ბრინჯაოს ხანაში ოთხი, თრიალეთის [Кушнарєва, 1993, стр. 100-134], კარმირ-ბერდის

(თაზაკენტის) [Кушнарева, 1993, стр. 134-151], სევან-უზერლიკის ჯგუფისა [Кушнарева, 1993, стр. 151-163] და ყიზილ-ვანქის კულტურის არსებობას ვარაუდობს [Кушнарева, 1993, стр. 163-170],

აღნიშნულია, რომ თრიალეთის კულტურა გავრცელებულია სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში. ჩრდილოეთით აღწევს კავკასიონის დიდ ქედამდე, სამხეთით კი მდ. არაქსის მარჯვენა ნაპირზე გადადის და არტაანის მტკვრის აუზში ვრცელდება [ჯაფარიძე 1991, გვ. 177-182; Кушнарева, 1993, გვ. 100-101; Пицхелаური, 1987 გვ. 24].

სევან-უზერლიკის კულტურა მდ. მტკვრისა და არაქსის შესართავიდან აღმოსავლეთით ვრცელდება, ასევე მოიცავს სევანის აუზს და არარატის დაბლობს [Кушнарева, 1993, стр. 151-163]. ამდენად თრიალეთის კულტურის გავრცელების სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონს ფარავს.

კარმირ-ბერდის კულტურის ძეგლები თრიალეთის კულტურის გავრცელების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გვხვდება. ამ კულტურების თანხვედრის ადგილს სევანის აუზი და არარატის დაბლობი წარმოადგენს [Кушнарева, 1993, стр. 135; Кушнарева, 1997, стр. 21].

ყიზილ-ვანქის კულტურა თრიალეთის კულტურის არეალის უკიდურეს სამხრეთ ნაწილშია გავრცელებული და უფრო სამხრეთითაც გრძელდება [Кушнарева, 1993, стр. 163-170].

ამ კულტურების ურთიერთობის და დათარიღების თაობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული:

1. თრიალეთის კულტურა ახლო კავშირშია კარმირ-ბერდის და სევან-უზერლიკის კულტურებთან [ჯაფარიძე, 1991, გვ. 189];

2. ტერიტორიულად თრიალეთის, კარმირ-ბერდის, ყიზილ-ვანქის გავრცელების არეალი ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ოლქს და, როგორც ჩანს, საერთო ფესვები გააჩნიათ [Куфтин, 1948, გვ. 5], მათ უერთდებათ სევან-უზერლიკის ჯგუფის ძეგლები [Кушнарева, 1993, გვ. 95-96; Кушнарева, 1997, გვ. 20].

3. თრიალეთის, კარმირ-ბერდის და ყიზილ-ვანქის კულტურები ჩამოყალიბდნენ მტკვარ-არაქსის კულტურის ბაზაზე ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო მესამედიდან სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ოლქებში და განხილული უნდა იყვნენ როგორც კულტურათა ბლოკი [Кушнарева, 1993, стр. 95]. ამ კულტურული ბლოკის გავრცელების საზღვრები ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ოლქს [Кушнарева, 1993, გვ. 95-96; Кушнарева, 1997, გვ. 20]; დღეისათვის ამ კულტურული ბლოკის

ძეგლები წარმოდგენილი არიან ცალკეულ ტერიტორიულ ჯგუფებად, რომლებიც ლოკალიზებული არიან არარატის ველზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში, სევანის აუზში, მილისა და ყარაბაღის ველებზე, მცირე კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე, მაღალმთიან საქართველოში, მესხეთ-ჯავახეთში, ალაზნის ველზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და კასპისპირეთში [Кушнарева, 1993 გვ. 96].

4. კარმირ-ბერდის კულტურას კ. კუშნარევა, სავარაუდოდ, ძვ.წ. XIX-XVIII სს-ით ათარიღებდა [Кушнарева, 1993, გვ. 151], სევან-უზერლიკისას – ძვ.წ. XVIII-XVII სს-ით [Кушнарева, 1993, გვ. 163], ყიზილ-ვანქისას კი - ძვ.წ. XIX-XVII სს-ით [Кушнарева, 1993, გვ. 170].

კ. კუშნარევა და მ. რისინი ერთობლივ სტატიაში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თრიალეთ-კიროვაკანის ეტაპი ძვ.წ. III-II ათასწლეულის მიჯნით უნდა დათარიღდეს. ამ ეტაპის ძეგლების „აყვავების“ პერიოდი, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს დაიწყო, დასრულდა არაუგვიანეს ძვ.წ. XVIII-XVII სს, ასევე აღნიშნავენ, რომ შემდგომ საუკუნეებში, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე, თრიალეთ-კიროვაკანის ეტაპის ძეგლების არეალის სამხრეთით არსებობდა კარმირ-ბერდის კულტურა [Кушнарева, Рысин, 2001 გვ. 109].

5. კარმირ-ბერდისა და სევან-უზერლიკის ჯგუფის ძეგლების ურთიერთ-მიმართების და დათარიღების საკითხებზე სომეხ მეცნიერებს გამოთქმული აქვთ განსხვავებული მოსაზრება [Арешян, Оганесян и др., 1990]. ისინი მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ ძეგლებზე კარმირ-ბერდის და სევან-უზერლიკის „კულტურებისათვის“ ტიპოლოგიურად დამახასიათებელი კერამიკა ერთად გვხვდება. რაც, მათი აზრით ორი, ერთმანეთის მომდევნო, სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურის არსებობაზე კი არ მიუთითებს, არამედ პირიქით, ისინი ერთ კულტურულ-ქრონოლოგიურ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ [Арешян, Оганесян и др., 1990, გვ. 57].

კარმირ-ბერდის კულტურას ნაწილობრივ უნდა მიეკუთვნოს სევან-უზერლიკის ჯგუფის კომპლექსებიც [Арешян, Оганесян и др., 1990, გვ. 58].

კარმირ-ბერდის კულტურა იმავე ტერიტორიაზე გავრცელებული, რომელზეც გვხვდება თრიალეთის კულტურის სამივე ჯგუფის ძეგლები.

თრიალეთის და კარმირ-ბერდის კულტურები სხვადასხვა დროისაა. კარმირ-ბერდის კულტურისათვის არ რჩება ადგილი ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ მეოთხედში. რამდენადაც სამხრეთ კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანა ძვ.წ. XIV-XII სს მიეკუთვნება,

ხოლო შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ეპოქა ძვ.წ. XV ს-ზე მოდის [Арешян, Оганесян и др., 1990, გვ. 58], კარმირ-ბერდის კულტურის ზედა ზღვარი უნდა მიუახლოვდეს ძვ.წ. XV ს-ს, ქვედა ზღვარი კი ძვ.წ. XVIII ს-ის მეორე ნახევარს ან მიწურულს. აქედან გამომდინარე კარმირ-ბერდის კულტურა ძვ.წ. XVII-XVI სს უნდა დათარიღდეს [Арешян, Оганесян и др., 1990, გვ. 73-74].

სევან-უზერლიკის კულტურა კარმირ-ბერდის კულტურის წინამორბედია, ან მის ადრეულ ლოკალურ ვარიანტად უნდა იქნეს განხილული [Арешян, Оганесян и др., 1990, გვ. 74].

კარმირ-ბერდის, სევან-უზერლიკის და თრიალეთ-კიროვაკანის კულტურების დათარიღების საკითხებს შეეხო ა. სიმონიანი. ვერინ-ნავერის №12 სამარხის ინვენტარის ანალიზისას იგი აღნიშნავს, რომ სამარხში აღმოჩენილი კერამიკა შუა ბრინჯაოს ხანის სამ განსხვავებულ, კარმირ-ბერდის, სევან-უზერლიკის და თრიალეთ-კიროვაკანის კულტურებს მიეკუთვნება, რომელთა ერთად აღმოჩენაც ამ კულტურების თანაარსებობაზე მიუთითებს ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ მეოთხედში [Симонян, 1990, გვ. 206-207]. ზემოთ აღნიშნული ფაქტი სიმონიანის აზრით ამ კულტურების „ბლოკის“ ერთად, დაახლოებით ძვ.წ. XXIV-XXIII საუკუნეებში, წარმოშობის პიპოთეზას ადასტურებს, რომელთა ნაწილი ევოლუციურად ვითარდებოდა და ძვ.წ. XVI ს-მდე არსებობდა [Симонян, 1990, გვ. 207-208].

ა. სიმონიანის მიერ მოხმობილი პარალელებიდან ჩანს, რომ მის მიერ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღებული ვერინ-ნავერის №12 სამარხი შედარებით მოგვიანოა და არეშიანის და სხვათა მიერ შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით შეიძლება ძვ.წ. XVII-XVI სს-ით დათარიღდეს.

სხვადასხვა კულტურის ელემენტების ერთ კომპლექსში თავმოყრა ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი თანხვედრა დროის იმ მონაკვეთში ხდება, როდესაც ძველი კულტურა, სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, ტრანსფორმაციას განიცდის, ან ერთი კულტურა მეორეთი იცვლება. ასეთ მონაკვეთად ჩვენ ძვ.წ. XVIII ს-ის მიწურული და ძვ.წ. XVII საუკუნის დასაწყისი მიგვაჩნია (იხ. ქვემოთ). ამდენად, ვერინ-ნავერის №12 სამარხი შეიძლება ძვ.წ. XVII ს დათარიღდეს.

თუ კარმირ-ბერდის და სევან-უზერლიკის კულტურებს ერთ კულტურულ-ქრონოლოგიურ ჭრილში განვიხილავთ და გავითვალისწინებთ იმ თარიღებს რომლებიც მიღებულია კარმირ-ბერდის კულტურისათვის ძვ.წ. XVII-XVI სს [Арешян, Оганесян и др., 1990, გვ. 73-74], ხოლო სევან-უზერლიკისათვის –

ძვ.წ. XVIII-XVII სს [Кушнарева, 1993, გვ. 163], მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს კულტურები (კულტურა) უშუალოდ მოსდევენ თრიალეთის კულტურას და ცვლიან მას. საქართველოს ტერიტორიაზე კარმირ-ბერდის კულტურისათვის დამახასიათებელი მოხატული კერამიკა მცირე რაოდენობითაა (ნარეკვაავი, რუსთავი) აღმოჩენილი [ლომთათიძე, 1955, გვ. 178, ტაბ. XV; ჭილაშვილი, 1958, ტაბ. 11-5; ოქროპირიძე, 1963, გვ. 196, ტაბ. III-3]. ეს ფაქტი ორ გარემოებაზე შეიძლება მიუთითებდეს, ან ამ ეპოქის ძეგლები ჩვენში ნაკლებადაა შესწავლილი, ან კარმირ-ბერდის კულტურა ჩრდილოეთით სუსტად ვრცელდება.

ყოველივე ზემოქმედების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თრიალეთის კულტურის და სევან-უზერლიკის ჯგუფის (კულტურის) ძეგლები ერთ კულტურულ ბლოკად უნდა იქნას განხილული. რაც შეეხება კარმირ-ბერდის კულტურას, იგი თრიალეთის კულტურის გვიან ეტაპზე (ძვ.წ. XVII ს) იწყებს ჩამოყალიბებას (ან ვრცელდება სამხრეთიდან) და მალევე ქრება. შენიშნულია, რომ კარმირ-ბერდის კულტურაში შუა ბრინჯაოს ხანის მასალებთან ერთად გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ერთეული ჭურჭლები გვხვდება [Кушнарева, Рысин, 2001, стр. 103]. თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალში, შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულს სხვა ძეგლებზეც შეინიშნება ახალი ელემენტების გამოჩენა, რამაც მკვლევარებს საშუალება მისცა შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპი გამოეყოთ [ფიცხელაური, 1973, გვ. 125-146; Пицхелаური, 1979, გვ. 62-71].

ამდენად, ბედენური კულტურა შეიძლება ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით (ძვ.წ. XXVI-XXIV სს), შუა ბრინჯაოს ხანის I ეტაპი – ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის მეორე მესამედს (ძვ.წ. XXIII-XXII სს), შუა ბრინჯაოს II ეტაპი – III ათასწლეულის მიწურულს (ძვ.წ. XXI-XX სს), ხოლო შუა ბრინჯაოს III ეტაპი – ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისს (ძვ.წ. XIX-XVIII სს) მივაკუთვნოთ.

რა თქმა უნდა, თრიალეთის კულტურის დათარიღების საკითხი კიდევ არაერთხელ დადგება დღის წესრიგში, რადგან აბსოლუტური ქრონოლოგიის შესამუშავებლად დღეისათვის არსებული მონაცემები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. შეიძლება II ქრონოლოგიური ჯგუფის ზედა ქრონოლოგიური თარიღი დაახლოებით ძვ.წ. XIX ს-ის შუა ხანებით განისაზღვროს [აბრამიშვილი, 2003, გვ. 49]. III ჯგუფის ზედა ქრონოლოგიური თარიღის განსაზღვრაც პრობლემატურია. ამ თარიღის დადგენისათვის მეცნიერები

ძირითადად თრიალეთის XV ყორღანში აღმოჩენილი მასრიანი შუბისპირის თარიღს ეყრდნობოდნენ [ჯაფარიძე, 1969, გვ. 34; გოგაძე, 1972, გვ. 39, 63]. გ. ქავთარაძის აზრით, “თრიალეთის XV ყორღანის მასრიანი შუბისპირის საფუძველზე თრიალეთის კულტურის სასრული თარიღის ძვ.წ. XV ს. განსაზღვრა არ უნდა იყოს მართებული“ [ქავთარაძე, 1981, გვ. 115-118]. ეს ყორღანი გ. ქავთარაძემ შუა ბრინჯაოს ხანის I ფაზას მიაკუთვნა [ქავთარაძე, 1981, გვ. 115]. III ჯგუფის ზედა თარიღი ალბათ იმ დროზე უნდა მოდიოდეს, როდესაც ტიპიურ, შუა ბრინჯაოს ხანის მასალებთან ერთად, ერთეულების სახით ჩნდება ახალი მასალები. მომდევნო პერიოდი შეიძლება XVII ს-ში იწყებოდეს და ძვ.წ. XVI ს-ს მთლიანად მოიცავდეს. ასეთ ძეგლად თრიალეთში ჯინისის ნამოსახლარი მიგვაჩნია (იხ. ქვემოთ).

თრიალეთში სარიტუალო-საპროცესიო გზების დათარიღების საშუალებას თრიალეთის III, VI, VIII, XV, XVII და ზურტაკეტის №№ 3,4,6 ყორღანები იძლევა. როგორც აღვნიშნეთ, მათი თარიღის თაობაზე, ისევე როგორც თრიალეთის კულტურის დათარიღების შესახებ, ერთიანი აზრი არ არსებობს (იხ. ზემოთ). ჩვენ ვიზიარებთ „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების“ ახალ თარიღებს და მათ (გარდა L ყორღანისა) ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებითა და ძვ.წ. II ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით ვათარიღებთ. ისინი შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებიან.

L ყორღანი მიწაყრილიანი ყორღანების ჯგუფს მიეკუთვნება. გათხრილია მხოლოდ გზის მცირე მონაკვეთი, კრომლესის ყრილის ერთი ნაწილი და კრომლესის შიგნით, გზასა და ძირითად სამარხს კამერას (გაუთხრელია) შორის მდებარე სამარხი (ტაბ. XVIII). სამარხში აღმოჩენილი მასალები (ტაბ. XIX-XXIII) სამხრეთ კავკასიის ე.წ. ბედენური კულტურის [გობეჯიშვილი, 1981] წრეში ექცევა და უშუალოდ „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის“ წინამორბედ ეპოქას მიეკუთვნება. L ყორღანის ბედენური ეტაპისადმი მიკუთვნებას კრომლესის ქვაყრილის ქვეშ გამოვლენილი მასალებიც ადასტურებენ.

ამდენად, დღევანდელი მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სარიტუალო გზები ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში, ბედენურ კულტურაში ჩნდება და დაკავშირებულია როგორც თრიალეთის ადრეულ, ისე თრიალეთის „ბრწყინვალე“ ყორღანებთან. თუ კ. კახიანის მიერ გათხრილ ყორღანებს მართლაც აქვთ სარიტუალო გზები, მაშინ შეიძლება დაგუშვათ, რომ ასეთი გზები გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპამდე განავრცობენ არსებობას.

**თავი V.**  
**თ რ ი ა ლ ე თ ი ს      ყ ო რ დ ა ნ ე ბ ი ს**  
**რ ე კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ი ს ა თ ვ ი ს .**

თრიალეთის ყორდანების სამშენებლო საქმის და საინჟინრო ხელოვნების შესწავლა სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენ არ შევუდგებით ამ საკითხების განხილვას, მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით შემოვიფარგლებით.

ახალი სტრუქტურების აღმოჩენამ გზების და ყორდანების კონსტრუქციული ურთიერთმიმართების საკითხიც დააყენა. ჩვენს მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ ქვით მოკირწყლული გზა ყორდანის ორგანული ნაწილია. იგი, როგორც ჩანს, მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული და საპროცესიო მსვლელობისათვის იგებოდა. დაკრძალვის რიტუალის აღდგენა, დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, რთულია. ო. ჯაფარიძე წერს – „რა თქმა უნდა, ახლა ძნელია იმის აღდგენა, თუ როგორ მარხავდნენ ტომთა ბეღადებს, როგორი იყო დაკრძალვის რიტუალი და სხვ... როგორც ჩანს, თრიალეთის ყორდანებში მიცვალებულს ზოგჯერ ეტლთან ერთად ასაფლავებდნენ. ზოგიერთ ყორდანში შენიშნულია ეტლის ნაკვალევი. მათგან ორში... კარგად დაცული ოთხთვალა ეტლიც აღმოჩნდა... საფიქრებელია, რომ თრიალეთის როგორც ორმოიან, ისე „დასაკრძალავ დარბაზიან“ დიდ ყორდანებში მიცვალებულებს აგრეთვე ეტლით ასაფლავებდნენ“ [ჯაფარიძე, 1969, გვ. 68; Куфтин, 1941, გვ. 81].

გზები უმეტესწილად განსაკუთრებულ, ხელოვნურ სუბსტრუქციებზეა დაფუძნებული, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ალბათ ნიადაგის ნიველირების, ზოგჯერ კი მიწის თანადროული ზედაპირიდან გამოყოფის მიზნით კეთდებოდა. მათი მაქსიმალური სიმაღლე 1,0 მ-ს უდრის. გზის ქვეშ მოქცეული სუბსტრუქცია უფრო დიდი ზომის ქვებითაა შედგენილი, ვიდრე გზის ზედაპირია მოგებული და რამდენიმე ფენას შეიცავს. სარიტუალო გზების გამართვის ეს ტექნიკა საინჟინრო ხელოვნების მაღალ დონეზე მეტყველებს. პირველ რიგში აღსანიშნავია შუა ბრინჯაოს ხანის საკულტო არქიტექტურის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე, რაზეც ყორდანთა აგების ტექნიკა, იდეურ-ესთეტიკური მხარე და მათი არქიტექტორული სახე მიუთითებს. ასკეტური ფორმებით გამორჩეულ ყორდანებში კარგადაა

შესამებული მასშტაბი, მასა და პროპორციები, მკვეთრად გამოხატული ფუნქციური და ტექტონიკური ლოგიკა. ასეთი დიდი მასშტაბის კომპლექსების მშენებლობა დიდ დროს, სახსრებსა და მუშახელს მოითხოვდა. ო. ჯაფარიძე ზურტაკეტის ყორღანების შესახებ წერს „ამ სამარხი ნაგებობების მშენებლობა... შესაძლოა წლების განმავლობაში გრძელდებოდა“ [ჯაფარიძე, 1969, გვ. 66]. როგორც ჩანს, ასეთი ყორღანის შენება მასში დაკრძალულის სიცოცხლეშივე იწყებოდა [Куфтин, 1941, გვ. 144]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „თრიალეთის როგორც ორმოიან, ისე „დასაკრძალავ დარბაზიან“ დიდ ყორღანებში მიცვალებული... ან მისი ფერფლი, ალბათ დრომოსით, უკვე გადახურულ „დასაკრძალავ დარბაზში, ეტლში შებმული ხარებით შექონდათ“ [Куфтин, 1941, გვ. 81, 143; ჯაფარიძე, 1969, გვ. 63, 68]. ალბათ ეტლი სარიტუალო გზაზე პროცესიასთან ერთად მიემართებოდა. როგორც ჩანს ეს ეტლები ერთჯერადი გამოყენების იყო და „სპეციალურად დასაკრძალავად იყენებ განკუთვნილი“ [ჯაფარიძე, 1969, გვ. 76].

დიდი ყორღანი წინასწარ იყო გადახურული [ჯაფარიძე, 1969, გვ. 68], ხოლო დარბაზს „აშკარად ჰქონია სვეტებზე დაყრდნობილი ხის სახურავი“ [Куфтин, 1941, გვ. 81, 144]. როგორც ჩანს, გადახურული იყო დრომოსის დიდი ნაწილიც (ტაბ. LVIII, 2; LIX, 2; LX, 2). გამოქვეყნებული [გოგაძე, 1972; ჯაფარიძე, 1964; ჯაფარიძე, 1969; Куфтин, 1941; Куфтин, 1948; Жоржикашвили, Гогодзе, 1974] და საარქივო მასალების [ბ. კუფტინის 1936-40 და 1947-48 წწ. დღიურები] მიხედვით შევეცადეთ აღგვედგინა (არქიტექტორი შ. მელიქიძე, მხატვარი გ. ტატიშვილი, კონსტრუქტორი მ. ჩხაიძე) ზოგიერთი ყორღანის არქიტექტურული ფორმა (ტაბ. LVIII, 1; LIX, 1; LX, 1) და კონსტრუქცია (ტაბ. LVIII, 2; LIX, 2; LX, 2). ბ. კუფტინის მიხედვით ყორღანების გადახურვისათვის გამოიყენებოდა 30-35 სმ დიამეტრის მუხის ძელები [Куфтин, 1936; Куфтин, 1941, стр. 81; Жоржикашвили, Гогодзе, 1974, стр. 14, таб. 9-1]. ზურტაკეტის ყორღანების აღწერისას აღნიშნულია, რომ „ხის სვეტებით “დასაკრძალავი დარბაზი“ გრძივად სამად იყოფოდა... დარბაზის ძირზე აღმოჩენილი ბრტყელი ქვები... ხის სვეტების ძირებს წარმოადგენენ... ზოგჯერ ისინი ერთ ხაზზე და ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით (ოთხ-ოთხი მეტრით) არის დაცილებული“ [ჯაფარიძე, 1969, გვ. 60-62]. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზურტაკეტის „სამივე დიდი ყორღანის „დასაკრძალავი დარბაზის“... კედლების სიმაღლე დაახლოებით 6,0 მ აღწევს“ [ჯაფარიძე 1969, გვ. 60], ყორღანების ყრილის სიმაღლე 7,0-8,0 მეტრია [ჯაფარიძე, 1969, გვ. 24, 39, 45],

ასევე კუფტინის დღიურებს, გამოქვეყნებულ ნახაზებს [გოგაძე, 1972; ჯაფარიძე, 1964; ჯაფარიძე, 1969; Куфтин 1941; Жоржикашвили, Гогадзе, 1974] და იმასაც, რომ გადახურვის კონსტრუქციას მხოლოდ განსაზღვრული მასის გაძლება შეეძლო, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამარხი კამერის გადახურვის თავზე ყორღანის ქვაყრილის სისქე 1,0-1,2 მ-ს უდრიდა.

ზოგიერთი ყორღანის (მაგ. თრიალეთის XV, XVII ყორღანები) ყრილს კუთხეებმომრგვალებული, წაგრძელებული ოთხკუთედის ფორმა აქვს (ტაბ. LIX, 2; LX, 1). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზურტაკეტის №6 ყორღანი, რომლის დასაკრძალავ დარბაზზეც საფეხურებიანი ნაგებობაა დადგმული (ტაბ. LVIII-LIX, 1). ნაგებობა წრიულია, მისი ქვედა, პირველი საფეხურის სიმაღლე 3,0 მ-ს აღწევს, ზედა საფეხურების სიმაღლე კი 1,0-1,5 მ-ს შორის მერყეობს, კედლები ნაგებია საშუალო და მოზრდილი ბაზალტის დაუმუშავებელი ქვებით. კედლები ოდნავაა დახრილი ყორღანის ცენტრისაკენ (ტაბ. LIX,1). დასაკრძალავი დარბაზის და დრომოსის კედლები კი ქვის ფილებითაა ამოყვანილი (ტაბ. LVIII,1,2). წყობა მშრალია. ზურტაკეტის №6 ყორღანი შუა ბრინჯაოს ხანის უნიკალურ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგეს. იგი ერთადერთია და მას სამხრეთ კავკასიაში ანალოგი არ მოეპოვება.

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები ყორღანთა კონსტრუქციის და მათი გარეგნული ფორმის უფრო ზუსტად აღდგენის საშუალებას არ იძლევა. შემდგომი კვლევა და არქეოლოგიური გათხრები ალბათ დააზუსტებს და მრავალ კორექტივს შეიტანს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ რეკონსტრუქციებში.

**თავი VI.**  
**სარიტუალო გზების ფუნქციონისა და წარმოგავლობის**  
**ზოგიერთი საკითხი**

თრიალეთის ყორღანებთან დაკავშირებულ სარიტუალო გზებს ყორღანული კულტურების არეალში ანალოგი არ მოეძებნება.

არაერთგზისაა აღნიშნული ის საოცარი მსგავსება, რომელიც დედა-მიწის სხვადასხვა კონტინენტზე არსებულ უძველეს სამლოცველოებსა და დასაკრძალავებს (პირამიდა, ზიკურატი, ტეოკალი, ყორღანი) შორის შეინიშნება. ეს მონუმენტური ნაგებობები ერთი პრინციპითაა აგებული. ისინი წარმოადგენენ ხელოვნურ შემადღებას (ქვის, მიწის, აგურის), რომლისკენაც ზოგჯერ საკრალური გზა მიუყვება.

თრიალეთის ყორღანებთან აღმოჩენილი გზები დიდ მსგავსებას იჩენენ ძველ სამყაროში დადასტურებულ სარიტუალო-საპროცესიო გზებთან [Neve, 1996, გვ. 17-18; Маккуин, 1983, გვ. 132-136], რომელთაგან განსაკუთრებულ სიახლოვეს ეგვიპტის პირამიდებთან არსებულ “აღმავალ გზებთან” ამჟღავნებენ [Stadelmann, 1991, გვ. 123-126, 136-138, 150, 152, 157, 166, 170, 178, 189, 191, 198, 209-214, 231, სურ. 42-43, ნახ. 29, 52, 53, 57, 67, 68; Замаровский, 1986, გვ. 111, 285, 290, 295, 296, 313, 325].

ჯერ კიდევ პეროდოტე მოესწრო გზას, რომელიც მიემართებოდა ხეოფსის პირამიდის ზედა (მოსახსენიებელი) ტაძრიდან ქვედასაკენ. იგი გაწყობილი იყო მოპირკეთებული ფილებით. მისი სიგანე 18 მეტრი იყო. მისი დამუშავება „არანაკლებ შრომატევადი იყო ვიდრე თავად პირამიდის“. ეს გზა XIX ს. ბოლოს გაქრა [Замаровский, 1986, გვ. 261].

ძველი სამეფოს თითქმის ყველა დინასტიის ფარაონი თავის პირამიდასთან აგებდა ე.წ. „აღმავალ გზებს“. ეგვიპტოლოგები თვლიან, რომ ძველი ეგვიპტელების მისწრაფება პირამიდების სწორი ორიენტაციისაკენ, დაფუძნებული იყო რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, რომელთა მიხედვით, გარდაცვლილი მეფე (შესაძლოა მისი „კა“) ადის ცაზე ვარსკვლავებთან, სადაც იკავებს ადგილს ჩრდილოეთ პოლუსის თავზე. ამ წარმოდგენების შესაბამისად ძველი სამეფოს ყველა პირამიდის შესასვლელი დერეფანი უშუალოდ ჩრდილოეთისკენაა ორიენტირებული, რათა შეემსუბუქებინა გარდაცვლილი მეფის აღმავალი გზა პოლარული ვარსკვლავისაკენ [Замаровский, 1986, გვ. 300].

„აღმავალი“ გზები საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგ. ფარაონ უნისის პირამიდისაკენ მიმავალი 670 მ სიგრძისა და 6,7 მ სიგანის გზა ქვის კედლებითაა შემოზღუდული, რომლებიც 3,2 მ სიმაღლეზე ქვის ბლოკებით იყო გადახურული. კედლების შიდა მხარე ბრძოლისა და ნადირობის სცენების რელიეფური გამოსახულებებით იყო დაფარული [Замаровский, 1986, გვ. 305].

მენტუხოტეპ I-ის პირამიდა და მთელი კომპლექსი შემოზღუდული იყო ტრადიციული ქვის კედლით. აღმოსავლეთის მხრიდან ტაძრის ტერასისაკენ მიდიოდა პანდუსი, საიდანაც იწყებოდა 1200 მ სიგრძის და 33 მ სიგანის მოკირწყლული გზა, რომელიც ქვედა ტაძრისაკენ მიემართებოდა [Замаровский, 1986, გვ. 325].

პროტოშუმერული და შუმერული ტაძრებისაკენ გრანდიოზული კიბეები მიუყვებოდა. თავად ზიკურატიც საფეხურებიან ტაძარს წარმოადგენდა. ასეთია ჯემდეთ ნასრის პერიოდის (ძვ.წ. 3200-2900 წწ) ანუს თეთრი ტაძარი ურუქში [Плойд, 1984, стр. 53]. ტელ-უკაირის საკურთხევლისაკენ ასევე კიბე მიემართება [Плойд, 1984, стр. 58]. ხაფაჯის ოვალური ტაძარი (ძვ.წ. 2650-2350 წწ) იდგა პლატფორმაზე, რომლისაკენაც ერთი კიბე მიემართებოდა [Плойд, 1984, стр. 109; Брей, Трамп, 1990, стр. 272]. გრძელი კიბეები მიემართებოდა ურის III დინასტიის დროინდელ სამარხი კამერებისაკენაც [Плойд, 1984, стр. 167]. ურის III დინასტიის ერთ-ერთი სამეფო მაგზოლუეში ორი ნაწილისაგან – მიწისქვეშა დასაკრძალავი და მიწისზედა, ზიკურატისებური, ნაგებობისაგან შედგებოდა [Вулли, 1961, გვ. 159].

აშურში მდებარე საფეხურებიან კოშკზე მიშენებული იყო ნაგებობა, რომელიც მდ. ტიგროსის ნაპირებს აღწევდა, სადაც წმინდა ტივები იდგა. ახალი წლის დღესასწაულის დროს აშურის ტაძრიდან გამოჰქონდათ ღვთაებების ქანდაკებები. ცერემონია ამ ტივებით ქანდაკებების ქალაქიდან გაყვანას ითვალისწინებდა. ღმერთები ტოვებდნენ ქალაქს, რათა რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაბრუნებულიყვნენ. ამ რიტუალის ჩატარებისათვის მდ. ტიგროსიდან ტაძრამდე აგებული იყო „პროცესიების გზა“ [Церен, 1986, стр. 116].

რიტუალური გზები სამლოცველოებთან და დასაკრძალავებთან დადასტურებულია ხეთებთან. ანკარასთან, გიაურ-ყალეში გათხრილი სამარხი მდებარეობს ბორცვზე, რომელიც ციკლოპური კედლითაა გარშემორტყმული. მისკენ მიმავალი გზის დასაწყისში, ბუნებრივ კლდეზე

შესრულებულ რელიეფზე გამოსახულია მჯდომარე ქალღმერთი, რომელსაც ორი ღმერთი უახლოვდება. ზედა პლატოს დასასრულთან დასაკრძალავი ნაგებობა იყო. წერილობითი წყაროების მიხედვით, ასეთი იყო მეფეთა დასაკრძალავები, რომლებმაც არ მოაღწიეს ჩვენამდე [Маккуин, 1983, გვ. 132-136]. წმინდა გზა მიემართებოდა ტაძრისაკენ ბოლახ-ქოიში [Neve, 1996, გვ. 17-18].

გრანდიოზული სარიტუალო გზები სამლოცველოებთან დადასტურებულია მაიას ცივილიზაციაში: ჩინენ-იცაში ცენტრი, სადაც აღმართული იყო „ფროთოსანი გველის“ პირამიდა, სამსხვერპლოს უკავშირდებოდა გზით, რომლის სიგრძე 274 მეტრი და სიგანე 10 მეტრი იყო [Стингл, 1982, გვ. 136]. საკრალური გზა მიდიოდა „სიკვილის ჭისკენაც“ [Стингл, 1982, გვ. 136]. საკრალური „თეთრი გზა“ აკავშირებს მაიას ორ ქალაქს – იაშნუნს და კობეს. მისი სიგრძე 69 კმ იყო. საოცარია, რომ იგი სწორ მაგისტრალად მიემართება და მხოლოდ ერთ ადგილას 4 გრადუსით იცვლის მიმართულებას [Стингл, 1982, გვ. 169-170]. ისევე როგორც წმინდა გზა ნოსკაკაბიდან ციბილჩალტუნამდე. გზის ნაპირები აგებულია კარგად გათლილი კირქვის ბლოკებისაგან. კედლებს შორის ჩაწყობილია დაუმუშავებული ქვები – ქვემოთ დიდი, ზემოთ კი სულ პატარა. კობეში ეს უცნაური გზა სრულდება რვაწახნაგა მოედანზე, სადაც იდგა პატარა პირამიდა. ფერდებზე კიბეები მიუყვება. წვერზე კი სამლოცველო იდგა [Стингл, 1982, გვ. 170].

ლარსას დინასტიის ეპოქაში, ურში ივარაუდება საპროცესიო გზა, რომელიც მიემართებოდა ეთემენიგურუს ზიკურატისკენ [Дьяконов, 1990, გვ. 23. სურ. 1]. გამთხრელები (ლ. ვული და ჯ. მალოვანი) ვარაუდობდნენ, რომ წმინდა გალანის კარიბჭიდან ქალაქის ერთ-ერთი გალანისაკენ მიემართებოდა საკმაოდ ფართო, მეფის ეტლით საკრალური პროცესიების გასავლელად, ქუჩა. ასეთი ქუჩა აღმოჩენილი არ არის. მხოლოდ ივარაუდება, რომ მის ნაწილს წარმოადგენს ეკიშნუგალემსა და „გიპარს“ შორის არსებული ფართო, მოკირწყლული ქუჩის შემორჩენილი ბოლო [Дьяконов, 1990, გვ. 56].

გრანდიოზული საპროცესიო გზა არსებობდა ბაბილონში. მისი სახელი იყო „აიბურშაბუ“, რაც ნიშნავდა „დაე არ არსებობდეს მტერი“. გზის გასწვრივ აგებული 2,95 მ სიმაღლის კედლები მოპირკეთებული იყო „ჩუქურთმიანი ფრიზით“, რომელზეც როზეტები და ლომები, იშთარის წმინდა ცხოველებია გამოსახული. ქალაქგარეთ გზის სიგრძე 250 მ, სიგანე 20-24 მ უდრიდა [Кленгель-Брандт, 1991, გვ. 132]. საპროცესიო გზა მიუყვებოდა

იშთარის კარიბჭისაკენ, რომლის იქით გზას ორნამენტირებული კედლები აღარ მიუყვებოდა, მაგრამ მოკირწყლული გზა მარდუქის ტაძრამდე გრძელდებოდა. ქალაქის შიგნით გზას ერქვა „იშთარი-თავისი ჯარის დამცველი“ [Кленгель-Брандт, 1991, გვ. 133]. ეს გზა ნაბუქოდონოსორ II გაიყვანა. იგი იწყებოდა ქალაქის გალავნის გარეთ. ამ გზის მშენებლობის გამო მეფე არაერთ წარწერაში ტრაბახობს [Кленгель-Брандт, 1991, გვ. 132].

დასავლეთ ევროპაში ნეოლით-ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. V-II ათასწ.) გავრცელებული იყო მონუმენტური დასაკრძალავები, რომლებიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გვხვდება თასისებური, ზარისებური, გრძელი ყორღანები. ეს უკანასკნელი იგებოდა მეგალითური სამარხების თავზე, რომლებიც გალერეის ტიპის აკლდამებს წარმოადგენენ [Брей, Трамп, 1990, გვ. 129; Korn, 2005]. მეგალითური კამერული აკლდამების ერთ-ერთი სახეობაა ე.წ. კორიდორული აკლდამა (ინგ. *passade grave*, გერმ. *Ganggrab*), მისი დამახასიათებელი ნიშანია კონსტრუქციულად გამოყოფილი გრძელი, ვიწრო დერეფანი, რომელიც მიემართება დასაკრძალავი კამერისაკენ. საფრანგეთში, ბრეტანში (გავრ ინისი), ირლანდიაში (ნიუ გრეინჯი), ბოინის კულტურის აკლდამებზე და ენგლსში, ქვებსა და ორთოსტატებზე აბსტრაქტული ნახატებია გამოსახული. არქიტექტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, მეცნიერთა უმრავლესობა კორიდორული აკლდამების ურთიერთკავშირზე მიუთითებს და თვლის, რომ იღუპა ერთი ცენტრიდან მომდინარეობს, მაგრამ აკლდამებიდან მომდინარე მასალა ყოველთვის ადგილობრივია.

ამ ტიპის აკლდამები საფრანგეთში, დასავლეთ და ჩრდილოეთ ბრიტანეთში, ნიდერლანდებსა და შვეციაში ნეოლითის [Брей, Трамп, 1990, გვ. 119], ხოლო ესპანეთის იბერიაში (ლოს-მილიარესი) [Reden, 1989, გვ. 251-253] სპილენძის ხანას მიეკუთვნება. მ. ელიადე ფიქრობს, რომ ეგეოსის ყველა მეგალითური კულტურა ერთი ცენტრიდან წარმოიქმნა, ესაა ლოს-მილიარესი (აღმერთა, ესპანეთი) [Элиаде, 2001, გვ. 109].

ძვ.წ. 2345 წლით დათარიღებული ლოს-მილიარესი წარმოადგენს გამაგრებულ ქალაქს, ბასტიონებითა და ოთხი ფორტით. სამაროვანი მოიცავს ასამდე კორიდორულ აკლდამას, თოლოსებითა და ამბრაზურებით. ქალაქის განვითარება განპირობებული იყო სპილენძის საბადოების სიახლოვით [Брей, Трамп, 1990, გვ. 159]. ენეოლითური ხანის მავზოლეუმები აგებულია წვრილი ქვებით და შემოზღუდულია ორთოსტატებით. იგივე ტექნიკა შეინიშნება ბრეტონული თაღოვანი აკლდამების და მალტის ტაძრების არქიტექტურაში [Reden, 1989, გვ. 252]. შთამბეჭდავია დერეფნიანი აკლდამები

შვეციაში [Mohen, 1989, გვ. 104], ირლანდიაში [Mohen, 1989, გვ. 105], საფრანგეთში [Mohen, 1989, გვ. 111].

ცენტრალურ და დასავლეთ საფრანგეთში დერეფნიანი, გრძელი ყორღანები ძვ.წ. 4500-4000 წწ-ით თარიღდება. დერეფნების სიგრძე 50-150 მ, სიგანე 20-50 მ, სიმაღლე 3-10 მ-ია (ბუგონი, გროსმოთ, ლე ბერნე, შამპ-შალონ, მილ-ეკიუ) [Joussaume, 1997, გვ. 279].

ხშირად ასეთ დერეფნებში სიკვდილის ქაღალმურების გამოსახულებებია. ადგილობრივი მოსახლეობა ამგვარ გალერეებს „ფერიების გამოქვაბულებს“ უწოდებს [Reden, 1989, გვ. 203]. ირლანდიაში, ნიუგრენჯის შესასვლელი 20 მ სიგრძისა. შესასვლელის ქვები კი აბსტრაქტული ნახატებითაა დაფარული [Mohen, 1989, გვ. 95, 101, 106; Reden, გვ. 280, 282, 284].

ევროპულ კორიდორულ აკლდამებთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სამხრეთ საქართველოში გათხრილი თრიალეთის კულტურის ე.წ. მესხური ყორღანები [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, სურ. 4, 7, 9, 17, 20, 30, 34, 38, 44, 45, 47, 50, შამბაშიძე ო., კვიჯინაძე, გამბაშიძე ი., 1991, გვ. 27, ტაბ. 61-1].

შემჩნეულია, რომ მენჰირები ზოგჯერ სამაროვნებთან არის დაკავშირებული (ირლანდია, სამხრეთ-დასავლეთ ინგლისი) [Брей, Трамп, 1990, გვ. 155]. ბრიტანეთსა და ბრეტანში ქვაყრილიან ყორღანებთან, კრომლესებთან და ხენჯებთან დაკავშირებულია ქვის ხეივნები. ისინი ნეოლით-ბრინჯაოს ხანით თარიღდებიან. მაგ. ცნობილ კარნაქში (საფრანგეთი) შემონახულია 3000 მენჰირი. ისინი გაერთიანებული არიან სამ ჯგუფად. თითოეული მათგანი 10-13 რიგისაგან შედგება. ყველა ეს რიგი მთავრდება ვერტიკალურად მდგომ ქვებთან, რომლებიც ნახევარწრეს ქმნიან. აქვეა განლაგებული ქვაყრილიანი, გრძელი ყორღანები (კაირნები), რომლებიც ნეოლით-ბრინჯაოს ხანით თარიღდება [Брей, Трамп 1990, გვ. 102; Korn, 2005].

ქვის ხეივანი სტოუნხენჯთანაც დასტურდება. სტოუნხენჯი მდებარეობს ფართო ველის ცენტრში [Korn, 2005]. მის გარშემო, 4 კმ-ის რადიუსში 350 ვრცელი სამაროვანია. სტოუნხენჯიდან ქვის ხეივანი, რომლის სიგრძე 3,2 კმ-ია [Брей, Трамп 1990, გვ. 234] სწორხაზოვნად მიემართება და 550 მ-ის შემდეგ მართი კუთხით უხვევს სოფ. ეიმსბერისაკენ იქ, სადაც უახლოვდება სავარაუდოდ სოფ. ეივონს, სადაც მისი კვალი თანამედროვე სახლებსა და ქუჩებში ქრება [Хокинс, 1977, стр. 35, 66-67]. ეს ხეივანი გამართული იყო სტოუნხენჯ II ეპოქაში (ძვ.წ. 2000-1800 წწ). ხეივანი მიმართულია აღმოსავლეთით. გზის სიგანე თანამედროვე ოთხრიგი მოძრაობის სამანქანო

გზის სიგანეს უდრის. მის მშენებლობაზე 18 000 კაც-დღეა დახარჯული. ქვები ჩამოტანილია უელსიდან, სადაამდეც 400 კმ-ია [Хокинс, 1977, стр. 23-25]. სტოუნხენჯ II-ის მშენებლები ბიკერების კულტურას ეკუთვნოდნენ, რომლებიც თავის გამორჩეულ წევრებს ყორღანებში კრძალავდნენ [Хокинс, 1977, стр. 31].

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ სარიტუალო გზები დიდ ტერიტორიაზე გავცელებული და დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოს მოიცავს, რაც ასეთი გზების უნივერსალურობაზე მიუთითებს.

თრიალეთის ყორღანებთან დაფიქსირებული ქვით მოკირწყლული გზები სარიტუალო-საპროცესიო გზებს წარმოადგენენ და წარმოშობით ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებს უკავშირდება (ოთ. ჯაფარიძე არა მხოლოდ თრიალეთის კულტურის წარმომავლობას უკავშირებს სამხრეთ მესოპოტამიას, არამედ თვლის, რომ თრიალეთის, ალაჯა-ჰუიუკის და მაიკოპის კულტურები საერთო წარმოშობისა არიან და შუემერს უკავშირდებიან [ჯაფარიძე, 1969, გვ. 176]).

შეიძლება დაეუშვათ, რომ მიწისზედა ნაგებობიანი სამარხების გამართვის იდეა ეგვიპტეში ჩამოყალიბდა, საიდანაც იგი გავრცელდა, სამარხზე მიწისზედა ნაგებობების გამართვის ან ყორღანული ყრილების ქვეშ დაკრძალვის სახით, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით (კერმას კულტურა).

მიცვალებულის ყორღანში დაკრძალვის წესი ეგვიპტის სამხრეთითაც დასტურდება, სადაც ძვ.წ. XXIII-XIX სს-ში გავრცელებულია ბრინჯაოს ნივთებით მდიდარი „კერმას კულტურა.“ ამ კულტურისათვის დამახასიათებელია გრანდიოზული, მიწაყრილიანი ყორღანები.

კერმას კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია ე.წ. „აღმოსავლეთის სამაროვანი,“ სადაც ორი ტიპის დასაკრძალავები გვხვდება: 1. ყორღანული ტიპის – დასაკრძალავი ნაგებობები, რომლებიც განკუთვნილია ძირითადი მიცვალებულისათვის და დაფარულია არც ისე მაღალი მიწაყრილით. ყორღანი გარშემორტყმულია მუქი ფერის ქვების ფართო კრომლესით. ქვის წრის შიგნით, სამხრეთ სექტორში ხარის თავის ქალებია მოთავსებული. დარჩენილი ნაწილი შევსებულია მცირე ზომის სამარხებით, რომლებიც იგივე პერიოდს განეკუთვნება. 2. მცირე ზომის დასაკრძალავები, სადაც ორი ტიპი გვხვდება - ა) დამოუკიდებელი - ერთი დასაკრძალავით; მიწაყრილით, შავი ქვის წრით, ღორღით და კვარცის კონუსით (ასეთივე კონუსები აქვთ პირველი ტიპის ყორღანებსაც). ამ ტიპის

საკრძალავებს დამატებითი სამარხები არ გააჩნიათ. ბ) დიდი ყორღანების დამატებითი სამარხები, რომელთაც შავი ქვის წრე არ გააჩნიათ, ამიტომ ისინი მიწაყრილის მთლიანად მოსხნის შემდეგ ჩნდებიან.

დიდი დასაკრძალავი კამერის ფართობია 489,5 კვ.მ, ეს მაშინ, როდესაც ხეოფსის პირამიდის დასაკრძალავი კამერის ფართობი 84 კვ.მ-ია, ხეფრენის კი 107,6 მ [Осама эль Нур, 1976, გვ. 33].

ძირითადი მიცვალებული სარეცელზე ასვენია, რომელიც მარჯვენა გვერდზე წევს, ფეხები ოდნავ მოხრილი აქვს, მარჯვენა ხელი ღოყის ქვეშ, მარცხენა კი იდაყვზე, ან მახლობლად უდევს. მიცვალებული დაფარულია ქსოვილის ან ხარის ტყავით. თავქვეშ ხის „ბალიში“ უდევს. მიცვალებულის მახლობლად პირადი იარაღი და სამკაული აწევია, სარეცელთან ბრინჯაოს ნივთები, სამკაული და კერამიკა დგას [Осама эль Нур, 1976, გვ. 34]. სარეცელი ხისაგან არის დამზადებული, ხე გამოიყენებოდა სამარხის შიდა კონსტრუქციაშიც [Осама эль Нур, 1976, გვ. 40].

კერმას ყორღანებში დადასტურებულია დიდი რაოდენობით ადამიანის მსხვერპლშეწირვის ფაქტები [Осама эль Нур, 1976, გვ. 34, 40].

კერმა სუდანის კულტურის ცენტრად ითვლება [Осама эль Нур, 1976, გვ. 31]. კერმას კულტურა „ქუშიტური“ სამეფოს კულტურადაა მიჩნეული, რომლის აყვავება პირველ გარდამავალ პერიოდს (ძვ.წ. 2280-2016 წწ) და ჰიქსოსების მმართველობის ხანას (ძვ.წ. 1700-1567 წწ) ემთხვევა. ქუშიტების სამეფო, ეგვიპტის დასუსტების შემდეგ, მეორე ჭორომის ქვემოთ ნუბიის ტერიტორიასაც იკავებს. ამ სამეფოს მმართველებს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ ჰიქსოსებთან [Осама эль Нур, 1976, გვ. 32].

„ქუშის“ მმართველი ეგვიპტის ფარაონ იახმოს I (ძვ.წ. 1570-1546 წწ) წარწერაში მოიხსენიება.

მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ კერმას ყორღანები ადგილობრივი წარმომავლობისაა, რადგან „ბარბაროსული“ ტრადიციები, რომლებისათვისაც ადამიანის მსხვერპლშეწირვაა დამახასიათებელი, ნათლად მიუთითებს მათ არაეგვიპტურ ხასიათზე [Осама эль Нур, 1976, გვ. 31]. ყორღანებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი სატევრები ადგილობრივია, კერამიკა ძალზედ მაღალი ხარისხისაა და გაკეთებულია ძველი სუდანის ამ რაიონის ხელოსნების მიერ [Осама эль Нур, 1976, გვ. 33].

სამხრეთ კავკასიაში ყორღანებში დაკრძალვის წესის გაჩენას მეცნიერები [Кушнарева, 1993, გვ. 93; ორჯონიკიძე 2002, გვ. 23; ორჯონიკიძე, 2005, გვ. 14] ჩრდილოეთ კავკასიიდან ვარაუდობენ. გ. გობეჯიშვილი მიუთითებდა რა

ბედენის და ჩრდილოეთ კავკასიის ყორღანებში დაკრძალვის წესის და ინვენტარის მსგავსებაზე, თრიალეთური კულტურის მატარებელთა ჩრდილოეთიდან შემოსვლის შესაძლებლობას უშვებდა. თუმცა, იქვე აღნიშნავდა: „ვიდრე დაზუსტდება დათარიღების საკითხი, ეს მოსაზრება ჰიპოთეზის სფეროში რჩება. ...ჯერ კიდევ ნაადრევია ბედენის გორასამარხებს ვიხილავდეთ, როგორც ძეგლებს, რომლებიც მიუთითებენ ამიერკავკასიაზე, როგორც წინააზიური კულტურის გადამტანზე ჩრდილოეთში. და მაინც ამ უკანასკნელ დაშვებას უფრო მეტი საფუძველი გააჩნია“ [გობეჯიშვილი, 1981, გვ. 134].

ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან მჭიდრო კავშირზე ჯერ კიდევ ბ. კუფტინი მიუთითებდა [Куфтин, 1948, გვ. 4].

ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ თრიალეთის კულტურის დაწინაურებას ხელი შეუწყო სამხრეთთან ურთიერთობის გაზრდამ [ჯაფარიძე, 1991, გვ. 166, 187]. ასევე ვარაუდობს, რომ ეტლი ჩრდილოეთიდან კი არ შემოვიდა, არამედ პირიქით სამხრეთიდან გავრცელდა, ხოლო საბრძოლო იარაღების და საიუველირო ხელოვნების სათავე წინააზიურ სამყაროში ჩანს [ჯაფარიძე, 1969, გვ. 166, 187, 199]

გ. ქავთარაძე მიუთითებს, რომ წმინდა სტადიალური თვალსაზრისით „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა“ ახლო აღმოსავლეთისა და მისი პერიფერიების ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურების ტიპიურ პროდუქტს წარმოადგენს [Кавтарадзе, 1983, გვ. 116-117].

## დ ა ს კ ვ ნ ა

ჩვენს მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ ქვაფენილიანი გზები ყორღანთა ორგანული ნაწილია. „სარიტუალო გზა“ კონკრეტული სამარხი ნაგებობისათვისაა განკუთვნილი. როგორც ჩანს, ყორღანების კონცენტრაციის ადგილები საკულტო-სარიტუალო არეს წარმოადგენს, სადაც ყორღანების გარდა სხვა არქიტექტურული ფორმებიც გვხვდება. შეიძლება ამის მაგალითს წარმოადგენდეს სარიტუალო გზების დასასრულს, ყორღანების ყრილზე მიდგმული ოთხკუთხა ნაგებობები (თრიალეთის XV, XLVII, XLVIII და ზურტაკეტის ყორღანები).

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ხელთ არსებული მწირი მასალები საშუალებას არ იძლევიან უფრო კონკრეტულად განვიხილოთ ყველა ის საკითხი, რაც სარიტუალო გზების აღმოჩენამ წარმოშვა. მომავალი გათხრები და კვლევა-ძიება ალბათ მრავალ საკითხს მოჰყვანს ნათელს.

სარიტუალო გზები მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული და საპროცესიო მსვლელობისათვის იგებოდა. დაკრძალვის რიტუალის აღდგენა, დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, რთულია. თრიალეთის ყორღანებში მიცვალებულს ზოგჯერ ოთხთვალა ეტლთან ერთად ასაფლავებდნენ. ნაწილი ეტლებისა ერთჯერადი გამოყენებისთვის იყო განკუთვნილი. მათ სპეციალურად დაკრძალვის რიტუალისათვის აკეთდნენ.

როგორც ჩანს, ხარებშებმული ეტლი, რომელზეც მიცვალებული იყო დასვენებული, სარიტუალო გზაზე პროცესიასთან ერთად მიემართებოდა.

ყორღანთა აგების ტექნიკა, იდეურ-ესთეტიკური მხარე და მათი არქიტექტურული სახე შუა ბრინჯაოს ხანის საკულტო არქიტექტურის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს. ასკეტური ფორმებით გამორჩეულ ყორღანებში კარგადაა შეხამებული მასშტაბი, მასა და პროპორციები, მკვეთრადაა გამოხატული ფუნქციური და ტექტონიკური ლოგიკა.

ასეთი დიდი მასშტაბის და რთული კომპლექსების მშენებლობა „დიდ დროს, სახსრებსა და მუშახელს მოითხოვდა და შესაძლოა წლების განმავლობაში გრძელდებოდა“ [ჯაფარიძე 1969, გვ. 66]. როგორც კუფტინი

აღნიშნავს „ჩანს, ეგვიპტური „მასტაბას“ მსგავსად, პატრონი სიცოცხლეშივე იწყებოდა მის შენებას, რათა მიცვალების შემდეგ ღირსეული ძეგლი დასდგმოდა დიდი ყორღანის სახით“ [Куфтин, 1941, გვ. 144].

შეიძლება ითქვას, რომ ყორღანთა არქიტექტურულ სახეში თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოების უმაღლესი, ან მთელი საზოგადოების წამყვანი იდეა გამოიხატა.

ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რა ხასიათის უნდა ყოფილიყო საზოგადოება, რომელმაც შექმნა „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა“ და რა იყო თრიალეთის კულტურის მატარებელთა სიმდიდრის წყარო.

ყორღანთა სარიტუალო გზები თრიალეთის კულტურის საზოგადოების ორგანიზაციის და სოციალური სტრატეფიცირების ახლებურ ახსნასაც ითხოვს. თუნდაც ის ფაქტი, რომ გვერდიგვერდ მდებარე, თანადროულ ყველა ყორღანს, მათ შორის დიდი ზომისას, არა აქვს სარიტუალო გზა, მათში დაკრძალულთა განსხვავებულ სოციალურ მდგომარეობას ადასტურებს. განსხვავება უნდა იყოს ორმოიან, უორმოლო და „დასაკრძალავ დარბაზიან“ იმ ყორღანებში დაკრძალულთა სოციალურ მდგომარეობას შორისაც, რომელთაც სარიტუალო გზები აქვთ. ყორღანთა ასეთი დიფერენციაცია არისტოკრატიული წრის იერარქიაზე მიუთითებს.

თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოების სოციალური მდგომარეობის თაობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული.

ბ. კუფტინის აზრით, საქმე გაქვს მაღალ საფეხურზე მდგომ წინაკლასობრივ საზოგადოებასთან [Куфтин, 1941, стр. 100], რომელიც საზოგადოებრივი მდგომარეობის რთულ ფორმებამდე შუა ბრინჯაოს ხანაში მივიდა. ამასთან იგი აღნიშნავს, რომ ცალკეული გვარების ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაძლიერებაზე და მასთან დაკავშირებულ „პირველყოფილი გვაროვნული არისტოკრატიის“ ჩამოყალიბების პროცესზე უნდა ვიფიქროთ [Куфтин, 1948, стр. 4]. მკვლევარმა დიდი, ინდივიდუალური ყორღანები ტომის ბელადის ან ტომთა წინამძღოლის სამარხებად მიიჩნია [Куфтин, 1948, стр. 45].

ე. გოგაძეც ყორღანებს „დიდი ბელადების“ დასაკრძალავად მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ „ადგილობრივი ოლიგარქიის ეკონომიკა ეყრდნობოდა დანარჩენი საზოგადოების ცხოვრების აღმაველ დონეს. საზოგადოება „პასტორალისტურია“ [გოგაძე, 2001, გვ. 17].

გ. გობეჯიშვილის აზრით „ბედენის გორასამარხების ხანაში, თრიალეთში პირველად ჩნდებიან გვარის რიგით წევრთა შორის გამორჩეული

ბელადები,“ რაც „ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩასახვის მანიშნებელია“ [კობეჯიშვილი 1981, გვ. 134].

ო. ჯაფარიძის აზრით „ზურტაკეტის და საერთოდ თრიალეთის დიდი ყორღანები ეკუთვნოდან ტომის ბელადებს, რომლებსაც უკვე საკმაოდ დიდი ძალაუფლება უნდა ჰქონოდათ“ [ჯაფარიძე, 1969, გვ. 66]. სოციალურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, საზოგადოების დაშლის პროცესი საკმაოდ შორსაა წასული [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, გვ. 160]. აღნიშნულია, რომ „დიდი ცენტრალური ყორღანი ტერიტორიული გაერთიანების, ხევსთავის, ტომის წინამძღვრის სამარხი იყო“ [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, გვ. 161]; ხოლო „საშუალო ზომის ყორღანები, რომლებიც, ჩვეულებრივ, რამდენიმე ახლავს ხოლმე ცენტრალურ ყორღანს, შესაძლოა ცალკეული გვარისა თუ თემის წინამძღვართა სამარხი იყოს“ [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, გვ. 162].

აღნიშნავენ, რომ „სამხრეთ კავკასიაში მოსახლე საზოგადოება თავისი განვითარებით ახლო მივიდა ძველადმოსავლურ სამყაროსთან. მან თითქმის მიაღწია ცივილიზაციის ზღურბლს, მაგრამ მაინც საბოლოოდ ვერ გადალახა იგი“ [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, გვ. 7].

თრიალეთის კულტურის შემქმნელი საზოგადოების ფენომენი ახსნილია, როგორც ადრეული ცივილიზაცია ან ადრეული სახელმწიფო [Нариманишвили, Шаншашвили, 2000, стр. 64].

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ „ადრეული სახელმწიფოს“ (კლაისენი, სკალნიკი, ლოითჰოზერი, რენფრიუ) ან „ადრეული კომპლექსური საზოგადოების“ (მასონი) ჩამოყალიბება ცივილიზაციის გაჩენასთან ერთად ხდება.

სამხრეთ კავკასიის უძველესი საზოგადოება არაერთხელ ყოფილა სახელმწიფოს ჩამოყალიბების ზღვართან.

სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. მიუხედავად ამისა მრავალი საკითხი გადაუჭრელი დარჩა. ამის ნათელი მაგალითია 2000 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული დისკუსია საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის ვითარებისა და თარიღის შესახებ [ქართული სახელმწიფოების სათავეებთან 2001].

საკითხი მეტად რთულია და საზოგადოებრივი მეცნიერების ერთი დარგის მონაცემების საფუძველზე მისი გადაჭრა შეუძლებელია. ჩვენი ნაშრომის

მიზანს არც წარმოადგენს ყველა იმ საკითხის განხილვა, რაც სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოქმნის პრობლემებს ეხება. მხოლოდ შევეცდებით ახალი არქეოლოგიური მონაცემების შუქზე ზოგიერთ ისეთ მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება, რომელთაც შეიძლება გარკვეული როლი შეასრულონ საკითხის შემდგომი კვლევისას.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ადრეული სახელმწიფოს [მინდია-შვილი, 1993, გვ. 96; შანშაშვილი, 2000, გვ. 28-29] ან ადრეული კომპლექსური საზოგადოების [Maccoh, 1997] ჩამოყალიბებას მტკვარ-არაქსის კულტურას უკავშირებენ.

უძველესი საზოგადოებების განვითარების საკითხებს არაერთხელ შეეხო ვ. მასონი [Maccoh, 1996]. სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. II ათასწლეულის საზოგადოების დახასიათებისას იგი აღნიშნავს: „ეს საზოგადოება რთულ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდა, თუმცა შიდა წინააღმდეგობები ჯერ კიდევ არ იყო მისული წინააღმდეგობის იმ საფეხურამდე, რაც ტიპური იყო კლასობრივი ფორმაციისათვის“, რომ ისინი „...იმყოფებოდნენ პირველყოფილი ფორმაციის დამამთავრებელ ეტაპზე“ [Maccoh, 1996, გვ. 90-92].

ასეთ საზოგადოებას ვ. მასონი „კომპლექსურ საზოგადოებას“ უწოდებს (ეს ტერმინი არ არის ახალი, იგი გვხვდება რენფრიუსთან 1975 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, სადაც იგი ამ ტერმინს სხვა კონტექსტში ხმარობს).

ვ. მასონის მიხედვით ეს საზოგადოება ხასიათდება: 1. სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში სტრუქტურების გართულებით. რომელიც პრიმიტიული ავტარკიისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება; 2. სოციალური იერარქიით, რომელშიც საზოგადოებრივი სტატუსი დგინდება დაბადებიდან განსაზღვრული ფენისადმი მიკუთვნებით. 3. სხვადასხვა სახის ცენტრების ინტეგრაციული როლის გაზრდით, მათ შორის პოლიტიკური მიმართულებით – ბელად-ლიდერის სახით.

ვ. მასონის მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით ადრეულ კომპლექსურ საზოგადოებას განსაზღვრავს: 1. სოციოპოლიტიკური სფეროს იერარქიზაცია, ლიდერის სტატუსის დამკვიდრება. 2. ორგანიზაციული სტრუქტურების იერარქიზაცია. 3. წარმოების სპეციალიზაცია. 4. მდგრადი გაცვლა დიდ დისტანციებზე.

არქეოლოგიურ მასალაში ადრეული „კომპლექსური საზოგადოების“ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს: 1. მსხვილმასშტაბიანი ორგანიზებული საქმიანობა, რაც გამოხატულია რეგულარული დაგეგმარების დიდი ნამოსახლარებით. 2. მონუმენტური საკულტო ცენტრები. 3. ექსტრაორდინალური სამარხეული კომპლექსები.

ამასთან ვ. მასონი აღნიშნავს, რომ შეიძლება გამოიყოს „კომპლექსური საზოგადოების“ განვითარების ორი ძირითადი მიმართულება – ურბანისტული და არაურბანისტული. მისი აზრით ურბანისტული განვითარების გზის ნათელი მაგალითია პირველი ცივილიზაციები სამხრეთ შუამდინარეთიდან სამხრეთ თურქმენეთის ალთინ-თეფემდე. არაურბანისტული გზა ძველ სამყაროში ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი – დამჯდარი მიწათმოქმედების და სტეპური. პირველის მაგალითს წარმოადგენს ბალკანეთის ადრესამიწათმოქმედო საზოგადოება. განვითარების სტეპური გზა კარგად აისახა ძვ.წ. II ათსაწლეულის სტეპურ აზიაში [Массон, 1996, გვ. 90-92].

კავკასიის უძველესი ისტორიის საკითხებს ვ. მასონი შეეხო სტატიაში – „კავკასიის გზა ცივილიზაციისაკენ: სოციოკულტურული ინტეგრაციის საკითხები“ [Массон, 1997], სადაც საზოგადოების არაურბანისტული განვითარების განსაკუთრებული – კავკასიური გზა გამოყო. ადრეული „კომპლექსური საზოგადოების“ დახასიათებას იგი იწყებს მტკვარ-არაქსის კულტურით. იგი აღნიშნავს: „შეიძლება ჩაითვალოს, რომ მსხვილ ცენტრებს (მტკვარ-არაქსის კულტურის. გ.ნ.) აქვთ ურბანისტული გზით განვითარების ტენდენცია. დასახლებათა იერარქია, პირველ ყოვლისა, მომდინარეობს თვით საზოგადოების იერარქიული სტრუქტურიდან. მიმდინარეობს ფორტიფიკაციის განვითარება - ჩნდება ციკლოპური წყობები“ [Массон, 1997, გვ. 126] ასეთად მას მიაჩნია კონტრფორსებიანი კედელი ელარში და შენგავითის ნამოსახლარი.

ვ. მასონი ასკვნის „შესაძლებელია მტკვარ-არაქსელთა საზოგადოება სოციალურად უკვე მიემართება ადრეული კომპლექსური საზოგადოების სტრუქტურის ფორმირებისაკენ და დაწყებულია საზოგადოების ურბანისტული გზით განვითარება“ [Массон, 1997, გვ. 126-127]. შუა ბრინჯაოს ხანისათვის იგი აღნიშნავს: „სამხრეთ კავკასიაში ადრესამიწათმოქმედო საზოგადოების ურბანისტული გზით დაწყებული განვითარება, რაც დამახასიათებელი იყო მესოპოტამიური განვითარების გზისთვის, წყდება. მტკვარ-არაქსის ძირითადი ცენტრები ცარიელდება. მართალია ამის მიზეზი

ცნობილი არ არის, მაგრამ სრულიად ცხადია, რომ იმპულსური განვითარების ცენტრი დაბლობი რაიონებიდან მთისწინა და მთიან ზოლში ინაცვლებს, თანაც ახალ პროგრესს სათავეში ჩაუდგებიან ლიდერები, რომლებიც სოციალურად მაიკოპის მბრძანებლების მსგავსი არიან.

არ შეიძლება ეჭვი გვქონდეს, რომ ამგვარი პრაქტიკა (დიდი ყორღანების აგება. გ.ნ) გარდაცვლილი ბელადების განდიდების მიზნით, ისევე როგორც მაიკოპ-ნოვოსოლოდნაიას სამარხების აგება, საჭიროებდა შრომის ორგანიზაციის დიდ კონცენტრაციას და საზოგადოებრივი ქონების თავმოყრას. ...გამორჩეული ორიენტაცია ლიდერებზე, რაც ჯერ კიდევ მაიკოპის დროს იწყება, წარმოადგენს ადრეული კომპლექსური საზოგადოების განვითარების კავკასიური გზის დამახასიათებელ ნიშანს;“ მკვლევარი ამასთან აღნიშნავს: „ეს მით უმეტეს გასაკვირია, რადგან მდიდრული ელიტარული სამარხების გვერდით გვხვდება უდიდამო კვალის რიგითი ნამოსახლარები, რომელთა შორის მსხვილი პროტოქალაქური ცენტრები არ გვხვდება“ [Массон, 1997, გვ. 128].

ვ. მასონი ასკვნის „როგორც სტეპურ და ბალკანურ საზოგადოებებში, ჩვენს წინ არის აშკარად არაურბანისტული განვითარების ერთ-ერთი ვარიანტი“ და „თრიალეთის მბრძანებელთა სამარხები, მაიკოპის ყორღანებთან ერთობლიობაში ახასიათებენ ადრეული კომპლექსური საზოგადოების განვითარების თავისებურ გზას, რომელსაც შეიძლება კავკასიური ვუწოდოთ“ [Массон, 1997, გვ. 128-129].

მომდევნო საფეხურზე ვ. მასონის აზრით „იწყება ახალი პერიოდი – ბარის მიწათმოქმედებასთან დაბრუნება. წინაურარტულ ხანაში ვითარდება მსხვილი დასახლებები, რომელთაც ურბანისტული ცენტრების მემკვიდრეობითი ხაზის მოცემა შეუძლიათ. მათში კონცენტრირდება მნიშვნელოვანი მოსახლეობა და ხელოსნური წარმოება (მეწამორი, ლჭაშენი). იკვეთება მილიტარიზაციის კონტურები“ [Массон, 1997, გვ. 132].

ვ. მასონის შეხედულებების ვრცელი ამონარიდის მოტანა იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ სამხრეთ კავკასიაში ადრეული სახელმწიფოების წარმოქმნის საკითხები ასე ვრცლად დღეისათვის მხოლოდ მას აქვს განხილული.

ამასთან, „ციკლოპურ“ ნამოსახლარებს გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი მის მიერ წარმოდგენილ სისტემაში. სწორედ ამ მიმართებით აუცილებლად მიმანია რამდენიმე შენიშვნის გამოთქმა.

პირველ რიგში თვალშისაცემია ის გარემოება, რომ მასონის მსჯელობა, როდესაც იგი ადრეული კომპლექსური საზოგადოების განვითარების კავკასიურ გზას განიხილავს, წინააღმდეგობებს შეიცავს. მის მიერ შედგენილი სქემის მიხედვით [Масон, 1997, სურ. 19] „კავკასიური განვითარების გზა“ დაკავშირებულია „ადრეული კომპლექსური საზოგადოების“ არაურბანისტულ ტიპთან“, მაშინ როდესაც ტექსტში თვითონვე მიუთითებს მტკვარ-არაქსისა და გვიანი ბრინჯაოს კულტურების ურბანისტული განვითარების ხაზზე. ამდენად სქემა ვერ ასახავს რეალურ ვითარებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ „კავკასიური განვითარების გზა“, რომელიც „სტეპური გზის“ (ძირითადად მაიკოპის. გ.ნ.) მსგავსად „არაურბანისტული განვითარების“ მოდელშია გაერთიანებული, არ შეესაბამება რელობას. თუ „სტეპური განვითარების გზა“ მაიკოპის ყორღანებიდან მოკიდებული ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე (უფრო გვიანაც) არ განიცდის თითქმის არავითარ ცვლილებებს (ის ნიშნები, რომლებიც მასონის მიხედვით ადრეული საზოგადოებებისათვის არის დამახასიათებელი, დიდხანს ინარჩუნებს თავს ჩრდილოეთ კავკასიაში და სტეპებში), „კავკასიური გზა“ აშკარად არაერთხაზოვანია. მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ურბანისტული გზა თითქოს წყდება მის ბოლო ეტაპზე და ისევ გრძელდება „წინაურარტულ“ [Масон, 1997, გვ. 127] ხანაში.

თუ ადრეული კომპლექსური საზოგადოების განვითარების ერთიან ხაზზეა საუბარი, მაშინ შეიძლება სამხრეთ კავკასიისათვის ძირითადად განვითარების „ურბანისტული გზა“ მივიჩნიოთ, რომლის ერთ ეტაპზე გარკვეული შეფერხება ხდება. ეს ეტაპი ზოგადად შუა ბრინჯაოს ხანაზე მოდის.

თუმცა შეიძლება საკითხის სხვაგვარად დაყენებაც. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ნამოსახლარები, სადაც შუა ბრინჯაოს ხანის მძლავრი ფენებია დადასტურებული (უზერლიკ-თეფე, აიგევანი, მეწამორი, ჯრაოვიტი, ქიულ-თეფე II). განსაკუთრებით გამოიყოფა უზერლიკ-თეფე, გარაკეპეკ-თეფესი და ქიულ-თეფე II, ალბათ ელარიც. მაგ. ქიულ-თეფე II ფართობი 10 ჰა აღწევს. დასახლება შემოზღუდულია ორმაგი თავდაცვითი კედლით, რომელშიც ჩართულია კოშკები და კონტრფორსები, ასევე ციტადელი. უზერლიკ-თეფეში, სადაც შუა ბრინჯაოს ხანის 2 მ სიმძლავრის ფენა დადასტურდა, აღმოჩენილი იქნა ყურძნის წიპწები, სხვადასხვა მარცვლეულის ნაშთები, ნამგლები, ხელსაფქვავის ქვები, სანაყები,

შინაური ცხოველის ძვლები. აქვე აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცები, ბოლომდე გაუხვრეტავი ცული და საკინძი, საქსოვი დაზვის დეტალი, ლითონის ნაჭრები, ჩამოსხმული მახვილის პირი [Кушнарева, 1993, გვ. 239-242; Кушнарева, 1997, გვ. 22].

მიჩნეულია, რომ შუა ბრინჯაოს ხანაში იცვლება მეურნეობის ხასიათი, საზოგადოება გადადის მესაქონლეობაზე, დათბობამ გამოიწვია ბარის დაცლა, მოსახლეობა გადავიდა მთისწინა ზოლში და მთაში. თუმცა ზემოთ მოტანილი მაგალითები ამ შეხედულებას არ ადასტურებენ. კლიმატის შეცვლის გამო დაბლობი რაიონების დაცარიელება არქეოლოგიური მონაცემებით არ დასტურდება. შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები დადასტურებულია ალაზნის და არარატის ველებზე, მილის სტეპში. კ. კუშნარევა აღნიშნავს „უზერლიკ-თეფეს (მილის სტეპი) დასახლება გვიჩვენებს მოსახლეობის ყოფას კავკასიის ყველაზე გვაღვიან რეგიონში“ [Кушнарева, 1997, გვ. 22].

სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზების, განვითარების და ჩამოყალიბების პრობლემების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ საკითხებს არაერთი მეცნიერი შეეხო და მრავალი თეორიაც არსებობს.

ამჯერად არ შევუდგებით ყველა თეორიის და მოსაზრების განხილვას, მოვიშველიებთ მხოლოდ იმ თეორიებს და შეხედულებებს, რომლებიც, ჩვენის აზრით, კავკასიაში სახელმწიფოს ჩამოყალიბების და გენეზისის საკითხების კვლევაში დაგვეხმარება.

სახელმწიფოს ევოლუციის შესახებ არსებული ეთნოლოგიურ-არქეოლოგიური თეორიები და თითქმის ყველა სქემა განხილულია 1998 წელს ფრანკფურტში გამოქვეყნებულ, ვერნერ ლოითჰოზერის წიგნში „სახელმწიფოებრივი ორგანიზებული ძალაუფლების განვითარება ადრეული მადალგანვითარებულ კულტურებში ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე“.

კ. ლოითჰოზერი განიხილავს მორტონ ფრიდის და ელგან სერვისის შეხედულებებს. ფრიდი წარმოდგენილია როგორც „კონფლიქტური პოზიციის“ („Conflict Position“) მომხრე სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, როდესაც საზოგადოებრივ კონფლიქტში ძალადობის მექანიზმი მოქმედებს და სახეზეა ეკონომიკური სტრატეფიკაცია; ე. სერვისი კი ინტეგრაციული პოზიციის (Intergration Position) მიმდევარია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს წარმოქმნა განპირობებულია კომპლექსური საზოგადოების სხვადასხვა მხარეების ინტეგრაციის, დარეგულირების და კონტროლის მექანიზმის არსებობის აუცილებლობით [Leuthäusser, 1998, p. 63].

შემდეგ ვ. ლოითჰოზერი განიხილავს ჰაბერმასის ხუთ თეორიას სახელმწიფოს წარმოქმნის თაობაზე: 1. დაშრეკების თეორია (Überlagerungstheorien) ითვალისწინებს დაპყრობით ფაქტორს, როდესაც დამჯდარ მიწათმოქმედებს იპყრობენ მომთაბარე მესაქონლეები. საზოგადოება ომის შედეგად სტაბილიზირდება. ურთიერთშერწყმის შედეგად კი სახელმწიფო ყალიბდება. 2. მორწყვის (ირიგაციის) თეორია. ამ თეორიის მიხედვით მაღალკულტურული ფორმაცია ვითარდება არა სახელმწიფოებრივი ორგანიზების შედეგად და ზედმეტი პროდუქციის წარმოებით, არამედ განპირობებულია გეოგრაფიული ფაქტორით, კერძოდ მორწყვის ორგანიზების აუცილებლობით. 3. შრომის დანაწილების თეორია. ამ თეორიის საფუძველია ის, რომ დემოგრაფიულ ზრდას და ზედმეტი პროდუქციის წარმოებას მოჰყვება შრომის დანაწილება. ხოლო შრომის დანაწილების გადრმავება საზოგადოებრივი რესურსების ზრდას, სოციალური კლასების ჩამოყალიბებას და ასიმეტრიული სოციალური სტრუქტურების წარმოშობას განაპირობებს. შრომის დანაწილების თეორია გვაბრუნებს უკან მარქსისა და ენგელსისაკენ [Leuthäusser, 1998, pp. 63-64]. 4. მოსახლეობის ჩაგვრის თეორია მსგავსია შრომის გადანაწილების თეორიისა, რომლის მიხედვით აიხსნება ინსტიტუციონალიზმის პროცესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების სტრუქტურაში. დემოგრაფიული ზრდა ადრეული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთი მომენტია [Leuthäusser, 1998, p. 64-65]. 5. უთანასწორობის წინაპირობის თეორია (შეესაბამება გადანაწილების თეორიას) გამომდინარეობს სოციო-ეკონომიკური მაღიფერენცირებელი პროცესიდან [Leuthäusser, 1998, p. 65].

სახელმწიფოებრივი ბატონობის დეფინიციის და წარმოშობის საკითხების განსაზღვრისას ლოითჰოზერი განიხილავს ფრიდის და სერვისის თეორიებს.

ფრიდის მიხედვით საზოგადოებების განმსაზღვრელი ოთხი განსხვავებული ფორმა არსებობს: თანასწორი (ეგალიტარული), წოდებრივი, სტრატეფიცირებული და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მქონე საზოგადოებები. სერვისიც ოთხ ფორმას გამოყოფს: ჯგუფი (band), ტომი (tribe), ბელადობა (chiefdom), და სახელმწიფო (state). ფრიდის დეფინიციით თანასწორ საზოგადოებაში არსებობს პრესტიჟული პოზიციები სქესისა და ასაკის მიხედვით, ამასთან ყველა პიროვნება თანაბარია [Leuthäusser, 1998, p. 69].

ფრიდი და სერვისი განასხვავებენ რა „chiefdom“-ის ტიპის საზოგადოებასა და სახელმწიფოს, იყენებენ ვებერისეულ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც

სახელმწიფოებრივი, ორგანიზებული ძალაუფლება დაკავშირებულია ფიზიკური ძალადობის ლეგიტიმური ფორმების გამოყენებასთან – status quo-ს შენარჩუნების მიზნით. ამავე დროს, სოციალური ევოლუცია მიმდინარეობს მრავალხაზოვნად და ციკლურად. განვითარების პროცესი ხან ევოლუციურია, ხან დევიოლუციური [Leuthäusser, 1998, p. 71].

საზოგადოებრივი განვითარების ფორმებში გამოყოფილია ძალაუფლების ოთხი ციკლი: ქარიზმატული, ჰიეროკრატიული, პოლიტიკური გაერთიანებები და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

გ. ლოთჰოპერის აზრით „ადრეული, მაღალგანვითარებული კულტურები“ მესოპოტამიაში ჰიეროკრატიულ-თეოკრატიული ძალაუფლების საფუძველზე განვითარდნენ.

წოდებრივ საზოგადოებაში ცვლილება პირველ რიგში გამოიხატება მატერიალურ, სასიცოცხლო პირობებში: მოსახლეობის მატება, საკვები პროდუქციის ზრდა. რაც შეეხება გამანაწილებელ მექანიზმს (Distribution-mechanizm), იგი შეესაბამება განვითარების იმ ეტაპს, როდესაც იწყება გადასვლა ორმხრივ გაცვლაზე და რედისტრიბუციაზე (ხელახლა გადანაწილება). წოდებრივ საზოგადოებაში „Leadership“-ის (ბელადი) მდგომარეობა არსებითად არ განსხვავდება თანასწორუფლებიანი საზოგადოებისაგან, მას არ შეუძლია რაიმე სანქციის ან ძალის გამოყენება.

ევალიტარულ საზოგადოებაში ხდება ხელახალი გადანაწილების სისტემაში ბელადის ეკონომიური როლისა და რელიგიური სტატუსის შეთავსება.

მატერიალური ცხოვრების პირობებით ეს ორი საზოგადოება, წოდებრივი და ევალიტარული, დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათგან მკვეთრად განსხვავებულია სტრატეფიცირებული საზოგადოება.

ფრიდის მიხედვით, სტრატეფიცირებული საზოგადოება ისეთი საზოგადოებაა, სადაც ერთი სქესისა და ასაკის წევრებს არა აქვთ თანაბარი „ბაზისური რესურსები“. ფრიდი განასხვავებს „ბაზისურ რესურსებს“ და განსაზღვრული დანამატის სახეებს ორ უხეშ კატეგორიად ყოფს:

1. მთელი პოპულაციის ერთი ნაწილი დანამატს იღებს სტრატეგიული რესურსების მონოპოლიზებით.

2. შრომის დანაწილების პირობებში, კომპლექსური მუშაობის ნიადაგზე მატერიალური რეპროდუქციის საშუალებით იქმნება ის ჯგუფი, რომელიც დანამატს არა მხოლოდ ძირითადი რესურსების გაცვლით, არამედ პროდუქციის გაყიდვით იღებს [Leuthäusser, 1998, p. 66-67].

სტრატეგიცირებული საზოგადოება, ფრიდის მიხედვით, არასტაბილური სისტემაა, სადაც შიდა დაძაბულობის შემთხვევაში ხდება წოდებრივ საზოგადოებაზე გადასვლა ანდა პოლიტიკური კონტროლის ახალი მექანიზმების შექმნა. ეს ახალი, მარეგულირებელი კონტროლის ფორმები გარდაიქმნება სახელმწიფოებრივი ბატონობის ფორმებად [Leuthäusser, 1998, p. 67].

ფრიდის მიხედვით, სახელმწიფო და სტრატეგიცირებული საზოგადოება განსხვავდება კონტროლისადმი ინსტიტუციონალური მიდგომით. პირველის პოლიტიკური ბატონობის ფორმა უპირისპირდება სტრატეგიცირებული საზოგადოების ორგანიზების ნათესაური ხასიათის პრინციპებს. სახელმწიფო ბატონობის მეორე, უმაღლესი მახასიათებელი, ფიზიკური კონტროლის შემდეგ, არის იდეოლოგიური კონტროლი, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციისა და კომუნიკაციის მონოპოლიზირება [Leuthäusser, 1998, p. 67].

ფრიდის ამ პოზიციას აკრიტიკებს ჰაასი და არქეოლოგიური მონაცემების ნაკლებობაზე მიუთითებს. მისი აზრით სახელმწიფო იწყება საზოგადოების სტრატეგიცირებით და ამ პრინციპიდან გამომდინარე წარმატებული ევოლუციური პროცესის სახით ვითარდება [Leuthäusser, 1998, p. 67-68].

სერვისის ისტორიული განვითარების ორ მიმართულებას გამოყოფს. ორივე ბელადობასთან და დანაწევრებულ საზოგადოებასთან არის დაკავშირებული. თუმცა პრიმიტიული სახელმწიფოს და არქაული ცივილიზაციების ჩამოყალიბების დიფერენცირებას ახდენს [Leuthäusser, 1998, p. 70]. ბელადობა, სერვისის მიხედვით, არის ცენტრალიზირებული მმართველობა, მემკვიდრეობით დაკანონებული სტატუსით და სასულიერო არისტოკრატით, მაგრამ არ ახასიათებს ძალდატანების, სარეპრესიო აპარატი. “ბელადობა“ თეოკრატიულია.

ფრიდი, ისევე როგორც სერვისი, ხაზს უსვამს, რომ სტრატეგიცირებული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია გადანაწილება, რაც ბელადის ფუნქციაში შედის და მისი სიძლიერის მაჩვენებელია. გადანაწილების სისტემის ჩამოყალიბება ერთ, ეკოლოგიურად დიფერენცირებულ გარემოში მოქცეულ მეზობელ დასახლებებს შორის მიმდინარე სიმბიოზური გაცვლის შედეგია. ბელადობის სტაბილურობა გადანაწილების ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. მოსახლეობის მატება და ჭარბი პროდუქტის წარმოება, ისევე როგორც ვაჭრობის ფართო ორგანიზება, აპრობებს გადანაწილების სტრუქტურის ფუნქციონირებას, ცენტრში ყალიბდება გამანაწილებელი ბიუროკრატია [Leuthäusser, 1998, p. 70-71].

არქაული ცივილიზაციების წარმატებითი განვითარების პროცესს სერვისის ხსნის ინტეგრაციის გაძლიერებით.

სერვისის მიხედვით არქაული საზოგადოების განვითარების გზა დანაწევრებული საზოგადოებიდან, თავისი „დიდი კაციდან“ (**big men**) „ბელადობამდე“ (**chiefdom**) მიდის. არქეოლოგიური მონაცემებით „ბელადობა“ ნათლად გამოიყოფა: ჩნდება გამორჩეული სამარხები, შეინიშნება შიდა ვაჭრობის კვალი, ჩნდებიან ხელოვნების ნიმუშების დამზადების სპეციალისტები, ხდება საზოგადოებრივი შენობების თეოკრატიულ ასპექტში გადასვლა [Leuthäusser, 1998, p. 72].

„ბელადობის“ წარმატებით ჩამოყალიბების საწინდარია ხელახალი გადანაწილების სისტემის შექმნა, სადაც პასუხისმგებლობა გამანაწილებელ ბელადებს ეკისრებათ [Leuthäusser, 1998, p. 75].

სოციალური ჯგუფების ცხოვრების წესი სახელმწიფოებრიობის დროს სპეციფიკური ხდება, აუცილებლობიდან გამომდინარე, პოლიტიკური ძალაუფლება წყდება ნათესაობაზე დამყარებულ სოციალურ სისტემას [Leuthäusser, 1998, p. 76].

ადრეული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი განხილული აქვს კოლინ რენფრიუს, რომელიც იზიარებს სერვისის თეორიას და ცდილობს მოუძებნოს მას არქეოლოგიური საფუძვლები [ძირითადი მონაცემები აღებულია გ. კვირკველიას ნაშრომიდან. იხ. კვირკველია 1997, გვ. 249-274].

სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეული ეტაპის განსაზღვრისათვის რენფრიუს შემოაქვს ახალი ტერმინი „ადრეული სახელმწიფოებრივი მოდული“, რომლის წარმოქმნასაც ადრეული ცივილიზაციის გაჩენასთან ერთად ვარაუდობს. „ცივილიზაცია კი გულისხმობს ძლიერ სტრუქტურირებული და დიფერენცირებული საზოგადოების განვითარებას“ [Renfrew, 1975 გვ. 17].

რენფრიუს მიხედვით: ადრეული ცივილიზაციების თუ სახელმწიფოს წარმოშობა შესამჩნევი ხდება „ადრეული სახელმწიფოებრივი მოდულების“ წარმოქმნით. ყოველ მათგანს ახასიათებს გაცვლის სტრატეგიცირებული ორგანიზაცია ... მთავარი არის მუდმივი ცენტრალური ადგილის არსებობა, რომელიც „ადრეული სახელმწიფოებრივი მოდულების“ საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულების საფუძველია.

მუდმივი ცენტრალური ადგილი წარმოადგენს ნებისმიერი ცივილიზაციის მახასიათებელ ნიშანს [კვირკველია 1997, გვ. 260]. ასეთი ცენტრები შეიძლება

იყოს დასახლებული, თუმცა არ არის აუცილებელი მუდმივი მოსახლეობის არსებობა. ის წარმოადგენს ნებისმიერი, ინფორმაციის თუ მატერიალური გაცვლის ადგილს, რაც თავისთავად ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ ურთიერთქმედებას გულისხმობს, ხოლო მუდმივი ცენტრის არსებობა წარმოადგენს იმ უმთავრეს ნიშანს, რითაც ცივილიზაცია განსხვავდება სხვა, მაგალითად „Chifdom“ ტიპის საზოგადოებისაგან.

„Chifdom“-ის ტიპის საზოგადოებების ყველაზე სტაბილური სახით არსებობის შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ცენტრი ბელადის ადგილსამყოფლის სახით, ეს ცენტრები თავის გადანაწილებად ფუნქციას ახორციელებენ მხოლოდ ერთი-ორჯერ წელიწადში [Renfrew, 1975, გვ. 6].

ასეთ ერთეულებს რენფრიუ „ადრეულ სახელმწიფოებრივ მოდულებს“ (Early state module) უწოდებს [კვირკველია 1997, გვ. 261]. “ადრეული სახელმწიფოებრივი მოდული“ ცალკეული ადრეული ცივილიზაციის შემთხვევაში შემოსაზღვრულია გარკვეული ტერიტორიული ჩარჩოთი. მანძილი ცენტრიდან ტერიტორიის საზღვრამდე დამოკიდებული იყო ხელმისაწვდომ სატრანსპორტო საშუალებებზე. ...მოდულის საზღვრები არასოდეს არ აღემატებოდა ცენტრამდე ერთი-ორი დღის სავალს.

ცივილიზაცია-იმპერიისათვის ეს მანძილი შეიძლება გაცილებით მეტი ყოფილიყო და აქ განმსაზღვრელ ფაქტორს სამხედრო კონტროლის შესაძლებლობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ სამხედრო იერარქიის არსებობასაც გულისხმობს [Renfrew, 1975, გვ. 9].

ცივილიზაცია გულისხმობს ძლიერ სტრუქტურირებული და დიფერენცირებული საზოგადოების განვითარებას, რომელიც მოიცავს მწარმოებელ სპეციალისტებს (ხელოსნებს), მუდმივ მაკონტროლებელ ორგანიზაციას (რომელიც განაგებს პროდუქციის მნიშვნელოვან წილს) და რწმენა-წარმოდგენათა განვითარებულ სისტემას, ზოგჯერ დამახასიათებელია ცალკეულ პუნქტებში მოსახლეობის თავმოყრა (ამ ნიშანთა ნაწილობრივი ან დროებითი გამოვლინებები ჩანს „ბელადობის“ (Chifdom) ხასიათის საზოგადოებებშიც).

რენფრიუ მიდის დასკვნამდე, რომ უმრავლეს, შესაძლოა, ყველა ადრეულ ცივილიზაციაში გამოიყოფა ერთი მოდელი. ეს არის სივრცითი მოდელი. ცივილიზაციათა უმრავლესობაში (შესაძლოა ყველაში) ფუნქციონირებდა ავტონომიური ცენტრების გარკვეული რაოდენობა. ავტონომიური ტერიტორიული ცენტრები, ძირითად ცენტრებთან ერთად შეადგენენ იმას, რასაც ჩვენ ცივილიზაცია შეიძლება ვუწოდოთ [Renfrew, 1975 გვ. 6].

სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებული შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების არეალში დადასტურებულია ამ კულტურების ლოკალური ვარიანტები [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, გვ. 169; Кушнарева, 1993, გვ. 100; Кушнарева, 1997, გვ. 20;]. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მომდევნო ხანაში სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ორი, თრიალეთისა და სევან-უზერლიკის ახლო მდგომი კულტურები ყალიბდება. რომელთაგან „თრიალეთის კულტურა უფრო მაღალ საფეხურს აღწევს, შედარებით უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავს, რომელშიც რამდენიმე ლოკალური ვარიანტი ისახება“ [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, გვ. 169].

სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებული შუა ბრინჯაოს კულტურები (თრიალეთის და სევან-უზერლიკის) ერთ კულტურულ ბლოკს წარმოადგენენ. თუმცა, შეიძლება დავუშვათ, რომ სევან-უზერლიკის კულტურა ოდნავ მოგვიანებით, ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულს ჩამოყალიბდა როგორც თრიალეთის კულტურის ლოკალური ვარიანტი.

შეიძლება დავუშვათ, რომ ის ტერიტორია, რომელსაც ერთიანი კულტურის ლოკალური ვარიანტი ფარავს “ადრეულ სახელმწიფოებრივ მოდულების“ სივრცეს წარმოადგენს.

ამდენად, შეიძლება ერთიან კულტურაში არა მხოლოდ კულტურულ-ეკონომიკური ერთობა დავინახოთ, არამედ უფრო მაღალი, ისეთი პოლიტიკური წარმონაქმნიც ვივარაუდოთ, რომელიც „ადრეულ სახელმწიფოებრივ მოდულებს“ აერთიანებს. „ადრეული სახელმწიფოებრივი მოდულები“ კი, როგორც ჩანს, ლოკალური ვარიანტების საზღვრებში თავსდება.

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ დიდი, „ბრწყინვალე“ ყორღანები უმაღლესი საზოგადოების რომელ წრეს ეკუთვნოდა, ან რა სახის და დონის ძალაუფლებას ფლობდნენ ისინი. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ თრიალეთის დიდი ინდივიდუალური სამარხები, ცალკეული დეტალებით, ხეთურ ტექსტებში დადასტურებულ სამეფო დაკრძალვის რიტუალს გვაგონებს [Куфтин, 1948, стр. 46]. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ თვით ყორღანების და სამარხეული ინვენტარის ნაწილის საკულტო ხასიათი „ბრწყინვალე“ ყორღანებში დაკრძალულების უმაღლეს რელიგიურ რანგზეც მიუთითებენ. როგორც ჩანს, დიდი ყორღანი მასში დაკრძალულის სიცოცხლეშივე იგებოდა და შეიძლება გარკვეული კულტმსახურების ობიექტიც იყო და ის ასეთივე

ობიექტებად მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც რჩებოდა. საკულტო ცერემონიების გამართვის პერიოდულობაზე სარიტუალო გზები, გზებზე და მათი კრომლესთან თუ დრომოსთან მიერთების ადგილზე აღმოჩენილი ნივთები მიუთითებენ.

საზოგადოების იერარქიული სტრუქტურის მაგალითს წარმოადგენს მესხეთში დადასტურებული სიტუაცია. აღნიშნულია, “რომ დიდი ქვაყრილიანი ყორღანი ტომთა წინამძღვრებს ეკუთვნოდა, რომლებიც უშუალოდ თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოების მაღალი წრებიდან იყვნენ გამოსული [ჯაფარიძე, 1969, გვ. 66-67; ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, გვ. 168]. „მონათესავე ტომები, თავისი ბელადებით, დიდ თუ მცირე კონფედერაციებად ყალიბდებიან“ [Куфтин, 1948, стр. 4].

დიდ ყორღანებში საზოგადოების დაწინაურებული ნაწილია დაკრძალული. ამაზე არა მხოლოდ თვით ყორღანების, არამედ „მდიდრულად და ფუფუნებით“ მორთული დასაკრძალავი დარბაზებიც მიუთითებენ [Куфтин, 1941, გვ. 144]. „დიდი, მდიდარი ყორღანები ალბათ ტომთა ბელადების სამარხი იყო, შედარებით უფრო მომცრო ყორღანებში, კი, თემთა წინამძღვრები იმარხებოდნენ“ [ჯაფარიძე, 1991, გვ. 189]. „ამ პერიოდში მკვეთრად იზრდება საზოგადოების სტრატეფიკაცია. ჩნდება თემთა მსხვილი საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომელთა სათავეში იდგა ძლიერი ლიდერი. ლიდერთა შორის ყალიბდება იერარქია. განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდათ ტომთა მსხვილი გაერთიანების ბელადებს“ [Кушнарева, Рысин, 2001, გვ. 102].

ამდენად, შეიძლება დავუშვათ, რომ დიდი ყორღანი „ადრეული სახელმწიფოებრივი მოდულის“ სათავეში მდგომ ხელისუფლის სამარხს წარმოადგენდა.

თრიალეთის კულტურის საზოგადოების ორგანიზებისა და სოციალური სტრატეფიკაციის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ გვერდიგვერდ მდებარე, თანადროულ ყველა ყორღანს, მათ შორის დიდი ზომისას, არა აქვს სარიტუალო გზა, მათში დაკრძალულთა განსხვავებულ სოციალურ მდგომარეობას ადასტურებს. განსხვავება უნდა იყოს ორმოიან, უორმო და „დასაკრძალავდარბაზიან“ იმ ყორღანებში დაკრძალულთა სოციალურ მდგომარეობას შორისაც, რომელთაც სარიტუალო გზები აქვთ. ყორღანთა ასეთი დიფერენციაცია არისტოკრატიული წრის იერარქიაზე მიუთითებს.

შეიძლება დავუშვათ, რომ საშუალო სიდიდის და სიმდიდრის ყორღანები „ადრეული სახელმწიფოებრივი მოდულების“ მმართველების

დასაკრძალავებს წარმოადგენდნენ, თრიალეთის დიდი და მდიდრული ყორღანები კი უფრო დიდი ერთეულების – „ადრე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის“ სათავეში მდგომ ხელისუფალთა განსასვენებლები იყო. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი „ადრესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“ თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალში რამდენიმე იყო.

არ არის გამორიცხული, რომ თრიალეთის ხელისუფალთა ძალაუფლება რამდენიმე „ადრეულ სახელმწიფოებრივ მოდულზე“ ვრცელდებოდა და ამდენად ისინი უფრო მაღალი პოლიტიკური გაერთიანების სათავეში იდგნენ. თრიალეთის ხელისუფალთა გავლენა, შეიძლება, წალკის, გომარეთის, ხრამის და ალგეთის ხეობების გარკვეული ნაწილის, საბიდახჩას, ფარავნისა და ტაბაწყურის ტბების გარშემო არსებულ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა, მოგვიანებით ისინი მესხეთსაც იკავებენ.

თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოება მაღალგანვითარებულია და ეკონომიკურად დაწინაურებული, რაც წინააღიურ სამყაროსთან ურთიერთობის გაზრდასთანაა დაკავშირებული [ჯაფარიძე, 1991, გვ. 166, 187].

თრიალეთის კულტურის ძეგლების ლითონის (ძირითადად სპილენძის) საბადოებთან [Twaltschrelidze, 2001; Palmieri, Sertok, Chernykh, 1993] კონცენტრაცია ან სატრანზიტო გზებზე მდებარეობა, სპილენძისა და ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალი დონე [Dschaparidze, 2001; Inanischwili, 2001; Maisuradze, Gobedschischwili, 2001; Tschartolani, 2001] მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბება და აყვავება ლითონის წარმოებასთან არის დაკავშირებული [ჯაფარიძე, 1991, გვ. 182]. შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოების სიმდიდრის ძირითად წყაროს ლითონით ვაჭრობა წარმოადგენდა.

შუა ბრინჯაოს ხანაში ისევ არსებობდა ის სავაჭრო გზა [Кушнарева, 1974, გვ. 33-34], რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში სამხრეთ კავკასიას (მტკვარ-არაქსის კულტურა) სირია-პალესტინასთან (კერბეთ-კერაქის კულტურა) აკავშირებდა [Dschaparidze, 2001]. ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ელიაზიგ-მაღათის რეგიონის აყვავება შუმერის, შემდგომ ასირიელი ვაჭრების მოქმედებასთან არის დაკავშირებული და მათი ანატოლიით დაინტერესება ამ რეგიონში ლითონის არსებობით არის ახსნილი [Burney, 1980, გვ. 161; Мелаарт, 1985, გვ. 23-24].

ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთკავკასიური კულტურების აყვავების ეკონომიკურ საფუძველს, როგორც ჩანს, კავკასიის სპილენძის, სურმის და დარიშხანის საბადოების ინტენსიური ექსპლოატაცია წარმოადგენდა. სწორედ მეტალურგიამ გაიყვანა კავკასია საერთაშორისო არენაზე. ეს დასტურდება ისეთი არქეოლოგიური მასალით, როგორცაა საბრძოლო იარაღი. ბედენურ-ალაზნის და თრიალეთური ტიპის იარაღი აღმოჩენილია სირიაში და პალესტინაში, ეგეოსური სამყაროს ქვეყნებში, ასევე მესოპოტამიაში და ირანის მთიანეთში [Кушнарeвa, Рысин, 2001, рис. 105]. სავაჭრო ურთიერთობებს სტიმულს აძლევდა ქანეშის სავაჭრო ფაქტორია, რომელიც კავკასიის სამხრეთ საზღვრებთან იყო განთავსებული [Кушнарeвa, Рысин, 2001, стр. 105]. მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ისიც, რომ თრიალეთის კულტურის ხანაში საზოგადოებრივი “ცხოვრება შედარებით მშვიდობიანი ხასიათისა უნდა ყოფილიყო“ [Куртин, 1948, стр. 45; ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, გვ. 164].

ქიულ-თეფეში (ქანეში) და ნორშუნთეფეში მესოპოტამიელი ვაჭრების ქარუმების (სავაჭრო კოლონიები) არსებობა [Burney, 1980, გვ. 164] სამხრეთ კავკასიის და სირია-პალესტინის დამაკავშირებელი სავაჭრო გზის მოქმედებითაც იყო განპირობებული და მისმა მოშლამ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების დაცემაც გამოიწვია.

თრიალეთის კულტურის დაცემა ანატოლიაში მიმდინარე პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ძვ.წ. XIX-XVIII სს. ასირიული ვაჭრობის ფინალური ფაზა იყო [Burney, 1980, გვ. 164]. ხეთური სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ ლითონით ვაჭრობა ხეთების ხელში გადავიდა, მოიშალა ტრადიციული სავაჭრო კავშირები, რამაც სამთამადნო საქმეში და მეტალურგიაში სპეციალიზირებული სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოებას გასაღების ბაზარი დროებით დაუკარგა. როგორც ჩანს, ეს ფაქტი გახდა თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის ჩაქრობის დასაწყისის საფუძველი. ძვ.წ. XVII საუკუნიდან კი ამ კულტურაში ისეთი ახალი ელემენტები ჩნდება, რომლებიც შემდეგში, გვიანი ბრინჯაოს ხანაში განმსაზღვრელი ხდება.

ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში აშურელების ძირითადი სავაჭრო ექსპედიციების ჩვენთვის ცნობილი გზები სირიაში, ასევე აღმოსავლეთ მცირე აზიაში, სპილენძის, ვერცხლისა და ტყვიის საბადოებით მდიდარი რაიონებისაკენ მიდიოდა. აქედან, შუამავლების მეშვეობით, აშურელების კავშირები აღმოსავლეთ

ხმელთაშუა ზღვის პირეთისაკენაც ვრცელდებოდა [ИДВ, 1988, стр. 30]. ბაზრებთან დაკავშირებული ხელოსნები ლითონის გასუფთავებას ახდენდნენ და ზოდებს ამზადებდნენ, ე.ი. ლითონი იმ კონდიციამდე მიჰყავდათ, რომელიც მიღებული იყო საერთაშორისო ვაჭრობაში. მცირე აზიის და ჩრდილოეთ სირიის ვაჭრობაში დაფუძნების შემდეგ აშურელმა ვაჭრებმა შექმნეს სავაჭრო კოლონიების მთელი სისტემა ცენტრით ქანეშში [ИДВ, 1988, стр. 31].

ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. ასურეთის მეფემ შამში-ადად I (ძვ.წ. 1813 – 1781 წწ) მესოპოტამიაში ძლიერი სახელმწიფო შექმნა, ჩაკეტა ევფრატზე, ტიგროსზე და ზაგროსის მთიანეთზე გამავალი ყველა გზა, რითაც დაარღვია მთელი აღმოსავლეთის საქარავნო გზების სტრუქტურა [ИДВ, 1988, стр. 30]. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისშივე პიტხანასი და ანიტასი მცირე აზიაში ქმნიან ხეთების სახელმწიფოს, რომელიც „ფლობდა მნიშვნელოვან ტერიტორიებს და ჰეგემონიას ახორციელებდა ტუზის ტბიდან მცირეაზიური ტავროსის გადასასვლელამდე, მდ. ჰალისის მოსაბრუნის შიგნით არსებული დიდი ტერიტორიის ჩათვლით“ [ИДВ, 1988, стр. 128]. ძვ.წ. 1800 წლის ახლოს დანგრეულ იქნა ხატუსა, ალიშარი და ქანეშ I. ძვ.წ. 1750 წლისათვის დანგრეულია ქანეშ II. ამავე პერიოდში გაძლიერდა ბაბილონის სამეფო. ხამურაბი (ძვ.წ. 1792-1750 წწ) განსაკუთრებით გააქტიურდა შამშიადად I გარდაცვალების შემდეგ. მეფობის 30-ე წელს ხამურაბი დაშქრობს შუამდინერეთის ჩრდილოეთ ოლქებში, რომელსაც სუბართუს საერთო სახელით იცნობდნენ, 35-ე წელს კი გაანადგურა მარი, ხელმეორედ დაიმორჩილა ტიგროსის ზემო დინების რაიონში მდებარე ოლქები, ბოლოს კი აშურიც აიღო. ამ ქმედებებმა ჩრდილო მესოპოტამიაში, კაპადოკიაში და შესაძლებელია სირიაში ვაჭრობის დაცემა გამოიწვია [Dalley 1977, გვ. 159].

მცირე აზიაში და მესოპოტამიაში მსხვილი სახელმწიფოების წარმოქმნამ საერთაშორისო ვაჭრობის ძველი ფორმებით აღდგენა შეუძლებელი გახადა [ИДВ, 1988, стр. 128]. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიისაკენ ან ვანის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ან ურმიის ტბის დასავლეთ სანაპიროსთან გადიოდა, შემდეგ მიდიოდა მდ. მცირე ზაბზე და არბელას გავლით ზემო მესოპოტამიაში ჩადიოდა. ქარავანთა ძირითად ტვირთს ქსოვილები და მარილი წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ამ გზით სარგებლობდნენ ვაჭრები სამხრეთკავკასიური

ლითონების გატანისას. ამ ურთიერთობაზე შეიძლება მიუთითებდეს აშურთან გათხრილ სამარხებში და თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი ლითონის ჭურჭლისა და საბრძოლო იარაღის მსგავსება [Müller-Karpe, 1995]

შემდგომში, მდ. ხაბურის აუზში წარმოქმნილმა მითანის სამეფომ აშური დასავლეთის კომუნიკაციებს ჩამოაშორა, ასევე შეწყდა მისი კავშირი აღმოსავლეთთან, როდესაც მდ. ადემის აუზში ჩამოყალიბდა არაპხას ხურიტული სამეფო, რომელიც მდ. მცირე ზაბზე (ტელ-მასუტის რ-ნი) არსებულ მნიშვნელოვან გადასასვლელს ფლობდა. ირანის პლატოსკენ მიმავალ მეორე გასასვლელს, რომელიც დიალას ველზე გადიოდა, აშურთან მტრულად განწყობილი კასიტების სამეფო ფლობდა. მიუხედავად ამისა, შეიძლება დარჩენილი იყო კიდევ ერთი გზა, რომლის მეშვეობითაც უფრო ჩრდილოეთით არსებული კალის საბადოებიდან, არბელას გავლით, კალა აშურში შეჰქონდათ [ИДВ, 1988, стр. 80].

ადრე, ძირითადი სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიაში, სირიასა და პალესტინაში, როგორც ჩანს, გადიოდა მალათიაზე, რაც კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურების განვითარებას და მათ სამხრეთით გაერცვლებას უწყობდა ხელს. ამავე ეპოქაში ჩანს ჩამოყალიბებული ურმიისა და ვანის ტბებისაკენ მიმავალი გზა. ძვ.წ. XVIII საუკუნეში მალათიაზე გამავალი სავაჭრო გზა, ისევე როგორც ანატოლიაში არსებული ასირიელთა სავაჭრო კოლონიები, განადგურდა. შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, სამხრეთ კავკასიასთან სავაჭრო კავშირები ძირითადად ვანისა და ურმიის ტბებისაკენ მიმავალი გზით ხორციელდებოდა.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ამ გზის მნიშვნელობა უფრო იზრდება. მესოპოტამიასთან, სირია-პალესტინასთან და უფრო სამხრეთით სავაჭრო ურთიერთობები მითანის სამეფოს შუამავლობით ან მეშვეობით ხორციელდებოდა. მოგვიანებით, ასურეთის სახელმწიფოს გაძლიერების შემდეგ, ჩრდილოეთით მისი ექსპანსიის ახალი ტალღა იწყება. შედარებით მშვიდობიან სავაჭრო ურთიერთობებს სამხედრო დაშქრობები და დაპყრობითი პოლიტიკა ცვლის. ძლიერდება ასურეთის ბრძოლა ჩრდილოეთით მდებარე ნაირის ქვეყნების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები სამხრეთ-აღმოსავლეთით, ირანის ზეგანისაკენაა მიმართული. ამ მიმართულებით სავაჭრო ურთიერთობების გაფართოვებამ, უფრო მოგვიანებით, ნაირის

ქვეყნების კოალიციიდან ერთ-ერთის – ურარტუს გაძლიერება და გამოყოფა გამოიწვია, რომლის მნიშვნელოვანი ქალაქები და სიმაგრეები სწორედ ამ გზაზე იყო განლაგებული. სავარაუდოა, რომ სავაჭრო გზებისა და შესაბამისად სამხრეთ კავკასიის ლითონით ვაჭრობის კონტროლმა ურარტუს სამეფო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ აქცია.

## НОВЫЕ ОТКРЫТИЯ В ТРИАЛЕТСКОЙ КУЛЬТУРЕ

### Введение.

В 30-х годах 20-го столетия в Южном Кавказе, на Цалкском плато была открыта новая культура, которую первооткрыватель Б. А. Куфтин назвал «Блестящей культурой больших триалетских курганов». Эта культура ныне известна как «Триалетская культура» [ჯაფარიძე, 1969, стр. 6].

Триалетская культура распространяется в центральной, восточной и южных частях Южного Кавказа, а также охватывает определённые регионы правобережья р. Аракса [ჯაფარიძე, 1991, стр. 177-182; Кушнарева, 1993, стр. 100-101].

Триалети расположена в северо-восточной части Малого Кавказа (таб. I). Для этой территории характерен разнообразный рельеф: высокие горы, хребты, вулканические конусы, горные котловины, долины, каньонные ущелья. Большой орографической единицей является Цалкская котловина, которая ограничена Триалетским (с севера), Самсарским (с запада) и Джавахетскими хребтами. Она расположена на высоте 1500-1900 м от уровня моря и разделяется на маленькие котловины. Самой большой является Бешташенская, которая ныне используется, как Цалкинское водохранилище. Именно здесь впервые были обнаружены курганные захоронения триалетской культуры.

Часть раскопанных в Триалети курганов Б. А. Куфтин отнёс к эпохе средней бронзы и датировал их серединой II тыс. до н.э. («Период расцвета триалетских курганов») [Куфтин, 1941, стр. 99]. У этой датировки сразу же появились сторонники и противники. Часть из них считала, что курганы относятся к более позднему времени, другие же относили их ко II половине или концу III тыс. до н.э. [касательно всех мнений, высказанных до 1972 года см. ჯაფარიძე, 1972, стр. 5-15].

«Блестящие курганы триалетской культуры» Э. Гогодзе датировал I половиной II тыс. до н.э. [ჯაფარიძე, 1972, стр. 95]. Это мнение было принято большинством учёных и на сей день считается самой приемлемой датой.

Позднее дата «Блестящих курганов триалетской культуры» определилась II пол. III тыс. до н.э. и началом II тыс. до н.э. [ქავთარაძე, 1981, стр. 108-109; ქავთარაძე, 1983, стр. 116-136; ქავთარაძე, 1987, стр. 16]. Эта дата долго не находила сторонников, хотя в последнее время и у неё появились последователи [Кушнарева, Рысин, 2001, стр. 109].

Часть учёных триалетскую культуру относит к финальному этапу эпохи ранней бронзы, часть же - к среднебронзовой эпохе [Куфтин, 1941, стр. 78-79; ჯაფარიძე 1969, стр. 243; გოგაძე, 1972, стр. 8-12; Кавтарадзе, 1983, стр.130; Кушнарёва, 1993, стр.100].

### **I. Триалети в первой половине II тысячелетия до н.э. (Новые данные).**

Археологические изыскания последних лет в Триалети дали весьма важные результаты [ბარბახიშვილი, 2000; ბარბახიშვილი, 2003; Нариманишвили, 2002; Narimanishvili, 2004;]. В связи с понижением уровня воды в водохранилище, на поверхности оказались курганы I, II, IV-IX, XV-XVII (таб. VIII,2; IX-XIII), раскопанные Б. А. Куфтиным, а также до сих пор неизвестные поселения, погребения и курганы (таб. II; III). К одному из нераскопанных курганов (XLVII - продолжение нумерации Куфтина) с восточной стороны примыкала мощённая камнем дорога (таб. IV-VIII).

Курган расположен к югу от с. Санта, в 500 метрах западнее I кургана (Бююктепе). Курган имеет каменную насыпь и пояс. Его диаметр достигал 60 м, высота 1,2-1,5 м. Точно с востока к поясу кургана примыкает мощённая камнем дорога. Обе стороны дороги укреплены большими базальтовыми камнями. Зафиксированная длина дороги - 356 м. ширина - 6 м (таб. VII-VIII,1). Вокруг кургана были обнаружены другие курганы различной величины и разных типов. К двум из них примыкает такая-же дорога. Здесь же замечены контуры четырёхугольного строения и каменные ящичные погребения разных эпох (таб. V-VII).

При последующем изучении мощённые камнем дороги были обнаружены также у курганов III, VI, VIII, XV, XVII (таб. VIII,1), которые хорошо известны в научной литературе [Куфтин, 1941; Куфтин, 1948; ჯაფარიძე, 1964; ჯაფარიძე, 1964; გოგაძე, 1972; Жоржикашвили, Гогодзе, 1974], поэтому предлагаем их краткое описание:

**Курган III.** Овальной формы (18-24 м), имеет каменную насыпь. В восточной стороне от края насыпи шёл “узкий шлейф в виде аллеи” длиной 7 м и шириной 5 м, образованный двумя неравными рядами более крупных камней [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, стр. 15, таб. 9-3]. После проверки оказалось, что этот шлейф является дорогой, длиной в 41 м (таб. IX,1b).

**Курган VI** высотой в 1,5 м имел совершенно округлую (диам. 55 м) форму [Жоржикашвили, Гогодзе, 1974, стр. 16-17, таб. 9-7]. К нему примыкает дорога, длиной в 160 м и шириной 6 м (таб. X,2a).

**Курган VIII** высотой в 1,5 м, был абсолютно округлой формы (диам. 40 м) [Куфтин 1941, таб. LXV; Жоржикашвили, Гогодзе, 1974, стр. 18-19, таб. 7-1]. Длина дороги 210 м, ширина 5 м (таб. X,2b).

**Курган XV** (таб. X,3; XI-XIII) имеет своеобразную форму четырёхугольника (35-45 м) с закруглёнными углами [Куфтин, 1941, стр. 80; Жоржикашвили, Гогодзе, 1974, стр. 20] (на сегодня он имеет более или менее округлую форму, что по видимому является последствием работ, произведённых Б. А. Куфтиным).

Центральная площадка с восточной стороны образовывала лёгкий склон (вследствии раскопок под ним был обнаружен дромос. По видимому, склон образовался вследствие провала перекрытия дромоса. Не исключено, что дромосы других курганов тоже были перекрыты), остальные стороны были возвышены. Над ямой высота насыпи равнялась 1,5-2 м [Куфтин, 1941, стр. 81-83, таб. LXIV-LXVI, LXXII; Жоржикашвили, Гогодзе, 1974, стр. 20, таб. 7-3,4]. На сегодня восточная сторона кургана имеет равномерный склон. Эта часть под воздействием воды перекрыта землёй, вследствие чего не ясно отношение дороги к кургану. Хотя дорога длиной в 245 м и шириной 4,5 м направляется точно с восточной стороны к дромосу кургана (таб. XIV).

**Курган XVII** округлой формы имеет высоту 1,5 м [Куфтин, 1941, стр. 79, 83, таб. LX, LXVII, LXVIII; Жоржикашвили, Гогодзе 1974, стр. 21, таб. 8-1, 9-8, 15-1,2]. К насыпи кургана с восточной стороны примыкает дорога длиной 116 м и шириной 4,5 м (таб. IX,1a; XI; XII,1a).

Так как дороги, направляющиеся к курганам до сих пор не были известны, сложно определить ареал распространения таких сооружений. Самые близкие аналогии ритуальных дорог были обнаружены на Гомаретском плато, которое является природным продолжением Цалкского плоскогорья. Здесь, в Зуртакети, О. М. Джапаридзе раскопал три кургана (№№ 3, 4, 6) [ჯაფარიძე, 1964; ჯაფარიძე, 1969], у которых были зафиксированы мощённые дороги.

**Курган № 3** имел диаметр 100 м, высоту 8 м [ჯაფარიძე, 1969, стр. 24-38]. Дорога длиной 160 м и шириной 4,5 м ведёт непосредственно к началу дромоса (таб. IX,2a; LV; LVI).

Высота **кургана № 4** была 8 м, диаметр 100 м [ჯაფარიძე, 1969, стр. 39-44]. Длина дороги, ведущей к дромосу была 300 м, ширина 7 м (таб. IX,2b).

Диаметр кургана № 6 был 84 м, а высота - 7 м [ჯაფარიძე, 1969, стр. 45-48]. Курган ступенчатый. Высота первой, нижней ступени - 3 м. Длина дороги - 400 м, ширина - 6,2 м (таб. IX,2с; LVIII; LIX,1).

Здесь же, у одного нераскопанного кургана, выявлена мощённая дорога.

Другие аналогии дорог на сей день неизвестны. Проф. В. Ортманн при личной беседе высказал предположение, что курган, раскопанный им в Ананаури [Ortmann, Pichelauri, Qvavadze, 1998] вероятно имел такую-же дорогу.

Остатки дорог, как-будто замечены у таширского [კახიანი, ლლივჯაშვილი, 1998, стр. 88] и тквиавского курганов [მაკალათია, 1943, стр. 32, таб. V]. К сожалению, публикация таширского кургана не имеет ни рисунка этих дорог, ни их фотографии. По этому, трудно что-либо судить определённое по этому вопросу.

Заслуживают внимания выявленные Г. Гобеджишвили на Беденском плато «узкие каменные тропинки», которые «связывают несколько курганов». Такая ситуация им зафиксирована также у курганов с. Куши, Сабидахча и Зуртакети [გობჯიშვილი, 1981, стр. 8]. Подобные «тропинки» выявлены не только в вышеуказанных пунктах.

Нужно отметить, что «тропинки», как и дороги, связаны с курганами, но имеют иную функцию. Если «тропинки» «связывали» между собой определённые группы курганов, то дороги относились к конкретному погребальному сооружению и строились для ритуальных процессий. По видимому, места концентрации курганов являлись культово-ритуальным ареалом, где кроме курганов встречаются и другие архитектурные формы. Возможно, примером таковых являются четырехугольные постройки, которые обнаружены в конце ритуальных дорог и примыкают к курганным насыпям (триалетские XV, XLVII, XLVIII и зуртакетские курганы). На сей день ни одно из этих сооружений не раскопано, и поэтому трудно судить об их функции (таб. XI; LVII,1).

К сожалению, скудные данные не дают возможности более конкретно рассмотреть все вопросы, которые возникают в связи с открытием ритуальных дорог. Вероятно последующие раскопки и изыскания внесут определённые ясности в эти вопросы.

## **II. Датировка новых структур.**

Установить дату ритуально-процессионных дорог возможно благодаря археологическому материалу из триалетских III, VI, VIII, XV, XVII и №№ 3,4,6 зуртакетских курганов. Единого мнения касательно их датировки не существует. Мы придерживаемся новых датировок триалетских курганов и датируем их (кроме L кургана) последними веками III тыс. и началом II тыс. до н.э. Они относятся к эпохе средней бронзы.

L курган (таб. XV-XVI) имеет земляную насыпь. Раскопана лишь небольшая часть дороги, одна часть насыпи кромлеха и погребение (таб. XVII; XVIII), которое было расположено внутри кромлеха, между дорогой и основной погребальной камерой (которая ещё не раскопана). Материалы, обнаруженные в погребении (таб. XIX-XXIV) относятся к беденской культуре (середина III тыс. до н.э.). Принадлежность кургана к беденской эпохе подтверждает также и материал, обнаруженный под каменной насыпью кромлеха (таб. XXIV-XXVII). Очевидно традиция сооружения ритуальных дорог восходит к эпохе ранних курганов.

Таким образом, по имеющимся на сегодня данным, начало сооружения ритуально-процессионных дорог вероятно, относится к середине III тыс. до н.э. С наступлением эпохи поздней бронзы традиция выкладки дорог прекращается.

## **III. К реконструкции триалетских курганов.**

Изучение инженерно-строительного дела триалетских курганов требует специального исследования. Мы коснёмся лишь некоторых вопросов.

Открытие новых структур поставили вопрос о конструктивной взаимосвязи дорог и курганов. Ко всем вышеперечисленным нами курганам каменные дороги примыкают к насыпям с востока (у зуртакетских курганов замечены некоторые отклонения). Их непосредственным продолжением, в основном, представляют длинные дромосы, которые начинаются у конца дорог и входят в погребальное сооружение (триалетские XV, XXXVI, XLVII, XLVIII и зуртакетские курганы №№ 3, 4, 6). Часть курганов не имеют дромоса (триалетские курганы III, VI, VIII, XVII, XLV).

Каменные дороги являются органической частью курганов. Они, по-видимому, были связаны с погребальным ритуалом и строились для церемониального шествия.

Восстановление ритуала теми данными, которые мы имеем на сей день очень сложно [ჯაფარიძე, 1969, стр. 68].

